NINO TEVDORADZE
ნინო თევდორაძე

# ტექსტის ლინგვისტიკა

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი – 2011 წელი

ნინო თევდორაძე
# ტექსტის ლინგვისტიკა

საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო „ტექსტის ლინგვისტიკა“ მოიცავს ტექსტის სტრუქტურული და ფუნქციური მახასიათებლების კვლევასთან დაკავშირებულ საკითხთა კომპლექსს. ტექსტის არსისა და სტრუქტურის განსაზღვრა მასში წარმოდგენილია თანამედროვე ლინგვისტური აზროვნების ფუნდამენტურ წყაროებზე – ენობრივი ნიშნის თეორიაზე, ენობრივი სისტემის დონეებრივ მოდელზე და კომუნიკაციის თეორიაზე – დაყრდნობით.

სახელმძღვანელო განსაკუთრებულ დახმარებას გაუწევს სტუდენტებს, რომლებიც გადიან ტექსტის ლინგვისტიკის და ტექსტის ანალიზის სალექციო კურსებს.

**Editor: Professor G. Lebanidze**

**რედაქტორი: პროფ. გ. ლებანიძე**

პირველი ელექტრონული გამოცემა

© 2010, 2011. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

ISBN 978-9941-18-060-6

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
ქაქუცა ჩოლოყაშვილის 3/5, თბილისი, 0162, საქართველო
ILIA STATE UNIVERSITY PRESS
3/5 Cholokashvili Ave, Tbilisi, 0162, Georgia

# სარჩევი

შესავალი ........ 4-26

**თავი I. ტექსტი როგორც ენობრივი ფენომენი და ტექსტის ლინგვისტიკა**

§1. ტექსტი როგორც ლინგვისტური ცნება და მისი გენეზისის სამი წყარო: ენობრივი ნიშნის თეორია, ენობრივი სისტემის დონეებრივი მოდელი და კომუნიკაციის თეორია ........ 26-38
§2. ტექსტის ლინგვოსემიოტიკური ცნება: არასრული და სრული ნიშნები ........ 38-46
§3. ტექსტის ცნება კომუნიკაციის თეორიაზე დაყრდნობით: ტექსტის ფუნქციური განსაზღვრა ........ 46-50
§4. ტექსტის ცნება ენობრივი სისტემის დონეებრივ მოდელზე დაყრდნობით: ტექსტის სტრუქტურული განსაზღვრა ........ 50-53
§5. ტექსტი როგორც ენისა და მეტყველების ერთეული ტექსტი და დისკურსი ........ 53-58

**თავი II. ტექსტი როგორც ენობრივი ნიშანი: ტექსტის ლინგვოსემიოტიკა**

§1. ნიშნის თანამედროვე (სამგანზომილებიანი) თეორია და ტექსტის როგორც ენობრივი ნიშნის განზომილებრივი სტრუქტურა ........ 69-61
§2.კომუნიკაციური ლინგვისტიკა და ტექსტის პრაგმატიკის დომინანტური სტატუსი ტექსტის ლინგვისტიკაში ........ 61-67
§3. ტექსტის პრაგმატიკა ........ 68-74
§4. ტექსტის სინტაქტიკა ........ 74-81
§5. ტექსტის სემანტიკა ........ 82-98

**თავი III. ტექსტობრივი კატეგორიის ცნება და ტექსტობრივ კატეგორიათა სისტემა**

§1. კატეგორიის ცნება და ტექსტობრივი კატეგორიები ........ 99-107
§2. ტექსტის ლინგვოსემიოტიკა – ტექსტობრივ კატეგორიათა სისტემის საფუძველი ........ 108-110
§3. კოჰეზია და კოჰერენტულობა – ტექსტის ცენტრალური კატეგორიები ........ 110-130
§4. ტექსტის მთლიანობა და კოჰეზიურობა და მათი ურთიერთმიმართების პრობლემა ........ 130-133
§5. ტექსტის პრაგმატიკა და პრაგმატიკული კატეგორიები ........ 134-145
§6. ტექსტის სემანტიკა და სემანტიკური კატეგორიების გამოყოფის პერსპექტივები ........ 146-148
§7. ტექსტის სინტაქტიკა და სინტაქტიკური კატეგორიები ........ 149-154

# შესავალი

როდესაც ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური მოაზროვნე, ფილოლოგი და ფილოსოფოსი – მ. ბახტინი XX საუკუნის 30-იან წლებში ხაზგასმით აღნიშნავდა მთელ ჰუმანიტარულ-ფილოსოფიურ აზროვნებაში ტექსტის ფუნდამენტური როლის შესახებ, რომ „ტექსტი არის პირველადი მოცემულობა (რეალობა) და ყველა ჰუმანიტარული დისციპლინის ამოსავალი წერტილი" [ბახტინი, 1986 : 474], მაშინ ჯერ კიდევ არავინ ვარაუდობდა ლინგვისტიკაში სპეციალური მიმდინარეობის გამოყოფას.

ტექსტის ლინგვისტიკამ 1960-70-იან წლებში დაიწყო ფორმირება და ენათმეცნიერები მოცემული დისციპლინის ფარგლებში ენობრივი მოვლენების მეცნიერული აღწერის ჩარჩოების გაფართოებას ისახავდნენ მიზნად. „ენობრივი მოვლენების აღწერის გაფართოება", უპირველეს ყოვლისა, ცალკეული წინადადებების საზღვრების გაცდენას და მრავალი ენობრივი მოვლენის გაცილებით უფრო „მსხვილი" ერთეულის ფარგლებში განხილვასა და შესწავლას გულისხმობდა. თუმცა, ამ დროისათვის, ალბათ, ვერავინ წარმოიდგენდა, რომ შესაძლებელი იყო საფუძველი ჩაჰყროდა ისეთი დამოუკიდებელი დისციპლინის წარმოშობას, რომელიც, თამამად შეიძლება ითქვას, ორიენტაციას შეუცვლიდა ტრადიციულ ენათმეცნიერებას. ცალკეული წინადადების საზღვრებს მიღმა კვლევის სფეროდ იქცა სამეტყველო წარმონაქმნში შემავალ ელემენტთა შინაარსობრივი ურთიერთკავშირითა და სტრუქტურული ურთიერთმიმართებებით წარმოდგენილი მთელი სამყარო.

ეს ახალი "სამყარო" იყო ტექსტის ლინგვისტიკა, რომელიც თანდათანობით სულ უფრო მეტ კითხვაზე პასუხის გაცემას ისახავდა მიზნად. ზოგიერთი მათგანი ჯერ კიდევ კვლევის საგანია.

თავად ტერმინ „ტექსტის ლინგვისტიკით" ნაგულისხმევი შინაარსი, ერთი შეხედვით, სრულიად მარტივად პასუხობს კითხვას, თუ რა არის ამ დისციპლინის შესწავლის საგანი. რა თქმა უნდა, ტექსტის ლინგვისტიკის შესწავლის ობიექტი და საგანი ტექსტია, კონკრეტულად, ვერბალური ტექსტი (მათ შორის მხატვრული ტექსტიც), რომლის დახასიათებისა და აღწერისათვის მნიშვნელოვანია ლინგვისტიკაში დაგროვილი მონაცემები. თუმცა, ამგვარმა მარტივმა პასუხმა შესაძლოა შეცდომაში შეგვიყვანოს, ამიტომ იგი დაზუსტებას საჭიროებს, რაზეც ნათლად მეტყველებს შემდეგი ფაქტები :

ალბათ, ძნელად თუ მოიძებნება ისეთი ფენომენი, რომლის შესახებ იმდენი კვლევა და თვალსაზრისი არსებობდეს, რაც დაგროვილია ტექსტის გარშემო. ტერმინი „ტექსტი" შეიძლება იხმარებოდეს როგორც მაქსიმალურად ფართო, ისე ვიწრო მნიშვნელობით. მაგალითად, ტექსტად შეიძლება იწოდებოდეს რამდენიმე ასეული გვერდის მოცულობის ნაწარმოები და, ასევე, ორი ან ორზე მეტი თემატურად ურთიერდაკავშირებული წინადადება. თანამედროვე სემიოტიკა ტექსტად განიხილავს ნებისმიერ – და არა მხოლოდ ვერბალურ – ნიშნობრივ თანმიმდევრობას: მხატვრულ ტილოს, ლექსს, ცეკვას, რაიმე ტიპის ჟესტს და ა.შ. და, სწორედ აქედან გამომდინარე, არც ისე ადვილია ხოლმე, სწორხაზოვანი პასუხი გაეცეს კითხვებს იმის თაობაზე, თუ უშუალოდ რა შედის ტექსტის ლინგვისტიკის შესწავლის სფეროში და სად შეიძლება ზღვარის გავლება მასსა და ტექსტის შესწავლით დაინტერესებულ სხვა დისციპლინებს შორის.

ცნობილი ჰოლანდიელი ენათმეცნიერი და თანამედროვე ლინგვოსემიოტიკის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი ტოინ ვან დეიკი ჩვეულებისამებრ იყენებს ტერმინს „ტექსტთა შემსწავლელი მეცნიერება" – Textwissenschaft და

ამით იგი იმაზე მიუთითებს, რომ ტექსტის შესწავლით დაინტერესებულია არა მხოლოდ ერთი რომელიმე სამეცნიერო დისციპლინა (თუნდაც ენათმეცნიერება), არამედ ისეთი ავტონომიურად არსებული დისციპლინებიც, როგორიცაა:

თეოლოგია, რომელიც დაინტერესებულია რელიგიური ტექსტების ინტერპრეტაციით;

ისტორია – მას ტექსტი აინტერესებს მისი წარმოშობის სოციალურ, პოლიტიკურ და კულტურულ გარემოებათა თვალსაზრისით;

იურისპრუდენცია, რომელიც დაინტერესებულია იურიდიულ ტექსტთა ინტერპრეტაციითა და მათი გამოყენებით სხვადასხვა კონფლიქტურ სიტუაციაში;

სოციალური ფსიქოლოგია, რომელიც დაინტერესებულია განსაზღვრულ ტექსტობრივ სტრუქტურათა ურთიერთმიმართებებით და მათი ზემოქმედებით ცალკეული ინდივიდების ან ადამიანთა გარკვეული ჯგუფების ცოდნაზე, თვალსაზრისზე, პოზიციასა და ქმედებაზე;

კოგნიტური ფსიქოლოგია, რომელიც დაინტერესებულია განსაზღვრულ სამეტყველო ფორმათა (ტექსტთა) წარმოქმნისა და აღქმის პროცესებით;

ლიტერატურათმცოდნეობა, რომელიც იკვლევს მხატვრულ ტექსტებს;

და ბოლოს, ენათმეცნიერება, სადაც ვან დეიკის თვალსაზრისით შესაძლოა გამოიყოს ტექსტის შესწავლის სამი ძირითადი მიმართულება – სინტაქსი, სემანტიკა და პრაგმატიკა (ცხადია, მოცემულ შემთხვევაში მეცნიერი ტექსტის სემიოტიკურ აღწერასა და კვლევას გულისხმობს, რასაც ჩვენი სახელმძღვანელოს ფარგლებში არაერთხელ დავუბრუნდებით).

თითოეული ზემოთ დასახელებული დისციპლინა ტექსტს როგორც თავის შესწავლის ობიექტს განიხილავს, რა თქმა უნდა, საკუთარი თვალსაწიერიდან. სწორედ აქედან გამომდინარე, ვან დეიკი მიიჩნევს, რომ „ტექსტთა შემსწავლელი მეცნიერება" თავისი არსით ინტერდისციპლინარულია [დეიკი, 1989 : 111-160].

სქემის სახით ჩვენ მიერ ციტირებული ავტორის კონცეფცია ამგვარად გამოიყურება:




მოცემული სქემის მიხედვით, ტექსტის ლინგვისტიკა თუნდაც მნიშვნელოვან, მაგრამ მაინც მხოლოდ ერთ ნაწილს წარმოადგენს გაცილებით უფრო ზოგადი და მრავლისმომცველი დისციპლინის „მეცნიერება ტექსტების შესახებ" ფარგლებში.

ტრადიციულად თანამედროვე ტექსტის ლინგვისტიკა განისაზღვრება როგორც შედარებით „ახალგაზრდა" დამოუკიდებელი სამეცნიერო დისციპლინა (წარმოშობილი XX საუკუნის 60 – 70-იანი წლებში), რომლის მიზანია ტექსტის თეორიული და პრაქტიკული კვლევა – ძირითადად მისი ანალიზი: „თანამედროვე ტექსტის ლინგვისტიკა შეისწავლის ტექსტს – მის სტრუქტურას, მის შემადგენელ კატეგორიებს, ტექსტებს, მათ შორის მხატვრულ ტექსტებს, მათი შექმნის და აგების გზებს ... თავისი არსით ტექსტის ლინგვისტიკა ზოგადფილოლოგიური დისციპლინაა, რომელიც თავს უყრის ლინგვისტურ და ლიტერატურათმცოდნეობით დისციპლინათა მთელ ციკლს" [შევჩენკო, 2003 : 4].

ჩვენ მიერ ზემოთ ციტირებული ავტორი (ნ.ვ.შევჩენკო) აცხადებს, რომ ტექსტის ლინგვისტიკას (და მის პრაქტიკულ ასპექტს – ტექსტის ლინგვისტურ ანალიზს) და ლიტერატურათმცოდნეობას საერთო შესწავლის ობიექტი აქვთ – ტექს-

ტი. თუმცა ამავე დროს დასძენს, რომ „ტექსტის ლინგვისტური ანალიზის ობიექტი გაცილებით უფრო ფართოა, ვიდრე ლიტერატურათმცოდნეობისა" (იქვე). ცხადია, ავტორს არც ლიტერატურათმცოდნეობისა და არც მისი შესწავლის ძირითადი ობიექტის – მხატვრული ტექსტის – „დაკნინება" ჰქონია მიზნად. იგი აღნიშნავს, რომ ტექსტის ლინგვისტური ანალიზის საგანი იმდენადაა ლიტერატურათმცოდნეობაზე უფრო „ფართო", რამდენადაც:

1. გულისხმობს ნებისმიერი ტიპის ტექსტის შესწავლას და არა მხოლოდ მხატვრული ტექსტისას (ლიტერატურათმცოდნეობისაგან განსხვავებით);

2. შეისწავლის ტექსტს როგორც ყველა იმ ენობრივი ელემენტის კომბინაციას, რომელთა ურთიერთქმედების შედეგად ხდება მისი აგება. ტექსტის ლინგვისტიკა ასევე აანალიზებს ენობრივი მიმართებების ცვალებადობას, განსაზღვრავს გამოხატვის პლანისა და შინაარსის პლანის ფუნქციებს (თუ რატომ შეესაბამება ამგვარ შინაარსს ამგვარი ფორმა), სადაც ხდება მისი და ლიტერატურათმცოდნეობის საზღვრების „ურთიერთგადაკვეთა".

თანამედროვე ლინგვისტები და ლიტერატურათმცოდნეები ერთხმად აღნიშნავენ, რომ დღეისათვის მიმდინარეობს ტექსტის კომპლექსური ლინგვისტური ანალიზის პრინციპთა შემუშავება ტექსტის ლინგვისტიკის და ლინგვისტიკის სხვა სფეროების, განსაკუთრებით კი სამეტყველო აქტთა და ჟანრთა თეორიების, სტილისტიკის, ენის ესთეტიკის, ფილოსოფიისა და ასევე ლიტერატურათმცოდნეობის ფუნდამენტური მიღწევების საფუძველზე.

ამდენად, სრულიად გასაგებია, თუ რატომ მიუთითებს ნ. შევჩენკო ზემოთ ხსენებულ თავის სახელმძღვანელოში ტექსტის ლინგვისტური ანალიზის „სიფართოვეზე"; მაგრამ აქვე გვსურს თავიდანვე ხაზი გაესვას შემდეგ გარემოებას: ტექსტის ლინგვისტური ანალიზი მხოლოდ იმ თვალსაზრისით შეიძლება იყოს ტექსტის ლინგვისტიკის „პრაქტიკული კურსი"

– როგორც მას ავტორი უწოდებს – რამდენადაც მის თეორიულ ბაზას წარმოადგენდა (და წარმოადგენს) ძირითადად ტექსტის ლინგვისტიკის (ანუ ტექსტის ლინგვისტური თეორიის) მონაცემები. ტექსტის ლინგვისტური ანალიზი მუდამ ეყრდნობოდა ტექსტის ლინგვისტიკის კატეგორიალურ აპარატს.

როგორც ვნახეთ, ტექსტი არაერთი დისციპლინის კვლევის ობიექტია, თუმცა თამამად შეიძლება ითქვას, რომ მთავარი ადგილი მათ შორის მაინც ფილოლოგიურ დისციპლინებს უკავიათ. ამასთან ცხადია ისიც, რომ თითოეული მათგანი – და მათ შორის ტექსტის ლინგვისტიკაც – საკუთარ მიზნებს ისახავს ტექსტის კვლევის პროცესში. ბუნებრივია, სხვა შემთხვევაში, არც შეიქმნებოდა მისი ცალკე გამოყოფისა და დამოუკიდებელ დისციპლინად ფორმირების აუცილებლობა.

როგორც წესი, ახალი მეცნიერული მიმდინარეობების წარმოშობას წინ უძღვის ამა თუ იმ ფენომენის გააზრებისა და აღწერის მრავალმხრივი მცდელობა. ტექსტის ლინგვისტიკის როგორც სამეცნიერო დისციპლინის ფორმირება არც შემთხვევითი ხასიათის ყოფილა და არც ცარიელ ადგილას მომხდარა. მისი წარმოშობის წინაპირობაზე ქვემოთ ვილაპარაკებთ, ამ ეტაპზე კი ვიტყვით, რომ ტექსტის ლინგვისტურმა თეორიამ XX საუკუნის 60-70იან წლებში დაიწყო ფორმირება და თანდათანობით დამოუკიდებელი დისციპლინის სტატუსიც შეიძინა. მის ფუძემდებლებად და წარმომადგენლებად გვევლინებიან ისეთი ცნობილი ლინგვისტები, როგორებიც არიან პ. ჰარტმანი, ზ. შმიდტი, ტ. ვან დეიკი, ვ. დრესლერი, ი. პეტეფი, რ. ჰარვეგი, კ. გაუზენბლაზი, პ. სგალი, ნ. ენკვენისტი, ი. ბელერტი და ა.შ. მისი წარმოშობა კი, საყოველთაოდ მიღებული აზრის თანახმად, განპირობებული იყო როგორც საკუთრივ ლინგვისტური, ასევე არალინგვისტური ფაქტორებით.

ლინგვისტურ ფაქტორებს, როგორც წესი, მიაკუთვნებენ სტრუქტურული ლინგვისტიკიდან ფუნქციურ ლინგვისტი-

კაზე გადასვლას.ეს ლინგვისტური მიმდინარეობები, რა თქმა უნდა, ჩვენთვის მხოლოდ იმდენადაა საინტერესო, რამდენადაც მათ კავშირი აქვთ ტექსტის ლინგვისტიკის როგორც დამოუკიდებელი დისციპლინის წარმოშობასა და მის შემდგომ განვითარებასთან. თუმცა აქვე აღვნიშნავთ, რომ ჩვენს მიზანს ასევე არ წარმოადგენს ტექსტის ლინგვისტიკის ისტორიის კვლევა – იგი ჩვენი ინტერესის ფარგლებში ექცევა იმდენად, რამდენადაც ამ ისტორიის განვითარების ლოგიკა უშუალოდ თუ არა, გარკვეული თვალსაზრისით მაინც პასუხობს ტექსტის როგორც უმაღლესი კომუნიკაციური ერთეულის როგორც სტრუქტურულ, ისე ფუნქციურ ასპექტებთან დაკავშირებულ კითხვებს.

რას ნიშნავდა სტრუქტურული ლინგვისტიკიდან ფუნქციურზე გადასვლა? თავად  ტერმინი „სტრუქტურალიზმი" პირველად რ. იაკობსონმა იხმარა 1929 წელს: „თუ გვსურს გამოვკვეთოთ მთავარი იდეა დღევანდელ მეცნიერებაში მის სხვადასხვა გამოვლინებაში, უკეთესი ტერმინის მოძიება შეუძლებელია. თანამედროვე მეცნიერება ნებისმიერ ფენომენს სწავლობს არა როგორც მექანიკურ აგლომერატს, არამედ როგორც სტრუქტურულ მთლიანს და მისი უმთავრესი ამოცანაა სისტემის შინაგანი კანონების დადგენა" [იაკობსონი, 1971 : 711].

თუმცა უნდა ითქვას, რომ სტრუქტურალისტური მიმდინარეობის ფესვებს, რასაც ეფუძნება ამერიკული დესკრიპტივიზმიც (ე. სეპირი და ლ. ბლუმფილდი), დანიური გლოსემატიკაც (ლ. იელმსლევი) და პრაღის ლინგვისტური წრეც (რ. იაკობსონი), უწინარეს ყოვლისა, აღმოვაჩენთ ფერდინანდ დე სოსიურის ლექციებში, რომლებიც მისი სტუდენტების ჩანაწერების მიხედვით გამოქვეყნდა 1916 წელს სახელწოდებით – „ზოგადი ლინგვისტიკის კურსი" ( Cours de Linguistique *Générale)*.

სტრუქტურალიზმის ფარგლებში, ფერდინანდ დე სოსიურის სწავლების მიხედვით, ენა ნიშანთა სისტემაა. სტრუქ-

ტურული მიდგომის თანახმად, ლინგვისტური ანალიზის უმაღლეს დონედ ითვლებოდა წინადადება. „წინადადება შეიძლება მხოლოდ წინ უსწრებდეს, მოსდევდეს სხვა რომელიმე წინადადებას და იგი მათთან თანამიმდევრულ ურთიერთობაში იმყოფება. წინადადებათა ჯგუფი არ წარმოქმნის უმაღლესი დონის ერთეულებს", – მიიჩნევდა ე. ბენვენისტი [ბენვენისტი, 1974 : 139].

ლინგვისტური ანალიზის სტრუქტურალისტური ტენდენციები ითვალისწინებდა ენობრივი სისტემის შემადგენელი ელემენტების (ფონემების, მორფემების, სიტყვებისა და წინადადებების) შესწავლასა და ანალიზს. მიუხედავად ამისა, როგორც ცნობილია, სტრუქტურალიზმის თვით ყველაზე „ორთოდოქსი" წარმომადგენლებიც კი კარგად აცნობიერებდნენ სინტაქსის უმაღლესი ერთეულის – წინადადების საზღვრების პირობითობას. რადგან წინადადების დონეზე უკვე შეუძლებელი ხდებოდა მთელ რიგ ენობრივ მოვლენათა ახსნა, საჭირო გახდა წინადადების ფარგლებს გარეთ გასვლა, ანუ ენობრივ მოვლენათა კვლევა და ინტერპრეტაცია უფრო „მსხვილი" ერთეულის ფარგლებში, ვიდრე წინადადებაა.

რას ნიშნავს ფუნქციური მიდგომა ენობრივი მოვლენებისადმი? „ფუნქციური მიდგომა ნიშნავდა ენობრივი მოვლენის ახსნას იმ როლის მიხედვით, რომელსაც ეს ენობრივი მოვლენა ასრულებდა წინადადების ფარგლებში" [ლებანიძე, 1998 : 116]. მაგრამ, უკვე შეუძლებელი ხდებოდა ფუნქციური მიდგომა მხოლოდ წინადადების ფარგლებში თუნდაც ისეთი ენობრივი მოვლენის მიმართ, როგორიცაა არტიკლი. როგორც ცნობილია, განუსაზღვრელი არტიკლი იხმარება საგნის პირველი დასახელებისას, განსაზღვრული კი – განმეორებით დასახელებისას. განუსაზღვრელი და განსაზღვრული არტიკლის ფუნქციების ახსნა შეუძლებელი იყო წინადადების დონეზე, ვინაიდან შეუძლებელია ერთი და იმავე საგნის ერთი წინადადების ფარგლებში დასახელება. ასევე, შეუძლებელი აღმოჩნდა ტემპორალური ურთიერთმიმართებების და კიდევ

მრავალი ენობრივი მოვლენის ფუნქციური ახსნა წინადადებ-ის ფარგლებში. როგორც უკვე ითქვა, საჭირო გახდა ენობრივ მოვლენათა ახსნა გაცილებით უფრო „მსხვილი" ერთეულის ფარგლებში, ვიდრე წინადადებაა. როგორც ვხედავთ, ფუნქციური მიდგომა მდგომარეობდა ტექსტის ცალკეული კომპონენტების განხილვაში მათი როლის თვალსაზრისით მთლიანი ტექსტის ორგანიზების ფარგლებში.

გარდა საკუთრივ ლინგვისტური მიზეზებისა, ტექსტის ლინგვისტიკის როგორც დამოუკიდებელი დისციპლინის ფორმირებაში სრულიად განსაკუთრებული როლი შეასრულა ასევე იმ სხვა სამეცნიერო დისციპლინათა გარეგანმა ზემოქმედებამ, რომელთაც უშუალო გადაკვეთის წერტილი აკავშირებდათ ენათმეცნიერებასთან. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ისეთ დისციპლინათა მონაცემების როლი, როგორებიცაა პოეტიკა, სტილისტიკა, რიტორიკა, ჰერმენევტიკა, სემიოტიკა, ფსიქოლინგვისტიკა.

ახალი დისციპლინის ფორმირებამ, რომლის მიზანი იყო ტექსტის სიტყვიერი (ვერბალური) ორგანიზაციის შესწავლა, ბუნებრივია, გამოიწვია შესაფერისი ტერმინის შერჩევის აუცილებლობა. ტერმინი „ტექსტოლოგია" უკვე „დაკავებული" აღმოჩნდა, ვინაიდან ამ ტერმინით ნაგულისხმევი შინაარსი სრულიად სხვა რამეს ნიშნავდა, კერძოდ, მეცნიერებას, რომელიც შეისწავლიდა ისტორიულ ტექსტებს მათი გაშიფვრის, დათარიღების და ა.შ. თვალსაზრისით. ასევე, ფართოდ გამოიყენებოდა ისეთი ტერმინები, როგორიცაა „ტექსტის თეორია", „ტექსტის გრამატიკა", „ტექსტის სტილისტიკა", „ტექსტის ლინგვისტიკა". ამჟამადაც კი ზოგიერთი ლინგვისტის შრომებში დაზუსტებას მოითხოვს მათი ტერმინოლოგიური შინაარსი.

ზოგადად, ტექსტის ლინგვისტიკის როგორც დისციპლინის შესწავლის ობიექტად სახელდება ვერბალური (ე.ი. სიტყვიერი) ტექსტი (როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მათ შორის მხატვრული ტექსტიც), რომლის დახასიათებისა და აღწერი-

სათვის მნიშვნელოვანია მონაცემები, რომლებიც ლინგვისტიკაშია დაგროვილი. როგორც ნ.ვალგინა აღნიშნავს, „მოცემული მეცნიერების საგანს წარმოადგენს ტექსტის როგორც უმაღლესი დონის კომუნიკაციური ერთეულის ნიშნები და მახასიათებლები (როგორც სტრუქტურული, ასევე ფუნქციური) [იქვე : 8].

თუმცა ამავე დროს უნდა ითქვას, რომ ტექსტის ლინგვისტიკის როგორც სამეცნიერო დისციპლინის საზღვრები დღესაც კი არ არის ბოლომდე დადგენილი. სხვადასხვა ლინგვისტთა ნააზრევსა და კონცეფციებში განსხვავებულ სურათს ვაწყდებით ხოლმე.

ცნობილი გერმანელი ლინგვისტი პ. ჰარტმანი ჯერ კიდევ 1970-იან წლებში ამბობდა, რომ ლინგვისტიკის ის სფერო, რომელიც ორიენტირებულია ტექსტის შესწავლაზე, წარმოადგენს ფრონტის წინა ხაზს ნაყოფიერი ენობრივი კვლევებისათვის. იგი აფართოებს ლინგვისტიკაში ინტერესთა დიაპაზონს და გზას უხსნის სფეროს, რომელშიც შედის ყველა ლინგვისტური იდეა – ძველი, უფრო ახალი, ახალი და უახლესი. ლინგვისტიკის ამ სფეროს საგანი ახალ პერსპექტივებს სახავს ლინგვისტური კვლევებისათვის.

ლინგვისტურ ტერმინთა ლექსიკონში გერმანელი ლინგვისტი ჰ. ბუსმანი ამგვარად განმარტავს ტექსტის ლინგვისტიკის არსს: „ტექსტის ლინგვისტიკა არის ენათმეცნიერული დისციპლინა. მისი საგანი ენობრივ კანონზომიერებათა შესწავლაა, რომლებიც სცილდებიან ერთი წინადადების ფარგლებს. იგი მიზნად ისახავს ტექსტის როგორც ენის ერთეულის მაკონსტიტუირებელი ნიშნების განსაზღვრას, და სწორედ ამით უყრის საფუძველს ტექსტის თეორიას" [ფილიპოვი, 2003 : 12].

ლინგვისტური ენციკლოპედია ამ ფენომენს განიხილავს როგორც „ლინგვისტურ კვლევათა მიმართულებას, რომლის ობიექტი ტექსტის აგების კანონები და მისი აზრობრივი კატეგორიებია" [არუთინოვა, 1990 : 267].

ზ. ტურაევას მიხედვით, ტექსტის ლინგვისტიკა არის მეცნიერება ადამიანთა კომუნიკაციის წინაპირობისა და პირობების ორგანიზების არსის შესახებ. ტექსტის ინტენსიური შესწავლა განაპირობებს ენის ლინგვისტიკიდან მეტყველების ლინგვისტიკაზე გადასვლას, ყურადღების გამახვილებას კომუნიკაციის აქტზე" [ტურაევა, 1986 : 5].

იგი გამოყოფს რამდენიმე მიმართულებას, რომლის ფარგლებშიც ვითარდება ტექსტის ლინგვისტიკა:

1) ტექსტის როგორც იმ უმაღლესი რანგის ენობრივი სისტემის შესწავლა, რომლის ძირითად ნიშნებს წარმოადგენს მთლიანობა და შეკავშირებულობა;

2) ტექსტთა ტიპოლოგიის აგება კომუნიკაციური პარამეტრების მიხედვით, ლინგვისტურ ნიშანთა ურთიერთშესაბამისობით (გამოხატვის პლანისა და შინაარსის პლანის ფართოდ გაგებული ერთიანობით);

3) ტექსტში შემავალი ძირითადი ერთეულების შესწავლა;

4) ტექსტობრივ კატეგორიათა გამოვლენა;

5) ტექსტის ფარგლებში სხვადასხვა დონის ენობრივი ერთეულების ფუნქციონირების განსაზღვრა;

6) ტექსტში შემავალი ფრაზათაშორისი კავშირებისა და მიმართებების შესწავლა [იქვე, 8].

ტექსტის ლინგვისტიკის შესწავლის ძირითად ამოცანებს ნ. შევჩენკო მიაკუთვნებს:

ტექსტის ანალიზს;

ტექსტის პარამეტრთა განსაზღვრას;

ტექსტობრივ ერთეულთა განსაზღვრას;

ტექსტობრივი კატეგორიების განსაზღვრას [შევჩენკო, 2003 : 6].

ტექსტის ლინგვისტიკისათვის ასევე აქტუალურია ტექსტთა ტიპოლოგიის აგებისა და დადგენის პრობლემა. როგორც მიჩნეულია, ტექსტთა ისეთი საკმარისად სრული და ერთიანი ტიპოლოგია, რომელიც ყველა მოთხოვნას დააკმაყოფილებდა, ჯერ არ შექმნილა. ამდენად, დღეისათვის

ყველაზე მნიშვნელოვნად უნდა მივიჩნიოთ თავად „ტექსტის ტიპის" ცნებისა და იმ კრიტერიუმების დაზუსტება, რომლებიც საფუძვლად უნდა ედოს ტექსტთა ტიპოლოგიზაციას.

დღეისათვის უკვე უფრო მკაფიოდ იკვეთება ის მიმართულებები, რომელთა მიხედვითაც ვითარდება ტექსტის ლინგვისტიკა. თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, არცთუ იშვიათად ეს მიმართულებები ერთმანეთისაგან საგრძნობლად განსხვავდებიან ტექსტის აღწერისა და მისი ანალიზის კონკრეტული მეთოდიკის შემუშავების თვალსაზრისით.

მაგალითად, ი. პეტეფი ყურადღებას ამახვილებს ტექსტის შესწავლის ორ ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულებაზე. ერთი მიმართულების წარმომადგენლები ტექსტს განიხილავენ როგორც წინადადების იდენტურ, თუმცა მასზე მოცულობით აღმატებულ ერთეულს. მეორე მიმართულების მომხრეებს კი მთელი აქცენტი გადააქვთ ტექსტისადმი კომუნიკაციურ მიდგომაზე. ი. პეტეფი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ აუცილებელია წინადადების როგორც სინტაქსის ძირითადი ერთეულიდან მთელი აქცენტი გადატანილ იქნეს ტექსტზე. ამასთანავე, მისი აზრით, ენობრივი მოვლენების ტრადიციულ სინტაქსურ აღწერას უნდა დაემატოს მათი სემანტიკური და პრაგმატიკული (კომუნიკაციის პროცესთან დაკავშირებული) ანალიზი [პეტეფი, 1987 : 3].

ასევე ორ ძირითად მიდგომას გამოყოფს კ. ბრინკერი:

1. ტექსტის როგორც ენობრივ იერარქიაში უმაღლესი ნიშნობრივი ერთეულის შესწავლა;

2. ტექსტის როგორც კომუნიკაციური ერთეულის შესწავლა.

პირველი მიდგომა (სისტემურ მიდგომაზე ორიენტირებული) თავისი არსით სათავეს სტრუქტურული ლინგვისტიკიდან იღებს. როგორც ცნობილია, მოცემული დისციპლინის ფარგლებში უმაღლეს ენობრივ ერთეულად სწორედ წინადადება ითვლებოდა და არა ტექსტი. სტრუქტურული ლინგვისტიკა კონცენტრირებას ახდენდა ენობრივი ელემენტების სეგმენტ-

აციასა და კლასიფიკაციაზე წინადადების ფარგლებში, ასევე, განსაზღვრავდა ენობრივ კომპეტენციას (ენის გამოყენების უნარს) როგორც ამა თუ იმ ენის მატარებლის უნარს, წარმოქმნას წინადადებათა უსასრულო რაოდენობა. კ. ბრინკერი ამ მიდგომის ფარგლებში ასახელებს უკვე არა წინადადების, არამედ ტექსტის როგორც ენის დონეებრივ სისტემაში უმაღლესი იერარქიული ერთეულის შესწავლის აუცილებლობას.

ტექსტის შესწავლის მეორე მიმართულებას კ. ბრინკერი უწოდებს „კომუნიკაციურად ორიენტირებულ ტექსტის ლინგვისტიკას". იგი მიიჩნევს, რომ ტექსტი კომუნიკაციური სიტუაციის განუყოფელი ნაწილია: იგი ყოველთვის ჩართულია კონკრეტულ კომუნიკაციურ პროცესში, სადაც მეტყველი სუბიექტი და მსმენელი სუბიექტი, შესაბამისად ავტორი და მკითხველი, თავიანთი სოციალური და სიტუაციური მახასიათებლებით წარმოადგენენ უმნიშვნელოვანეს ფაქტორებს [ბრინკერი, 1992 : 12-15].

ვ.ჰაინემანი ყურადღებას ამახვილებს ტექსტის შესწავლის სამ მიდგომაზე: სინტაქსური, სემანტიკური და კომუნიკაციური (ან კომუნიკაციურ-პრაგმატიკული).

სინტაქსური მიდგომის ფარგლებში „წინადადების გრამატიკის" (Satzgramatic) მეთოდები ამა თუ იმ სახით გადაინაცვლებენ ტექსტის ანალიზზე, რის შედეგადაც იქმნება ახალი „ტექსტის გრამატიკა" (Textgrammatic). „ტექსტის გრამატიკა" აქტიურად იყენებს იმ ცნებით აპარატსა და ანალიზის იმავე მეთოდებს, რასაც „წინადადების გრამატიკა". „ტექსტის გრამატიკა" უპირატესად დაინტერესებულია წინადადებათა შეკავშირებით, რაც ნათელს ჰფენს ტექსტის ზოგიერთ სტრუქტურულ მახასიათებელს.

გარდა „ზედაპირული სტრუქტურის" (ამ ტერმინს აქტიურად იყენებენ სინტაქტიკის სფეროს ანალიზისას რ. ბოგრანდი და ვ. დრესლერი თავიანთ ცნობილ ნაშრომში – Introduction to Text linguistics.) შესწავლისა, იქმნება აუცილებლობა „სიღრმისეული" შინაარსობრივი ურთიერთმიმართებათა

კანონზომიერებების დადგენისა ტექსტში, რაც შესაძლებელია განხორციელდეს სემანტიკური მიდგომის საფუძველზე. ვ. ჰაინემანის მიხედვით ეს „ტექსტის სემანტიკის" (Textsemantic) სფეროს განეკუთვნება.

„ტექსტის სემანტიკის" თეორიის შემუშავება დღესაც სერიოზული და ჯერ კიდევ მეტად პრობლემური საკითხია ტექსტის ლინგვისტიკაში.

კომუნიკაციური (ან კომუნიკაციურ-პრაგმატიკული) მიდგომის საფუძველზე ტექსტი განიხილება როგორც განსაკუთრებული კომუნიკაციური ერთეული. ენობრივი სტრუქტურები ვ. ჰაინემანს უპირველესად აინტერესებს როგორც მეტყველი პირის (სუბიექტის) კონკრეტული ინტენციების განხორციელების საშუალება.

ყველა ზემოთ ციტირებულ ავტორთა მიდგომების საფუძველზე თუ ვიმსჯელებთ, ვნახავთ, რომ ტექსტის ლინგვისტიკის განვითარებასთან ერთად იწყება ენის ტრადიციული თეორიის ფუნდამენტური გადაფასება. ლინგვისტთა თვალსაზრისით, ტექსტი მიიჩნევა ენობრივი დონის უმაღლეს ერთეულად, როგორც პ. ჰარტმანი აღნიშნავს, „ენის პირველად ნიშნად". ამდენად, ენობრივი ერთეულების ტრადიციული იერარქია (ფონემა – მორფემა – სიტყვა – წინადადება) კიდევ ერთი ერთეულით იზრდება და ენის დონეებრივ სტრუქტურაში უმაღლეს ადგილს უკვე ტექსტი იკავებს. ტექსტის ლინგვისტიკის განვითარების ეტაპზე ენობრივი სისტემა არა მხოლოდ სიტყვებისა და წინადადებების წარმოქმნის პროცესს არეგულირებს, არამედ ტექსტის ფორმირებისასაც [ჰარტმანი : 1981].

ამასთანავე, რაც განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია, ყველა ჩვენ მიერ ციტირებული ცნობილი ლინგვისტების თანახმად, თანამედროვე კომუნიკაციურად ორიენტირებულ ტექსტის ლინგვისტიკაში წინა პლანზეა პრაგმატიკული (კომუნიკაციურ-პრაგმატიკული) მიდგომა.

როგორც ვხედავთ, ტექსტის ლინგვისტიკას როგორც

სამეცნიერო დისციპლინას თავის წარმოშობის მეტად საინტერესო ისტორია გააჩნია და ამ ისტორიის მანძილზე ტექსტის შესწავლის არაერთ მიმდინარეობასა და მიდგომას იტევს. თუმცა, მათ შორის იკვეთება ორი ძირითადი მიმდინარეობა:

პირველი ეფუძნება თავად ტექსტის ლინგვისტიკის წარმოშობის ისტორიას. დასაწყისში ტექსტი შეისწავლებოდა ძირითადად სტრუქტურული, ტაქსონომიური მეთოდებით. როგორც აღვნიშნეთ, ტექსტის ლინგვისტიკა წარმოიშვა იმიტომ, რომ წინადადების ფარგლებში აღარ ხერხდებოდა მთელ რიგ ენობრივ მოვლენათა ახსნა. ყურადღება მიექცა ტექსტის შეკავშირების სხვადასხვა საშუალებების კვლევას, ისეთს, მაგალითად, როგორიცაა:

სახელთა პერიფრაზი (პერიფრაზი არის შინაარსის განმეორება, ოღონდ სხვა სიტყვებით);

ერთი და იმავე აღსანიშნის სინონიმებით ჩანაცვლება;

კორეფერენცია (ანუ ერთი და იმავე რეალობის სხვადასხვა საშუალებით აღნიშვნა, ენობრივ გამოხატულებათა შესაბამისობა სინამდვილის ერთსა და იმავე ობიექტთან. ყველაზე ტრადიციული ფორმა, რომლითაც ტექსტში ხორციელდება კორეფერენცია, არის ნაცვალსახელური რეპრეზენტაცია. მაგალითად,

'Mrs Smith is a secretary. **She** works at an office. **She** goes to the office every morning) ;

განსაზღვრულ და განუსაზღვრელ არტიკლთა მოხმარება, ანაფორული და კატაფორული მიმართებები. **ანაფორა** (ბერძ. anapherein ნიშნავს „უკან გადატანას", „დაბრუნებას") არის ენობრივი ერთეულების გამოყენება, რომელთა ინტერპრეტირება შესაძლებელია მხოლოდ ტექსტის წინა ფრაგმენტის მეშვეობით. **კატაფორა** ნიშნავს მიმართებას იმაზე, რაც შემდგომში იქნება წარმოდგენილი ტექსტში. მაგალითად, He's the biggest slob I know. He is really stupid. He's so cruel. He's my boyfriend, Steve';

წინადადების აქტუალური დანაწევრების პრობლემა (ყო-

ველი წინადადება, როგორც ვიცით, ხასიათდება ბინარული სტრუქტურით – სუბიექტით და პრედიკატით. სუბიექტისა და პრედიკატის ცნებები თავის თავში გულისხმობენ ინფორმაციულობას – გვაქვს „თემა" (რაღაც ცნობილია – ანუ სუბიექტი) და „რემა" (რაღაც ახალია – ანუ პრედიკატი. ამგვარ დანაწევრებას წინადადების აქტუალური დანაწევრება ეწოდება) და ა.შ.

როგორც ვხედავთ, ამ ენობრივ მოვლენათა ახსნა და მათი კვლევა მხოლოდ წინადადების ფარგლებში ნამდვილად შეუძლებელი იყო. ამგვარად გაჩნდა რთული სინტაქსური მთლიანის ცნება, რომელსაც ასევე „ზეფრაზული ერთიანობის" სახელით იცნობენ ლინგვისტურ ლიტერატურაში.

2. მეორე მიმართულების მიხედვით, რომელიც დომინირებს თანამედროვე ტექსტის ლინგვისტიკაში, ტექსტი განიხილება უპირველესად როგორც კომუნიკაციური ერთეული. 1970-იანი წლებიდან ტექსტის უკვე სრულიად ახალი გაგება გაჩნდა: იგი მოიაზრებოდა როგორც კომუნიკაციური პროცესი და ამის კვალდაკვალ ტექსტის ლინგვისტიკა გადაიზარდა დისკურსულ ანალიზში. ტექსტის ლინგვისტიკის ერთ-ერთი საფუძვლის ჩამყრელი, ცნობილი ჰოლანდიელი ლინგვისტი ტ. ვან დეიკი 1970-იანი წლების მეორე ნახევრიდან ტექსტობრივი ტერმინოლოგიიდან დისკურსულ ტერმინოლოგიაზე გადავიდა, რაც სტატიკურიდან დინამიკურზე, პროცედურულ მიდგომაზე გადასვლას ნიშნავდა. ტექსტები სწორედ სუბიექტთა ენობრივი ურთიერთქმედების შედეგად წარმოიშვებიან და ტექსტის არსის ადეკვატური გაგება შესაძლებელია მხოლოდ ამ ენობრივი ურთიერთობის დინამიკური პროცესების გათვალისწინებით. ტექსტისადმი ამგვარ მიდგომაში განსაკუთრებული წვლილი აქვს შეტანილი რ. ბოგრანდისა და ვ. დრესლერის ჩვენ მიერ უკვე დასახელებულ ცნობილ ნაშრომს "Introduction to Text Linguistics". ამ მეცნიერთა მიხედვით ტექსტი არის კომუნიკაციური ხდომილება, ხოლო ტექსტის ლინგვისტიკის უმთავრესი მიზანია,

დაადგინოს, თუ როგორ ფუნქციონირებენ ტექსტები ადამიანური ინტერაქციისას (კომუნიკაციური ურთიერთზემოქმედებისას). ტექსტი უკვე განიხილება როგორც „ენა მოქმედებაში" (M.Halliday). ამგვარი გაგებით, ტექსტის ლინგვისტიკა უშუალოდ „ემორჩილება" კომუნიკაციური ლინგვისტიკის მონაცემებს და, შეიძლება ითქვას, მის უშუალო გამოვლინებას წარმოადგენს. ტექსტის როგორც ლინგვისტური ცნების განსაზღვრა თანამედროვე კომუნიკაციურ ლინგვისტიკაში ეფუძნება მისი როგორც კომუნიკაციური ერთეულის კვლევას. კომუნიკაციური ლინგვისტიკისათვის ენა არის პირველ რიგში არა ნიშანთა სისტემა, არამედ „ენა მოქმედებაში".

როგორც ვხედავთ, ტექსტის ლინგვისტიკას ისტორიულად საკმაოდ რთული გზის გავლა უწევს : სტრუქტურული ლინგვისტიკის ფარგლებში ვეღარ ხერხდება მისი შესწავლის ობიექტის – ტექსტში შემავალი ენობრივი ერთეულების ფუნქციური დანიშნულების კვლევა და საჭირო ხდება მათ მიმართ ფუნქციური მიდგომა, რაც განაპირობებს ფუნქციური ლინგვისტიკის წარმოშობას, რომელიც, თავის მხრივ, სტრუქტურული ლინგვისტიკის განშტოებას წარმოადგენს. შემდგომში კი აღარ არის საკმარისი მხოლოდ ფუნქციური მიდგომის ფარგლებში დარჩენა და ტექსტი უპირველესად განიხილება როგორც კომუნიკაციური ერთეული, რაც ხორციელდება უკვე ანთროპოცენტრისტული[1] კომუნიკაციური ლინგვისტიკის ფარგლებში. ფუნქციური ლინგვისტიკიდან ანთროპოცენტრისტულ კომუნიკაციურ ლინგვისტიკაზე გადასვლა უმნიშვნელოვანეს მეთოდოლოგიურ ძვრად მიიჩნევა თანამედროვე ენათმეცნიერებაში [რუზინი, 1993 : 48]. ის თეორიული შედეგი, რომელიც გულისხმობდა ფუნქციური ლინგვისტიკის განვითარებას, როგორც გ. ლებანიძე აღნიშნავს, ნიშნავდა თვით ფუნქციური ლინგვისტიკის შინაგან გარდაქმნას, მის კომუნიკაციურ ლინგვისტიკაში გადაზრდას. „ორი ტერმინი – ფუნქციური ლინგვისტიკა და კომუნიკაციური ლინგვისტიკა

1 ანთროპოცენტრიზმი ენათმეცნიერებაში ნიშნავს ენობრივ კომუნიკაციაში ადამიანური ბუნებისა და როლის ფაქტორის შესწავლას.

ერთმანეთთან საკმაოდ რთულ მიმართებაში არიან. კომუნიკაციური ლინგვისტიკა ეს არის ფუნქციური ლინგვისტიკა ლინგვისტური აზროვნების იმ ეტაპზე, როცა რადიკალურად იცვლება თვით კომუნიკაციის ცნება" [ლებანიძე, 1998 : 118].

თავად ტერმინი „კომუნიკაციური ლინგვისტიკა" გვეუბნება, რომ მისთვის ყველაზე მნიშვნელოვან მომენტს წარმოადგენს თვით კომუნიკაციის ცნება. მაგრამ რას უნდა ნიშნავდეს „განახლებული კომუნიკაციის" ცნება? კომუნიკაციის ფუნქცია ხომ მუდამ არსებობდა ენათმეცნიერებაში და მუდამ განისაზღვრებოდა როგორც ენის ძირითადი ფუნქცია? ტერმინი „კომუნიკაცია" მომდინარეობს ლათინური სიტყვისაგან communicatio, რაც ნიშნავს „გახადო საერთო, დააკავშირო, შეატყობინო". თანამედროვე კომუნიკაციური ლინგვისტიკისათვის ამოსავალ მომენტს წარმოადგენს არა მხოლოდ ინდივიდის ენობრივი კომპეტენციის აქტუალიზაცია (ანუ მისი ენის გამოყენების უნარი), არა მხოლოდ „შეტყობინების", „კავშირის დამყარების" ფუნქცია, როგორც კომუნიკაციის ცნების ტრადიციული გაგება, არამედ თავად განახლებული კომუნიკაციური აქტის ცნება. ნებისმიერი კომუნიკაციური აქტი განისაზღვრება ორი კომუნიკანტის ურთიერთქმედებით – ადრესანტით (მეტყველი პირი, პროდუცენტი) და ადრესატით (მსმენელი სუბიექტი, მკითხველი, რეციპიენტი). ტექსტის, როგორც უპირველესად კომუნიკაციური ერთეულის, შესწავლის ეს მიმართულება კომუნიკაციურ ლინგვისტიკაში პრაგმატიკიდან იღებს სათავეს.

პრაგმატიკული მიდგომის საფუძველზე ტექსტი განიხილება როგორც რთული სამეტყველო აქტი, რომელიც იქმნება გარკვეული მიზნებითა და განზრახვებით, და რომელშიც ადრესატზე ზემოქმედების მიზნით გამოიყენება ენობრივ საშუალებათა მთელი კომპლექსი. ტექსტის პრაგმატიკული თვალსაზრისით განხილვისას ამოსავალ წერტილად მიჩნეულია სამეტყველო აქტის თეორიის გათვალისწინება. პრაგმატიკის განზომილება დაკავშირებულია მეტყველ და მსმენელ

სუბიექტთან, ანუ ადრესანტთან და ადრესატთან, მათ ურთიერთმიმართებასთან კომუნიკაციის პროცესში [არუთინოვა, 1990 : 390].

თანამედროვე ლინგვისტური პრაგმატიკა, რომელიც ენობრივი ნიშნის ერთ-ერთ სემიოტიკურ განზომილებას შეისწავლის, კომუნიკაციის განახლებულ გაგებასა და კომუნიკაციური აქტის მოდელს ეფუძნება. ამდენად, შესაძლებელია ვილაპარაკოთ არა მხოლოდ კომუნიკაციურ, არამედ კომუნიკაციურ-პრაგმატიკულ მიდგომაზე.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, თუ ტექსტის ლინგვისტიკის, როგორც დისციპლინის, კონტურებს შემოვხაზავთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგი ძირითადად ემსახურება როგორც ტექსტში ფუნქციონირებადი ენობრივი ერთეულების, ანუ ტექსტის ფუნქციური მახასიათებლების მიხედვით კვლევას, ასევე თვით ტექსტის როგორც კომუნიკაციური ერთეულის შესწავლას. მას შეუძლია განსაზღვროს ტექსტის არსი, ტექსტობრივ კატეგორიათა სისტემა, ტექსტის ორგანიზაციის კანონები, დასახოს ტექსტთა ტიპოლოგიზაციის პრობლემის გადაჭრა. იგი განისაზღვრება როგორც ზოგადფილოლოგიური დისციპლინა, რომელიც, როგორც ლ.ა. ნოვიკოვი აღნიშნავს, XXI საუკუნის მსოფლიო მეცნიერებაში ენის კვლევასთან დაკავშირებული ერთ-ერთი მაგისტრალური მიმართულებაა.

როდესაც ჯერ კიდევ XX საუკუნის 30-იან წლებში მ. ბახტინი ტექსტის ადგილს განსაზღვრავდა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა შორის, იგი ამბობდა: „ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს ჩავუღრმავდეთ ჰუმანიტარული მეცნიერებების – კერძოდ კი ფილოლოგიისა და ლინგვისტიკის – ისტორიას – ჩვენ გვაინტერესებს ჰუმანიტარული აზროვნების სპეციფიკა... რაც რეალიზებული და გადმოცემულია მხოლოდ ტექსტით და ტექსტში [ბახტინი, 1986 : 474].

არაერთი ლინგვისტი აღნიშნავს, რომ ჰუმანიტარულ დისციპლინებში ტექსტის როლის ამგვარი ხედვა და შეფა-

სება საფუძვლად ედება თვით თანამედროვე ენათმეცნიერების საგნის ხელახლა გადააზრებას. XX საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი ენათმეცნიერი, დანიური ლინგვისტური სტრუქტურალიზმის ფუძემდებელი ლ. იელმსლევი აცხადებდა: მხედველობაში უნდა მივიღოთ ის, რომ არა ენა, არამედ ტექსტი გვევლინება უშუალო ლინგვისტურ ფაქტად და მხოლოდ ტექსტის ანალიზის საშუალებით შევიცნობთ ენას.

XX საუკუნის ასევე უდიდესი ლინგვისტი მ. ჰალიდეი მიიჩნევდა, რომ „ტექსტი – ეს არის ენა მოქმედებაში". მისი აზრით, თავად ენის ცოდნის ფაქტი გულისხმობს, რომ მეტყველმა პირმა იცის განსხვავება ტექსტსა და არატექსტს შორის – სიტყვებისა და წინადადებების ერთმანეთთან დაკავშირებას შორის. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მეტყველი სუბიექტი ეყრდნობა არა სიტყვებისა და სტრუქტურების ცოდნას, არამედ იმ როლს, რომელსაც ენა ასრულებს მოცემულ სიტუაციაში. ამ თვალსაზრისით, როგორც მ. ჰალიდეი მიიჩნევდა, ენის როლზე შეიძლება ვილაპარაკოთ იმ შემთხვევაში, თუ მას ტექსტად მივიღებთ [ჰალიდეი, 1970 : 142].

„ტექსტის ამგვარი გლობალური გაგება", აღნიშნავს ტ. ნიკოლაევა მ. ჰალიდეის ამ საყოველთაოდ ცნობილი სიტყვების შესახებ, „იმაზე მიგვითითებს, რომ ენათმეცნიერება საერთოდ შეიძლება მოვიაზროთ როგორც „ტექსტის ლინგვისტიკა" [ნიკოლაევა, 1978 : 9].

ტექსტის ლინგვისტიკისათვის ამგვარი ფუნდამენტური როლის მინიჭება თანამედროვე ჰუმანიტარულ აზროვნებაში გარკვეული ფაქტორებითაა განპირობებული. თუ ჩვენ ამ განპირობებულობას შევხედავთ საკუთრივ ლინგვისტური თვალსაზრისით, ტექსტის როგორც ლინგვისტური ცნების გაგება, ჩვენის აზრით, უპირველეს ყოვლისა, უნდა ეფუძნებოდეს მისი გენეზისის ისტორიას და ამ ისტორიის განვითარების ლოგიკას.

ჩვენი სახელმძღვანელოს სტრუქტურას განსაზღვრავს სწორედ ის პროცესები, რომლებსაც ადგილი აქვს თანამე-

დროვე ტექსტის ლინგვისტიკაში. საკმაოდ ვრცელი შესავლის შემდეგ, რომლის მიზანი იყო პასუხი გაეცა კითხვებზე, თუ რა წარმოადგენს ტექსტის ლინგვისტიკის კვლევის საგანს, რა ფაქტორებმა განაპირობეს მისი როგორც დამოუკიდებელი დისციპლინის გამოყოფა, რა ადგილი უჭირავს მას სხვა მეცნიერულ დისციპლინათა და ასევე ფილოლოგიურ დისციპლინათა შორის და ა.შ., შევეცდებით გამოვყოთ ის ძირითადი საკითხები, რომლებიც განხილული იქნება ჩვენი სახელმძღვანელოს ფარგლებში. ეს საკითხებია:

1. ტექსტის როგორც ლინგვისტური ცნების გენეზისი და მისი წყაროები;

2. ტექსტის როგორც უმაღლესი რანგის ნიშნობრივი ერთეულის სტრუქტურულ-ფუნქციური კვლევის პრობლემა;

3. ტექსტის როგორც უმაღლესი კომუნიკაციური ერთეულის კვლევის პრობლემა;

4. ტექსტობრივ კატეგორიათა სისტემის აგების პრობლემა.

**ვიმსჯელოთ შემდეგ საკითხებზე:**

1. რას შეისწავლის ტექსტის ლინგვისტიკა?

2. განსაზღვრეთ ტექსტის ლინგვისტიკის ადგილი სხვა სამეცნიერო დისციპლინების გვერდით. რას ითვალისწინებდა ტოინ ვან დეიკის მიერ შემოტანილი ტერმინი „მეცნიერება ტექსტების შესახებ”?

3. განსაზღვრეთ ტექსტის ლინგვისტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის ინტერესები ტექსტთან მიმართებაში. სად ხდება მათი საზღვრების ურთიერთგადაკვეთა?

4. განსაზღვრეთ, თუ რა ურთიერთმიმართებაშია სამი ფილოლოგიური დისციპლინა – ტექსტის ლინგვისტიკა, ტექსტის ლინგვისტური ანალიზი და ლიტერატურათმცოდნეობა.

5. დაასახელეთ ტექსტის ლინგვისტიკის წარმოშობის წყაროები.

6. რა ფაქტორებმა განაპირობეს ტექსტის ლინგვისტიკის როგორც დამოუკიდებელი სამეცნიერო დისციპლინის გამოყოფის აუცილებლობა?

7. დაასახელეთ ის დეფინიციები, რომლებიც მოცემულია სხვადასხვა ლინგვისტების მიერ ტექსტის ლინგვისტიკასთან როგორც სამეცნიერო დისციპლინასთან დაკავშირებით.

8. ჩამოთვალეთ ის მიმართულებები, რომელთა ფარგლებში ვითარდება ტექსტის ლინგვისტიკა.

9. რას ნიშნავს ფუნქციური მიდგომა ენობრივი ერთეულისადმი და რა ფაქტორებმა განაპირობეს სტრუქტურული ლინგვისტიკიდან ფუნქციურ ლინგვისტიკაზე გადასვლა?

10. რას ნიშნავს ტერმინი „ანთროპოცენტრისტული კომუნიკაციური ლინგვისტიკა“? რა მიმართებაში არიან ერთმანეთთან კომუნიკაციური ლინგვისტიკა და ტექსტის ლინგვისტიკა? რას ნიშნავს კომუნიკაციის „განახლებული“ ცნება?

# თავი I.
# ტექსტი როგორც ენობრივი ფენომენი და ტექსტის ლინგვისტიკა

## §1. ტექსტი როგორც ლინგვისტური ცნება და მისი გენეზისის სამი წყარო: ენობრივი ნიშნის თეორია, ენობრივი სისტემის დონეებრივი მოდელი და კომუნიკაციის თეორია

ტერმინი „ტექსტი" იმდენად არის ყოველდღიურ ხმარებაში შემოსული, რომ, ერთი შეხედვით, უცნაურადაც კი შეიძლება მოგვეჩვენოს, თუ ვინმე დასვამს კითხვას, რას შეიძლება იგი ნიშნავდეს.

ტერმინის დეფინიციასთან დაკავშირებული პრობლემის შემთხვევაში, ტრადიციულად მიღებულია მისი ეტიმოლიგიის გათვალისწინება. ჩვენც მივყვეთ ჩვეულ ტრადიციას და ვნახოთ ამ ფართოდ ხმარებული ტერმინის ეტიმოლოგია, რომელიც, შეგვიძლია თავიდანვე განვაცხადოთ, საკმაოდ რთული სახის არის.

ლათინურად „ტექსტი" (textum) ნიშნავს „ქსოვილს", „ნაქსოვს", „ტანსაცმელს", „კავშირს", „შეკავშირებულობას",

„ნაშენებს" ; "textus" – „ქსოვას", „შეკავშირებულ თხრობას", „გადაბმას", „შეთხზვას".

ტერმინის ეტიმოლოგიის გათვალისწინებით ჩვენ თანმიმდევრულად შევეცდებით პასუხები გავცეთ კითხვებს – რისგან არის „ნაქსოვი" ან „ნაშენები" ტექსტი? როგორ უნდა განისაზღვროს მასში შემავალი ერთეულების ორგანიზების კანონები? როგორ უნდა დადგინდეს ტექსტის როგორც სტრუქტურული ერთეულის საზღვრები? რა სტრუქტურული და ფუნქციური მახასიათებლები გააჩნია მას? და ა.შ.

აღნიშნულ კითხვებზე პასუხების მოძიებამდე შევეცადოთ გავარკვიოთ, რითი განსხვავდება ტექსტის როგორც ლინგვისტური ცნების გაგება „არალინგვისტური" გაგებისაგან.

როგორც შესავალში აღვნიშნეთ, ტექსტად შეიძლება იწოდებოდეს როგორც რამდენიმე ასეული გვერდის მოცულობის ნაწარმოები, ასევე ორი ან ორზე მეტი თემატურად ურთიერდაკავშირებული წინადადება. ზღვრულ შემთხვევებში კი ტექსტის როლის შესრულება შეუძლია წინადადებასაც. ამასთანავე, ტექსტი შეიძლება გავიგოთ უკიდურესად ფართო მნიშვნელობითაც, როგორც ეს ესმის, მაგალითად, თანამედროვე სემიოტიკას (ან მასზე დაფუძნებულ ტექსტის ფილოსოფიას). თანამედროვე სემიოტიკაში ტექსტად მიჩნეულია ნებისმიერი ნიშნობრივი თანმიმდევრობა – მხატვრული ტილო, ლექსი, ცეკვა, რაიმე ტიპის ჟესტი და ა.შ. – ყველაფერი, რაც ასრულებს კომუნიკაციის ფუნქციას. ცნობილი სემიოტიკოსი, კულტუროლოგი და ლიტერატურათმცოდნე ვ. რუდნევი აღნიშნავს, რომ თვით ქალაქის ქუჩაც კი არის ტექსტი ან ტექსტთა ერთობლიობა, რადგან ქუჩის სახელწოდება და სახლების ნომრები, მაღაზიების რეკლამა და დასახელება, საგზაო ნიშნები და შუქნიშანი – ყოველივე ეს ინფორმაციის მატარებელია (და, შესაბამისად, ასრულებს კომუნიკაციის ფუნქციას). ჩაცმულობის მიხედვით შეიძლება ქუჩაში მიმავალი ხალხის პროფესიის, ასაკის, სოციალური სტატუსის

გამოცნობა – სამხედროა, მათხოვარია, უცხოელია, პანკია, ჩინოვნიკია თუ ინტელიგენტია. მაგრამ ასეთ შემთხვევაში, მიიჩნევს ჩვენ მიერ ციტირებული ავტორი, „სამყაროში ყველაფერი ტექსტი ყოფილა და აღარ რჩება ადგილი რეალობისათვის" [რუდნევი, 1997 : 308].

მაგრამ თუკი ტექსტი შეგვიძლია გავიგოთ ისეთი ფართო მნიშვნელობით, რომ ნებისმიერი ნიშნობრივი ერთეული – ვერბალური თუ არავერბალური – არის ტექსტი, მაშინ რას უნდა ნიშნავდეს ავტორის განცხადება, რომ ასეთ შემთხვევაში „ადგილი აღარ რჩება რეალობისათვის"? (ნიშანი ხომ იმდენად არის ნიშანი, რომ იგი რაღაცას ნიშნავს – მაშ რატომ არ უნდა მივიჩნიოთ რეალობად ის, რასაც იგი ნიშნავს?). რატომ უპირისპირებს ავტორი ტერმინებს „ტექსტსა" და „რეალობას"?

ნებისმიერ ენაში ნებისმიერ სიტყვას მნიშვნელობა ენიჭება იმ სიტყვის ფონზე, რომელსაც საპირისპირო მნიშვნელობა აქვს (ლინგვისტურ ლიტერატურაში ამგვარ ფენომენს „ბინარული ოპოზიციის" სახელწოდებით განიხილავენ). ვ. რუდნევის აზრით, სწორედ ასეთ ანტონიმებია სიტყვები „ტექსტი და რეალობა". იგი ამგვარ მაგალითს გვთავაზობს: „წარმოიდგინეთ ამგვარი სცენა: თქვენ მიემგზავრებით მატარებლით, რადიოთი ახალ ამბებს გადმოსცემენ, ფანჯრებიდან ქალაქები და სოფლები, სადგურების სახელწოდებები მოჩანს, მგზავრები საუბრობენ პოლიტიკაზე, ვიღაც გაზეთს კითხულობს, პატარა კიდეში თქვენი სახე აირეკლება სარკეში, კარს იქით მატარებლის გამყოლი ქალები ჩხუბობენ, რომელიღაც კუპეში ბავშვი ტირის, სადღაც მაგნიტოფონი უკრავს და ხრინწიანი ხმა ინგლისურად რაღაცას მღერის. აი, ეს არის რეალობის პატარა მოდელი, მაგრამ იგი ხომ მთლიანად, არსებითად შედგება ტექსტებისაგან. ახალი ამბები რადიოში, წარწერები სადგურებზე, მგზავრების საუბარი, მუსიკა მეზობელ კუპეში, თქვენი გამოსახულება სარკეში, თქვენი მეზობელი მგზავრის გაზეთი, სიტყვა წიგნში, რომლის წაკითხვას, შესაძლოა,

თქვენ შეეცადეთ – ეს ყოველივე ტექსტია, ინფორმაციის გადმოცემა – თუმცა ამ ინფორმაციის უდიდესი ნაწილი თქვენ არაფერში გჭირდებათ და ამდენად თქვენ მის ინფორმაციულ არსს იგნორირებას უკეთებთ. ყოველივე ზემოთ ნათქვამიდან გამომდინარე – ასკვნის რუდნევი – „რეალობას განვსაზღვრავდი როგორც მეტად რთულ ნიშნობრივ სისტემას". დასასრულ, იგი ასეთ ფორმულირებას გვთავაზობს: „რეალობა არის ტექსტი, შექმნილი ღმრთის მიერ, ხოლო ტექსტი არის რეალობა, შექმნილი ადამიანის მიერ" [რუდნევი, 1986; რუდნევი, 1994].

როგორც შესავალში აღვნიშნეთ, ცნობილი ფილოსოფოსი და ტექსტის თეორიის ერთ-ერთი ფუძემდებელი მ. ბახტინი მიიჩნევდა, რომ მთელ ჰუმანიტარულ აზროვნებას საქმე აქვს – და სწორედ ესაა მისი სპეციფიკა – ტექსტთან. იგი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ტექსტი (როგორც წერილობითი, ასევე ზეპირი) მთელი ჰუმანიტარულ-ფილოლოგიური აზროვნების (მათ შორის საღვთისმეტყველო და ფილოსოფიური აზროვნებისაც) პირველადი მოცემულობაა: „ტექსტი გვევლინება იმ უშუალო სინამდვილედ (აზრისა და განცდების სინამდვილედ), რომლიდანაც შეიძლება მომდინარეობდნენ ეს დისციპლინები და ეს აზროვნება. სადაც არ არის ტექსტი, იქ არ არის ობიექტი გამოკვლევისა და აზროვნებისათვის." ავტორი იქვე დასძენს, რომ „თუ ტექტს გავიგებთ ასე ფართოდ – როგორც ყველა ნიშნობრივ კომპლექსს – მაშინ ხელოვნებათმცოდნეობასაც (მუსიკათმცოდნეობას, სახვითი ხელოვნების თეორიასა და ისტორიას) საქმე აქვს ტექსტთან (ხელოვნების ნაწარმოებთან)" [ბახტინი, 1986 : 474].

ტექსტის ლინგვისტიკას, განსხვავებით ზემოთ აღნიშნული ინტეგრალური ხედვისა ტექსტის შესახებ, საკუთარი მიზნები და ამოცანები გააჩნია ტექსტთან მიმართებაში. მისი შესწავლის საგნად, ბუნებრივია, მიიჩნევა არა ნებისმიერი ნიშნობრივი ერთეული, არამედ ვერბალური (სიტყვიერი) ტექსტი, რომელიც, თავად მ. ბახტინის სიტყვებით თუ ვი-

ტყვით, არის „პირველადი მოცემულობა ჰუმანიტარული დისციპლინებისა, უპირველეს ყოვლისა, ლინგვისტიკისა, ფილოლოგიისა, ლიტერატურათმცოდნეობისა და ა.შ.”[იქვე].

ვერბალური ტექსტის არსის, სტრუქტურის და ტიპოლოგიის განსაზღვრა სწორედ ლინგვისტური ამოცანაა – თუმცა, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ყველაზე მეტ სირთულეს სწორედ ტექსტის როგორც ლინგვისტური ცნების განსაზღვრისას ვაწყდებით.

გამომდინარე იმ მიზეზებიდან (ლინგვისტური თუ არალინგვისტური), რომელთა შესახებ უკვე გვქონდა საუბარი შესავალში, შეიქმნა ისეთი დამოუკიდებელი დისციპლინის გამოყოფის აუცილებლობა, როგორიცაა ტექსტის ლინგვისტიკა. მის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტექსტის როგორც ლინგვისტური ცნების არსის განსაზღვრა, ტექსტობრივ კატეგორიათა პრობლემის დასმა, ტექსტის ორგანიზაციის კანონების დადგენა, ტექსტთა ტიპოლოგიის აგება და ა.შ. შესავალში უკვე აღვნიშნეთ, რომ ბევრი მსგავსი პრობლემა გადაჭრილია, თუმცა ზოგიერთი მათგანი ჯერ კიდევ პრობლემად რჩება. მაგალითად, ტექსტის ლინგვისტიკაში საკმაოდ დიდხანს გრძელდებოდა (და ზოგიერთი ლინგვისტის მიერ კვლავაც გრძელდება) ისეთი პარამეტრების შემუშავება, რომელთა მიხედვით ესა თუ ის ენობრივი წარმონაქმნი შეიძლება მიჩნეულ იყოს ტექსტად. მაგალითად, შეიძლება თუ არა ტექსტად მივიჩნიოთ ისეთი ენობრივი წარმონაქმნები, როგორიცაა ლოზუნგები, მოწოდებები, სარეკლამო ტექსტები ? აუცილებელია თუ არა მოცულობის კრიტერიუმზე დაყრდნობა ტექსტის განსაზღვრისას? შეიძლებოდა თუ არა, მაგალითად, ერთი სიტყვა ან ერთი წინადადება ჩათვლილიყო ტექსტად? როგორ მეტყველებას უნდა მივაკუთვნოთ ტექსტი – ზეპირს თუ წერილობითს? ზოგი ლინგვისტი ტექსტად მიიჩნევს მხოლოდ მეტყველების წერილობით ფორმას, ხოლო ზოგი წერილობითსაც და ზეპირსაც, მაგრამ ძირითადად მონოლოგის სახით. არსებობს იმგვარი მოსაზრებაც, რომლის

მიხედვითაც ტექსტი დიალოგური მეტყველების ფორმითაც არსებობს.

როდესაც დგება ტექსტის (ვგულისხმობთ ტექსტს როგორც ლინგვისტურ ცნებას) განსაზღვრისა და მისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებების გამოყოფის საკითხი, მრავალი ლინგვისტის თვალსაზრისით, უპირველეს ყოვლისა, პასუხი უნდა გაეცეს კითხვას: როგორი ნიშან-თვისებები უნდა ახასიათებდეს ენობრივ წარმონაქმნს, რომ იგი მივიჩნიოთ ტექსტად. თუ ჩვენ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ტექსტის ფენომენი თავისი მრავალასპექტური ბუნებით გამოირჩევა, მაშინ სრულიად ბუნებრივია ისიც, რომ მის შესახებ მრავალი განსაზღვრა არსებობს და მათ ფონზე შეუძლებელი ხდება ერთი საყოველთაოდ მიღებული დეფინიციის შემუშავება. ზოგიერთ დეფინიციაში ტექსტის ერთ მხარეზეა ყურადღება გამახვილებული, მეორეში – სხვაზე და ა.შ. ზოგიერთი მათგანი ტექსტის დეფინიციის ლაკონიურ ფორმულირებას წარმოადგენს, ზოგიერთი კი დეტალურად მიუთითებს ყველა იმ ასპექტზე, რომელიც კი შეიძლება ტექსტის მრავალპლანიან ბუნებას ახასიათებდეს. პირველ შემთხვევაში, განსაზღვრა ფოკუსირებს ტექსტის რომელიმე მთავარ, არსებით ნიშანზე. მაგალითად, ჯ. მოუიტი (J.Mowitt) აღნიშნავს, რომ ტექსტი არის კომუნიკაციის აქტი, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს ტექსტობრიობის შვიდ კრიტერიუმს (მოუიტს ამ შემთხვევაში, მხედველობაში აქვს რ. ბოგრანდისა და ვ. დრესლერის მიერ შემუშავებული ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი კონცეფცია ტექსტის კრიტერიუმების შესახებ).[2] ტექსტის შესახებ ყველაზე ცნობილ დეფინიციათა მიხედვით, ტექსტი მიჩნეულია თანამედროვე ჰუმანიტარული კულტურის ერთ-ერთ საკვანძო ცნებად, რომელიც წარმოადგენს წინადადებათა სიმრავლეს, რომლებიც ერთმანეთს უკავშირდებიან აზრობრივად (თემატურად) და ლექსიკურ-გრამატიკული კავშირებით. თუ უფრო დავაზუსტებთ, დეფინიციათა მიხედვით, ტექსტი გაიგება როგორც ისეთ გამონათქვამთა თან-

2 აღნიშნული კრიტერიუმების შესახებ მსჯელობას აუცილებლად დავუბრუნდებით.

მიმდევრობა, რომლებიც გადმოგვცემენ გარკვეულ ინფორმაციას და რომელთაც აერთიანებთ საერთო თემა. ამგვარი თანმიმდევრობისათვის დამახასიათებელია შეკავშირებულობა და მთლიანობა.

მეორე შემთხვევაში ტექსტის განსაზღვრათა უმეტესი ნაწილი შეიცავს მთელ რიგ არსებით საკითხებს და კომპლექსურ ხასიათს ატარებს, რაც დამახასიათებელია თავად ტექსტის მეტად რთული და მრავალპლანიანი ბუნებისათვის. მათი მიხედვით, ტექსტი არის კომუნიკაციის ძირითადი ერთეული, ინფორმაციის შენახვისა და გადაცემის საშუალებას, მისი შემოქმედის ჩანაფიქრის ენობრივი რეალიზაცია, რომელიც უნდა გავიგოთ როგორც სპეციფიკურად ორგანიზებული ინდივიდუალური დინამიკური სისტემა. ზოგიერთი დეფინიცია კიდევ უფრო შორს მიდის, ასე მაგალითად, ტექსტი არის კულტურის არსებობის ფორმა, განსაზღვრული ისტორიული ეპოქის პროდუქტი, ინდივიდის ფსიქიკური ცხოვრების ასახვა და ა.შ. [ბელიანინი, 1998 : 6]. ამგვარი კომპლექსური მიდგომა, ვ. ნოვიკოვის თქმით, მოიცავს: „ენობრივი, სამეტყველო და ინტელექტუალური ფაქტორების ურთიერთმიმართების ერთიან კომპლექსს" [ნოვიკოვი, 1983 : 4].

როგორც წესი, ლინგვისტთა უმეტესობის მიხედვით, ტექსტად შეიძლება მიჩნეულ იქნეს მხოლოდ ისეთი ენობრივი წარმონაქმნი, რომელიც შედგება სულ ცოტა ორი (ან გაცილებით მეტი) წინადადებისაგან, რომლებსაც აქვთ ერთიანი თემა და ერთმანეთთან დაკავშირებული არიან სხვადასხვა კოჰეზიური საშუალებებით.მოცემული დეფინიცია ემთხვევა ცნობილ დეფინიციებს, რომლებიც დომინირებენ ტექსტთან როგორც ლინგვისტურ ცნებასთან დაკავშირებით. ჩვენ ხაზს ვუსვამთ „ტექსტს როგორც ლინგვისტურ ცნებას", ვინაიდან, როგორც ვნახავთ, ტექსტი შეიძლება განისაზღვროს არა მხოლოდ ლინგვისტური გაგებით, რაც ხშირ შემთხვევაში სინონიმურია ტექსტის სტრუქტურული გაგებისა, რომელიც ეყრდნობა მოცულობის, თემატურობისა და შეკავშირებუ-

ლობის კრიტერიუმებს.

მაგრამ თანამედროვე კომუნიკაციურად ორიენტირებული ტექსტის ლინგვისტიკა ითვალისწინებს აგრეთვე ტექსტის არა მხოლოდ სტრუქტურულ, როგორც ზოგიერთი ლინგვისტი უწოდებს, ე.წ. „ლინგვისტურ" გაგებას. „ტექსტის ცნება შეუძლებელია განისაზღვროს მხოლოდ ლინგვისტური თვალსაზრისით", აღნიშნავდა მე-20 საუკუნის ერთ-ერთი ცნობილი ლინგვისტი მ.ჰალიდეი. კომუნიკაციური თეორიის მიხედვით მხედველობაში მისაღებია, ასევე, ექსტრალინგვისტური პარამეტრები.

ექსტრალინგვისტურ პარამეტრები გულისხმობს არა მხოლოდ ლინგვისტურ სიტუაციას (გამონათქვამს ან ტექსტს უშუალო ენობრივი მოცემულობით – ტექსტის ექსპლიციტურ შინაარსს უშუალოდ გამოხატულს ენობრივ ნიშანთა ერთობლიობაში, რომელთაგანაც იგი შედგება), არამედ იმ სინამდვილესაც – ანუ **ექსტრალინგვისტურ სიტუაციას**, რომელთანაც დაკავშირებულია ტექსტი. ამგვარი სიტუაცია ითვალისწინებს :

1. საკომუნიკაციო აქტის მონაწილეებს მათი სოციალური როლის მიხედვით (ვინ ? ვის ?).

2. მეტყველების მიზანსა და შინაარსს (რისთვის ? რის შესახებ ?)

3. კომუნიკაციის პირობებს (სად ? როდის ?)

როგორც ვნახეთ – და ამაში კიდევ დავრწმუნდებით – ტექსტის განსაზღვრა განპირობებულია ამ ფენომენისადმი განსხვავებული მიდგომებით. თავად მიდგომის ხასიათს კი განაპირობებს ის ფაქტი, რომ თეორიული წყაროები, რომლებიც უკავშირდებიან ტექსტის როგორც ლინგვისტური ცნების გენეზისის ისტორიას, სხვადასხვა წარმოშობისაა.

ცნობილია, რომ ტექსტის ლინგვისტიკის დამოუკიდებელ დისციპლინად გამოჩენა ლინგვისტიკაში აღიქმებოდა როგორც ახალი სამეცნიერო პარადიგმის წარმოშობა ძველზე რეაქციის ნიშნად, რაც გამოიხატებოდა სისტემურ-სტრუ-

ქტურული ენათმეცნიერებიდან ფუნქციურზე გადასვლით. როგორც ვიცით, ნებისმიერი მეცნიერება ვითარდება სამეცნიერო პარადიგმათა მონაცვლეობით. მოცემულ კონტექსტში ტერმინი „პარადიგმა" გულისხმობს ამა თუ იმ მეცნიერების შესასწავლი ობიექტის (მაგალითად, ენათმეცნიერების) იმ ხედვას, რომელიც დომინირებს მოცემულ ისტორიულ ეტაპზე. ნიშნავდა თუ არა პარადიგმათა ეს მონაცვლეობა (სისტემურ-სტრუქტურული პარადიგმიდან ფუნქციურზე, ხოლო შემდგომში კომუნიკაციურ პარადიგმაზე გადასვლა) იმას, რომ ტექსტის როგორც ლინგვისტური ცნების დღევანდელი ხედვით წყდება კავშირი წინა პარადიგმებთან? ცხადია, ამ კითხვაზე პასუხი ნეგატიური იქნება : პარადიგმათა მონაცვლეობა არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს წინა პარადიგმის „გაუქმებას". მართალია, ტექსტის ლინგვისტიკა წარმოშვა ჯერ ფუნქციური, შემდეგ კი კომუნიკაციური პარადიგმის დამკვიდრებამ, მაგრამ ამჟამად იგი ვითარდება სხვა პარადიგმების ფარგლებშიც. სწორედ ამიტომაცაა, რომ თანამედროვე სიტუაცია ლინგვისტიკაში განისაზღვრება როგორც <u>პოლიპარადიგმული</u>, რაც ნიშნავს ობიექტის (მოცემულ შემთხვევაში, ტექსტის) სხვადასხვა მიმართულებით შესწავლას. „თანამედროვე ლინგვისტიკა უარს ამბობს კონკრეტულად ამა თუ იმ მეთოდის უპირატესად გამოყენებაზე და მიისწრაფვის, ერთმანეთს შეუთავსოს სხვადასხვა სამეცნიერო – ზოგადი თუ კერძო ხასიათის მეთოდი და მათი კომბინირება მოახდინოს" [რუზინი, 1996 : 50].

თუ ჩვენ გავითვალისწინებთ იმ შესაძლო, არცთუ ისე გრძელ ისტორიას, რომელსაც ტექსტის როგორც ლინგვისტური ცნების თანამედროვე ხედვასთან მივყავართ, ხოლო მეორე მხრივ, იმ თეორიებს, რომლებიც არსებობენ თანამედროვე ტექსტის ლინგვისტიკის ფარგლებში, ვნახეთ, რომ ამ ფენომენის გენეზისს სამი ისეთი ძირითადი წყარო გააჩნია, რომელიც ფუნდამენტურია მთელი ლინგვისტური აზროვნებისათვის:

## 1.ენობრივი ნიშნის თეორია

თანამედროვე ლინგვისტიკაში წამყვანია სისტემურ-სტრუქტურული პარადიგმის ფარგლებში შემუშავებული ენის სემიოტიკური კონცეფცია. სემიოტიკის ძირითადი პრინციპები ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში იქნა ფორმულირებული ამერიკელი ფილოსოფოსის ჩ. პირსის მიერ, ხოლო მე-20 საუკუნეში მან ლინგვისტური „მიმართულება" მიიღო სტრუქტურალიზმის დამაარსებლის ფ. დე სოსიურისა და დანიელი ენათმეცნიერის ლ. იელმსლევის სწავლებათა გავლენით, რომელთა მიხედვით  ენა არის ნიშანთა სისტემა. ამერიკელი ფილოსოფოსის ჩ. მორისის მიერ შემუშავებული სემიოტიკური კონცეფციის მიხედვით თანამედროვე ლინგვისტიკაში აქტიურად მიმდინარეობს ნებისმიერი ენობრივი (თუ არაენობრივი) ნიშნის სამ სემიოტიკურ განზომილებაზე – სინტაქტიკაზე, სემანტიკასა და პრაგმატიკაზე – დაყრდნობით კვლევა. მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში (1960-1970 წლები) კი დაფუძნებას იწყებს ორი სემიოტიკური სკოლა – ფრანგული (კლოდ ლევი-სტროსი, ა. გრეიმასი, რ. ბარტი და ა.შ.) და ე.წ. „ტარტუ-მოსკოვის" (ი. ლოტმანი, ზ. მინცი, ბ. უსპენსკი, ი. რევზინი და ა.შ.).

ზემოთ ნათქვამიდან გამომდინარე, ნიშნობრივ სისტემათა შესწავლამ, რაც, როგორც აღვნიშნეთ, სტურქტურალიზმის ფარგლებში ჩაისახა, განაპირობა იმ ზოგადჰუმანიტარული მნიშვნელობის დისციპლინის დამკვიდრება, რომელსაც თავად ფერდინანდ დე სოსიურმა „სემიოლოგია", ანუ „სემიოტიკა" უწოდა. თავდაპირველად იგი იმდენად იყო დაკავშირებული სტრუქტურალიზმთან, რომ ორი ტერმინი – „სტრუქტურალიზმი" და „სემიოტიკა" სინონიმური მნიშვნელობითაც კი იხმარებოდა გარკვეული ხნის განმავლობაში. თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, თანამედროვე ჰუმანიტარული აზროვნებისათვის სემიოტიკა, შეიძლება ითქვას, „ზედისციპლინად", „სუპერდისციპლინად" იქცა – იმდენად, რომ  მისთვის

დამახასიათებელია გამჭოლად მთელი კულტურის, კულტურის ყველა განზომილების – ლიტერატურის, კინოს, ფერწერის, მუსიკის, თვით ადამიანის ქცევის ან მოდის და ა.შ. როგორც ნიშნობრივი ფენომენის კვლევა. თანამედროვე კულტურის თეორიაში აქტიურად იხმარება სემიოსფეროს ცნება, რომელიც შემოტანილ იქნა ი. ლოტმანის მიერ ე.წ. „სემიოტიკური კულტუროლოგიის" ფარგლებში. სემიოსფეროდ განიხილება ის სემიოტიკური (ანუ ნიშნობრივი) სივრცე, რომლის საზღვრები არსებითად ემთხვევა თვით კულტურის საზღვრებს. ეს სწორედ ის სივრცეა, რომლის ფარგლებში ადგილი აქვს ენობრივ კომუნიკაციას და რომლის გარეშე ეს კომუნიკაცია შეუძლებელი იქნებოდა.

## 2. ენობრივი სისტემის დონეებრივი მოდელი

ენის სისტემურ-სტრუქტურული შესწავლისას ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტი ენობრივი ერთეულების იერარქიული წყობის განსაზღვრაა. ამ კონცეფციის თანახმად, დაბალი იერარქიული დონის ერთეულები შეადგენენ მასზე მაღალი დონის ერთეულს. მაგალითად, ფონემა ფუნქციონირებს მორფემის, მორფემა – სიტყვის, სიტყვა კი – წინადადების შემადგენლობაში. არსებობდა მოსაზრება იმის თაობაზე, ენის უმაღლესი ერთეული შედგება ნიშნებისაგან, მაგრამ თავად ნიშანს არ წარმოადგენს. მაგალითად, ი. ბენვენისტი მიიჩნევდა, რომ ენის უმაღლესი ერთეული არის წინადადება, და შესაბამისად, მას ნიშნად არ თვლიდა [ბენვენისტი, 1974 : 139].

ტექსტის ლინგვისტიკის განვითარების გარკვეულ ეტაპზე მიჩნეულ იქნა (ცხადია, ამ საკითხების ირგვლივ მსჯელობას შემდგომშიც დავუბრუნდებით), რომ ენობრივი დონის უმაღლეს ერთეულს წარმოადგენს სწორედ ტექსტი და მას ისეთივე ენობრივი ერთეულის სტატუსი მიენიჭა, როგორიც სიტყვასა და წინადადებას.

ტექსტის როგორც ენობრივი იერარქიის უმაღლესი ერთეულის სტატუსის მინიჭება უშუალოდ ეფუძნება ენობრივი ნიშნის დონეებრივ მოდელს.

### 3. კომუნიკაციის თეორია

ჯერ კიდევ შესავალში ვისაუბრეთ იმის შესახებ, რომ თანამედროვე კომუნიკაციურად ორიენტირებულ ლინგვისტიკაში განმსაზღვრელი ხდება კომუნიკაციის განახლებული ცნება, რომელიც დაკავშირებულია კომუნიკაციურ აქტთან. კომუნიკაციური აქტის (პროცესის) ახლებური გაგება რადიკალურად განსხვავდება კომუნიკაციის იმ გაგებისაგან, რომელიც კომუნიკაციურ ლინგვისტიკამდე არსებობდა. გ. ლებანიძე წიგნში – „ანთროპოცენტრიზმი და კომუნიკაციური ლინგვისტიკა" აღნიშნავს, რომ საქმე გვაქვს ახალ პარადიგმასთან, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ კომუნიკაციური პარადიგმა. კომუნიკაციური პარადიგმა გულისხმობს, რომ ყოველი ენობრივი ერთეული, და ცხადია, მათ შორის ტექსტიც, უპირველეს ყოვლისა, უნდა ვიკვლიოთ როგორც კომუნიკაციური ერთეული. „დღევანდელი ლინგვისტური კვლევა გულისხმობს გავიგოთ ყოველი ენობრივი ერთეული როგორც პირველ რიგში კომუნიკაციური ერთეული, ხოლო ყველა დანარჩენი მისი ასპექტი გავიგოთ როგორც დაქვემდებარებული კომუნიკაციური ასპექტის მიმართ" [ლებანიძე, 1998 : 51]. მაშასადამე, კომუნიკაციური ასპექტი (კომუნიკაციური ფუნქცია) განმსაზღვრელი ხდება ყველა ენობრივი ერთეულის სტრუქტურული, შინაარსობრივი და ფუნქციური კვლევისას.

ტექსტის როგორც ლინგვისტური ცნების არსის, სტრუქტურისა და ტიპოლოგიის განსაზღვრა ჩვენი სახელმძღვანელოს ფარგლებში სწორედ ზემოთ აღნიშნულ წყაროთა თეორიულ ბაზაზე დაყრდნობით იქნება წარმოდგენილი.

**ვიმსჯელოთ შემდეგ საკითხებზე:**

1. რას ნიშნავს ტექსტი – მისი ფართო და ვიწრო მნიშვნელობით?
2. რას წარმოადგენს ტექსტი როგორც ლინგვისტური ცნება?
3. რა კრიტერიუმებს ეფუძნება ტექსტის როგორც ლინგვისტური ცნების განსაზღვრა?
4. დაასახელეთ ტექსტის როგორც ლინგვისტური ცნების გენეზისის თეორიული წყაროები.

## §2. ტექსტის ლინგვოსემიოტიკური ცნება: არასრული და სრული ნიშნები

ენის როგორც ნიშანთა სისტემის განსაზღვრა, როგორც აღვნიშნეთ, დაკავშირებულია ფ. დე სოსიურის სახელთან. მაგრამ ნიშნის როგორც ზოგადად გაგებული ფენომენის თეორია გარკვეული სახით ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში, სახელდობრ სტოელთა სკოლაში გვხვდება. დღესაც შემორჩენილია ნიშნის ის დეფინიცია, რომელიც ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში არსებობდა და რომელშიც ასახულია აღსანიშნისა და აღმნიშვნელის ურთიერთმიმართება: 'aliquid stat pro aliquo'(„რაღაც დგას რაღაცის უკან", „რაღაცა რაღაცის წარმომადგენლად გვევლინება"). ეს დეფინიცია ნიშნის მეტად ფართო გაგებას იტევს – როდესაც ნიშანზე შეიძლება ვილაპარაკოთ ნებისმიერ ისეთ შემთხვევაში, როდესაც „რაღაცა" მიუთითებს „რაღაცაზე." ნიშნობრივ სისტემათა შესწავლამ კი, რომელსაც საფუძვლად დაედო ფერდინანდ დე სოსიურის თეორია, განაპირობა – როგორც უკვე ვიცით – ისეთი ცალკე „სუპერდისციპლინის" წარმოქმნა, რომელსაც ეწოდა" სემიოლოგია, ანუ სემიოტიკა". მაშასადამე, ნიშნობრივ სინამდვილეს – როგორც ენობრივს, ისე არაენობრივს – შეისწავლის სწორედ ეს სამეცნიერო დისციპლინა. უკვე აღვნიშნეთ, რომ თანამედროვე სემიოტიკისათვის ამოსავალია ამა თუ იმ ნიშ-

ნის – იქნება იგი ენობრივი თუ არაენობრივი – გაგება მისი კომუნიკაციის როლის მიხედვით. თანამედროვე სემიოტიკაში ტექსტად მიიჩნევა როგორც ვერბალური (ანუ სიტყვიერი) ტექსტი, ასევე ისეთი არავერბალური ნიშნობრივი ფენომენები, როგორიცაა მხატვრული ტილო, მუსიკალური ნაწარმოები და ა.შ., – ის ფენომენები, რომლებიც აღიქმებიან „მეორეულ მოდელირებად სისტემებად". რას ნიშნავს „მეორეული მოდელირებადი სისტემა" და რა კავშირშია ეს ცნება ნიშნის თეორიასთან? ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო სემიოტიკოსი ი. ლოტმანი ერთმანეთისაგან განასხვავებს „ბუნებრივ ენებსა" (მაგალითად, ინგლისური, ფრანგული, გერმანული, რუსული და ა.შ) და მეორეულ ენებს" (ანუ მეორეულ მოდელირებად სისტემებს). ამავე დროს მიიჩნევა, რომ მეორეული ენები (მეორეული მოდელირებადი სისტემები, ე.ი. მეორეული კომუნიკაციური სტრუქტურები) ეფუძნებიან „ბუნებრივ ენობრივ" დონეს. ლოტმანის მიხედვით, ბუნებრივ ენასთან მიმართებაში ხელოვნება მეორეული მოდელირებადი სტრუქტურაა. ცხადია, ტერმინი „მეორეული ენასთან მიმართებაში" არ უნდა იქნეს გაგებული ისე, თითქოს რომელიმე მოდელირებადი სისტემა ბუნებრივ ენას უბრალოდ მასალის სახით იყენებდეს. ხსენებულ ტერმინს ამგვარი მნიშვნელობა რომ ჰქონდეს, მაშინ შეუძლებელი გახდებოდა მისი გამოყენება არასიტყვიერი ხელოვნების სფეროებთან – მხატვრობასთან ან მუსიკასთან – მიმართებაში. ნაგულისხმევი ურთიერთმიმართება აქ უფრო რთული სახისაა : „ბუნებრივი ენა არა მხოლოდ ერთ-ერთი უძველესი, არამედ ყველაზე ძლიერი კომუნიკაციური სისტემაცაა"... მეორეული მოდელირებადი სისტემები კი (ისევე როგორც ყველა სემიოტიკური სისტემა) იგება ენის ტიპის მიხედვით. ცხადია, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ყველაფერი ენის ტიპის მიხედვით იწარმოებოდეს. ასე რომ, ხელოვნება შეიძლება აღვწეროთ როგორც გარკვეული ტიპის „მეორეული ენა", ხოლო ხელოვნების ნაწარმოები – როგორც ტექსტი შექმნილი ამ ენაზე [ლოტმანი, 1970 : 16].

ცნობილი სემიოტიკოსის სიტყვების მოტანა დაგვჭირდა იმდენად, რამდენადაც კიდევ ერთხელ უნდა დაგვედასტურებინა საყოველთაოდ მიღებული აზრი იმის თაობაზე, რომ ენობრივი ნიშანი და ამ ნიშნებისაგან შემდგარი სისტემა პირველადია სხვა ნიშნებსა და სისტემებთან მიმართებაში.

ნებისმიერი სხვა ნიშნისგან განსხვავებით, ენობრივი ნიშნის არსებობის „მატერიალური" საფუძველი ბგერათა კომპლექსია, რომელიც აუცილებლად რაღაც მნიშვნელობის მატარებელია. მაშასადამე, ენობრივ ნიშანს აქვს (ამ „მატერიალური" საფუძვლით წარმოდგენილი) ფორმა და („სემანტიკად" წოდებული) შინაარსი. ის სინამდვილე, რომელზედაც ენობრივი ნიშანი კონვენციონალურად (პირობითად) მიუთითებს, არის მისი დესიგნატი. ნებისმიერი ნიშნის შინაარსი (სემანტიკა) იყოფა ორ ძირითად კომპონენტად:

სიგნიფიკატი – ის მთლიანური, განუყოფელი წარმოდგენა დესიგნატზე, რომელსაც ენობრივი სუბიექტი ატარებს თავის მეხსიერებაში;

დენოტატი – ის, რაზეც ენისგარეშე („ექსტრალინგვისტურ") სინამდვილეში და სიგნიფიკატთან შესაბამისობაში მიუთითებს ბგერითი კომპლექსი.

თუ ენობრივი ნიშნის პირველ მოდელში ფ. დე სოსიური ხაზს უსვამდა ენობრივი ნიშნის ორპლანიან ბუნებას (აღმნიშვნელი და აღსანიშნი), ენობრივი ნიშნის შემდგომ მოდელში აღსანიშნი წარმოდგენილია სწორედ ზემოთ გამიჯნული ორი ასპექტით – სიგნიფიკატი და დენოტატი. „აღსანიშნის ამგვარი „გაყოფის" შედეგად ვიღებთ ნიშნის სამ ასპექტს და, შესაბამისად, მის სამკუთხედოვან მოდელს. მაგალითად, თუ ავიღებთ სიტყვას, რომელსაც ერთი მნიშვნელობა აქვს, ჩვენ წინაშე იქნება:

1) ბგერათა კომპლექსი;

2) ნიშანი, რომელიც ასახელებს საგანს (ანუ დესიგნატეს) – დენოტატი;

3) მთლიანური წარმოდგენა, რომელსაც სიტყვა აღძრავს ჩვენს გონებაში – სიგნიფიკატი.

ყველა ეს სამი ელემენტი მჭიდრო ურთიერთკავშირშია. მათ ერთობლიობას ი. სტეპანოვი „სემანტიკურ სამკუთხედს” უწოდებს [სტეპანოვი, 1975 : 8].

მაშასადამე, მნიშვნელობად (სემანტიკად) მიიჩნევა ჩვენს ცნობიერებაში არსებული ნიშნის კავშირი (მიმართება) მასთან, რის ნიშნადაც იგი გვევლინება.

**ენა როგორც სტრუქტურა წარმოადგენს ნიშანთა სისტემას.** ნიშნობრივი ერთეულები კი – სიტყვა, წინადადება, ტექსტი – ერთმანეთთან დაკავშირებულია იერარქიულად. ამდენად, ენის სისტემურ-სტრუქტურული შესწავლისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტი იყო სხვადასხვა ენობრივი ერთეულების იერარქიული წყობა. მაშასადამე, ენობრივი სისტემის დონეებრივი მოდელი ითვალისწინებს ენის როგორც ნიშანთა სისტემის ისეთ სტრუქტურას, რომელიც ატარებს სტრატიფიკაციულ ხასიათს (ლათინურად ”stratum” „ფენას”, „შრეს” ნიშნავს). ამ კონცეფციის თანახმად, დაბალი იერარქიული დონის ერთეულები შეადგენენ მასზე მაღალი დონის ერთეულს, ანუ მისი ინტეგრანტებია. მაგალითად, ფონემა ფუნქციონირებს მორფემის შემადგენლობაში, მორფემა – სიტყვის, სიტყვა – წინადადების. ამავე დროს, ენის ყოველი დონე წარმოდგენილია ძირითადი და არაძირითადი ერთეულით, რომლებიც ქმნიან ნიშანთა იერარქიულ ტიპოლოგიას. ენის დონეებრივ (სტრატიფიკაციულ) მოდელს აქვს შემდეგი სახე:

**ფონოლოგიური დონე – რომლის ძირითადი ერთეულია ფონემა**

**მორფოლოგიური დონე – მისი ძირითადი ერთეულია მორფემა**

**ლექსიკური დონე – მისი ძირითადი ერთეულია სიტყვა (ლექსემა)**

**სინტაქსური დონე – რომლის ძირითადი ერთეულია წინადადება**

ენობრივი სისტემის დონეებრივი ორგანიზაცია ეფუძნება აგრეთვე სრულ და არასრულ ნიშანთა ოპოზიციას.

ნიშანი შეიძლება სრული იყოს იერარქიულად მასზე დაბლა მდგომი ნიშნის მიმართ, მაგრამ არასრული – მასზე იერარქიულად მაღლა მდგომი ნიშნის მიმართ. მაგალითად, სიტყვა სრული ნიშანია მორფემასთან მიმართებაში, რომელიც მასზე დაბლა მდგომი ნიშნობრივი ერთეულია, მაგრამ არასრული ნიშანია წინადადებასთან მიმართებაში. ლინგვისტიკის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე სრული ნიშნის სტატუსს იღებდნენ სხვადასხვა ერთეულები. ამ თვალსაზრისით დონეებრივმა მოდელმა შეიძლება ამგვარი სახე მიიღოს:

**ფონოლოგიური დონე**: მისი ძირითადი ერთეულია ფონემა, არაძირითადი კი – ფონემის ის მადიფერენცირებელი ნიშანი, რომელიც მოცემულ ფონემას განასხვავებს მისივე კატეგორიის შესაბამისი ფონემისაგან. მაგალითად, ქართული „გ" განსხვავდება „კ"-სგან მხოლოდ თავისი მჟღერობით ; ე.ი. სწორედ მჟღერობა ასრულებს მოცემულ შემთხვევაში მადიფერენცირებელი ნიშნის როლს. ფონემა ჯერ კიდევ არანიშნობრივ ერთეულად ითვლება, ვინაიდან მას აქვს ფორმა, მაგრამ არა აქვს შინაარსი, თუმცა ამავე დროს, ცხადია მისი არსებითი კავშირი ნიშნობრიობასთან, რადგან მის გარეშე ვერ „აიგებოდა" ისეთი მინიმალური ნიშნობრივი ერთეულის გამოხატულების პლანი (მისი „ფორმა"), როგორიცაა მორფემა ;

**მორფოლოგიური დონე :** მისი ერთეულია მორფემა, რომელიც განისაზღვრება როგორც მნიშვნელობის მატარებელი მინიმალური ერთეული; „არაძირითად" ერთეულად კი (მეტად თუ ნაკლებად განვითარებული მორფოლოგიის მქონე ენებში) უნდა მივიჩნიოთ <u>სიტყვაფორმა</u>, ანუ სიტყვის ის ფორმა, რომელიც გრამატიკული თვალსაზრისით განსხვავდება იმავე ლექსიკური მნიშვნელობის მქონე სხვა სიტყვებისაგან, მაგალითად, „მაგიდა VS მაგიდას" და ა.შ. (ცხადია, რომ ამ განსხვავებას ქმნის გრამატიკული მორფემა – მორფოლო-

გიის ძირითადი ერთეული). მაგრამ როგორ მორფემაზეც არ უნდა იყოს ლაპარაკი – გრამატიკულზე, ლექსიკურზე თუ სიტყვათწარმოებითზე, მუდამ ინარჩუნებს ძალას დებულება : სიტყვისგან განსხვავებით მას არ შეუძლია შეასრულოს ნომინაციის (სახელდების) ფუნქცია;

**ლექსიკური დონე** : მისი ერთეულია სიტყვა, მაგრამ აღქმული უკვე არა გრამატიკული, არამედ ლექსიკური გაგებით (ანუ იმ გაგებით, რომლისთვისაც განმსაზღვრელია საკუთრივ ნიშნობრივი, ე.ი. სინამდვილის ამა თუ იმ „სეგმენტზე" მითითების ფუნქცია). ეს ის ერთეულია, რომელსაც, მორფემისაგან განსხვავებით, უკვე შეუძლია შეასრულოს ნომინაციის ფუნქცია. ამიტომ სრული ნიშნის სტატუსი გარკვეული დროის განმავლობაში სწორედ სიტყვას ჰქონდა;

**სინტაქსური დონე**: სტრუქტურული მიდგომის თანახმად, ენობრივ იერარქიაში უმაღლეს დონედ ითვლებოდა წინადადება. არსებობდა მოსაზრება, რომ უმაღლესი ენობრივი ერთეული შედგება ნიშნებისაგან, მაგრამ თავად ნიშანს არ წარმოადგენს. მაგალითად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ე. ბენვენისტის აზრით, წინადადება არ არის უფრო მაღალი ენობრივი ერთეულის ინტეგრანტი (რადგან იგი თავად არის უმაღლესი დონის ერთეული). სიტყვისგან განსხვავებით, რომელიც, როგორც უკვე ვიცით, ასრულებს ლექსიკური ნომინაციის ფუნქციას, აღიარებულ იქნა, რომ წინადადებასაც გააჩნია ნომინაციის ფუნქცია და იგი, სიტყვისაგან განსხვავებით, გარკვეულ სიტუაციას ასახელებს, ანუ ასრულებს სინტაქსური ნომინაციის ფუნქციას. ამდენად, თანამედროვე ლინგვისტიკის განვითარების ამ დონეზე სრულ ნიშნად მიჩნეულ იქნა უკვე წინადადება. მაგრამ, როგორც არ უნდა იქნეს გაგებული წინადადების ირარქიული „რანგი", არ უნდა დაგვავიწყდეს : თუ წინადადება არის სინტაქსური დონის ძირითადი ერთეული, მის (ამ დონის) არაძირითად ერთეულად (წინადადების უშუალო ინტეგრანტად) უნდა მივიჩნიოთ სიტყვათშეთანხმება.

საკითხმა იმის შესახებ, თუ რა ადგილს იკავებს ტექსტი ენის დონეებრივ მოდელში, იმთავითვე მიიპყრო მკვლევარ ლინგვისტთა ყურადღება. ტექსტის ნიშნობრიობის დადგენა საკმაოდ პრობლემური საკითხია ლინგვისტიკაში და ტექსტის ლინგვისტიკამაც საკმაოდ რთული გზა გაიარა ამ მიმართებით. მის ფარგლებში მრავალი საკამათო საკითხი არსებობდა ხსენებულ პრობლემასთან დაკავშირებით: არის თუ არა ტექსტი ნიშნობრივი ერთეული და რა ადგილს იკავებს იგი (სწორედ როგორც ნიშნობრივი ერთეული) ენობრივ სისტემაში? რომელია ენის უმაღლესი დონის ნიშნობრივი ერთეული – წინადადება თუ ტექსტი ?

მ. ჰალიდეის აზრით, დონეებრივი თვალსაზრისით ენის ყველაზე მაღალ და დამოუკიდებელ ერთეულად უნდა ჩაითვალოს არა წინადადება, არამედ ტექსტი [ჰალიდეი, 1970 : 160]. ამ მოსაზრებას იზიარებდა მრავალი ლინგვისტი: პ. ჰარტმანი, რ.შტეინიცი, ჰ. იზენბერგი, ვ. დრესლერი, გ. ვეინრიხი და ა.შ. პ. ჰარტმანი აცხადებდა, რომ პირველადი ენობრივი ნიშანია ტექსტი. ამის შედეგად, ენობრივ ერთეულთა ტრადიციული იერარქია (ფონემა – მორფემა – სიტყვა – წინადადება) კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ერთეულით გაიზარდა.

ამგვარად, სტრატიფიკაციული მოდელი უკვე ამგვარ სახეს იღებს:

**ფონოლოგიური დონე**

↓

**მორფოლოგიური დონე**

↓

**ლექსიკური დონე**

↓

**სინტაქსური დონე**

↓

**ტექსტობრივი დონე**

დღესდღეობით არაერთი ცნობილი ავტორი ცდილობს ლინგვოსემიოტიკურ მოდელთა აგებას კომუნიკაციის თეორიაზე დაყრდნობით. მათი მიხედვით, სრულ (როგორც ხშირად ამბობენ – კომპლექსურ) ენობრივ ნიშნად მიიჩნევა სწორედ ის ენობრივი ერთეული, რომელიც ყველაზე სრულად ასრულებს კომუნიკაციის ფუნქციას. ცხადია, ასეთ ერთეულად ტექსტი უნდა მივიჩნიოთ იმ მარტივი და ჭეშმარიტი თვალსაზრისიდან გამომდინარე, რომ ჩვენ ურთიერთობას ვამყარებთ არა სიტყვებითა და წინადადებებით, არამედ ტექსტებით.

მაშასადამე, ნიშნის სისრულის „ხარისხი" დამოკიდებულია იმაზე, თუ რა სისრულით ასრულებს იგი კომუნიკაციურ ფუნქციას. თანამედროვე ენათმეცნიერებისათვის ცენტრალური მომენტი სწორედ ის ფაქტია, რომ ნიშანი ამ თვალსაზრისით დაუკავშირდა კომუნიკაციურ აქტს.

დღეისათვის საყოველთაოდ მიღებულად შეიძლება მივიჩნიოთ ტექსტთან დაკავშირებულ მტკიცებათა შემდეგი ერთობლიობა:

1. ენობრივ დონეთა იერარქიაში ტექსტს უკავია უმაღლესი საფეხური ;

2. ტექსტს ისევე უნდა მიენიჭოს ნიშნობრივი ერთეულის სტატუსი, როგორც სიტყვასა და წინადადებას ;

3. სწორედ ტექსტი და არა სხვა რომელიმე ენობრივი ერთეული უნდა მივიჩნიოთ სრულ ნიშნად.

ამგვარად, უმაღლეს ენობრივ ერთეულად მიჩნეულ იქნა ის ნიშანი, რომელიც ყველაზე სრულად ასრულებს კომუნიკაციურ ფუნქციას. ენის სემიოტიკურ კონცეფციაზე დაყრდნობით, უკვე კარგა ხანია მიმდინარეობს ტექსტის როგორც სრული (და კომპლექსური) ნიშნობრივი ერთეულის კვლევა.

**ვიმსჯელოთ შემდეგ საკითხებზე:**

1. განსაზღვრეთ ნიშნის არსი. თქვენი აზრით, რით

განსხვავდება იგი ისეთი ფენომენებისაგან, როგორიცაა სიმპტომი (მაგალითად, კვამლი არის იმის მანიშნებელი, რომ სადღაც ცეცხლია) ან სიმბოლო (მაგალითად, მტრედი არის მშვიდობის სიმბოლო, ჯვარი – ქრისტიანობის და ა.შ.) ?

2. როგორ განისაზღვრებოდა ნიშნის ცნება და რა მიმართება აქვს ამ დეფინიციას ნიშნის ცნების თანამედროვე ხედვასთან?

3. როგორ შეიძლება გავიგოთ ნიშანი მაქსიმალურად „ვიწრო” და მაქსიმალურად „ფართო” მნიშვნელობით?

4. რით განსხვავდება ენობრივი ნიშანი არაენობრივი ნიშნისაგან?

5. რატომ იყო დავის საგანი ტექსტის როგორც ნიშნობრივი ერთეულის აღიარება? რა ფაქტორებმა განაპირობეს ტექსტისათვის ენობრივი ნიშნის სტატუსის მინიჭების განსაზღვრა?

6. რა ადგილი ეკავა ენობრივი ნიშნის სტრატიფიკაციულ მოდელს ენის როგორც ნიშანთა სისტემის შესწავლაში?

7. რა საჭიროებამ განაპირობა სრულ და არასრულ ნიშანთა დაპირისპირება? რას გულისხმობს სრული ნიშნის სტატუსი?

## §3. ტექსტის ცნება კომუნიკაციის თეორიაზე დაყრდნობით: ტექსტის ფუნქციური განსაზღვრა

წინა პარაგრაფების შინაარსმა, ალბათ, დაგვარწმუნა, რომ ტექსტის განსაზღვრისა და მისთვის ენობრივ სისტემაში ადგილის მიჩენის თაობაზე მრავალი თვალსაზრისია გამოთქმული.

ჩვენ უკვე ვისაუბრეთ იმ სირთულეების შესახებ, რომელთაც ვაწყდებით ტექსტის როგორც ლინგვისტური ცნების გაგებასთან დაკავშირებით და აღვნიშნეთ, რომ მის დეფინიციათა „ზღვაში” იკვეთება ორი ძირითადი მიმართულება:

ერთი მიმართულების მიხედვით, ტექსტად მიჩნეულია სამეტყველო წარმონაქმნი (ხშირ შემთხვევაში, როგორც წერილობითი, ასევე ზეპირი), რომელიც რაოდენობის მხრივ ნებისმიერი ფორმის შეიძლება იყოს (მაგრამ, დეფინიციათა უმეტესობის მიხედვით, არანაკლებ ორი წინადადებისაგან უნდა შედგებოდეს). ამგვარი გაგების მიხედვით ტექსტი შედგება ორი ან ორზე მეტი წინადადების ჯაჭვისაგან, რომლებიც ერთმანეთთან სპეციალური საშუალებებით ლინეარულად არიან დაკავშირებული და რომლებსაც ამავე დროს აკავშირებთ საერთო თემა.

მეორე მიმართულების მიხედვით, ტექსტის განსაზღვრისას წინა პლანზე გადმოდის ტექსტის როგორც კომუნიკაციური ერთეულის განსაზღვრის პრობლემა. ერთ-ერთი ყველაზე არსებითი მხარე, რაც დამახასიათებელია თანამედროვე კომუნიკაციურად ორიენტირებული ტექსტის ლინგვისტიკისათვის, არის ის ფაქტი, რომ მის ფარგლებში ტექსტი მოიაზრება როგორც უმაღლესი რანგის დინამიკური კომუნიკაციური ერთეული, რომლის საშუალებითაც ხორციელდება კომუნიკაცია. ტექსტის ლინგვისტიკის განვითარებასთან ერთად უკვე აღარ იყო საკმარისი ტექსტის როგორც იზოლირებული სტატიკური ობიექტის აღწერა, რომლის კვლევა შეიძლება განხორციელებულიყო მხოლოდ სტრუქტურული მეთოდებით. უკვე წინა პლანზე გადმოვიდა ტექსტის როგორც კომუნიკაციური ერთეულის შესწავლის აუცილებლობა. ტექსტი უკვე გაიგებოდა არა როგორც გრამატიკულად ურთიერთდაკავშირებულ წინადადებათა ერთობლიობა, არამედ როგორც კომპლექსური სამეტყველო ქმედება. ეს პროცესი ნიშნავდა ტექსტის კომუნიკაციური ბუნების წინა პლანზე წამოწევას – კომუნიკაციური ქმედება ესაა ტექსტობრივი ქმედება – ტექსტი მოქმედებაში. ჩვენ უკვე მოვიყვანეთ მ. ჰალიდეის ცნობილი სიტყვები : „ტექსტი – ეს არის ენა მოქმედებაში". ტექსტის ფენომენისადმი ამგვარი მიდგომა გულისხმობს, უპირველეს ყოვლისა, მისი ფუნქციური ასპექტის შესწავლას.

შესაბამისად, იქმნება აუცილებლობა ტექსტის ფუნქციური განსაზღვრისა. ნებისმიერი ტექსტი ფუნქციონირებს კონკრეტულ სამეტყველო აქტში და, შესაბამისად, მისი ფუნქციონირების კანონზომიერებათა გამოვლენა შეუძლებელია რეალური კომუნიკაციის პირობების გარეშე. ამდენად, თუკი გვსურს განვსაზღვროთ ტექსტის ფუნქციური არსი, ეს პროცესი იმავდროულად გულისხმობს კომუნიკაციურ პროცესზე აქცენტის გადატანას.

ამდენად, ტექსტის იმგვარი დეფინიციები, როგორიცაა „წინადადებაზე აღმატებული ერთეული", „წინადადებათა თანმიმდევრობა", როგორც ნ. ვალგინა აღნიშნავს, „ყოველთვის კორექტულია, მაგრამ ტექსტის სტრუქტურული „აგებულების" ხასიათს, მის მატერიალურ სტრუქტურას" უსვამს ხაზს, და ყურადღების გარეშე ტოვებს მის ექსტრალინგვისტურ მახასიათებლებს, კომუნიკაციის აქტის მონაწილეთა როლს. „ტექსტის ცნება შეუძლებელია განისაზღვროს მხოლოდ ლინგვისტური თვალსაზრისით. ტექსტი, უპირველეს ყოვლისა, არის კომუნიკაციური ცნება, რომელიც ორიენტირებულია განსაზღვრული ტიპის ქმედების სპეციფიკის გამოსავლენად [ვალგინა, 2003 : 11]. რას გულისხმობენ ლინგვისტები, როდესაც საუბრობენ „ექსტრალინგვისტურ მახასიათებლებზე", „კომუნიკაციის აქტის მონაწილეთა როლზე", და ბოლოს, როდესაც ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ „ტექსტი არის კომუნიკაციური ცნება" ?

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ტერმინის „კომუნიკაცია" განახლებული გაგება თანამედროვე კომუნიკაციურად ორიენტირებულ ლინგვისტიკაში დაუკავშირდა კომუნიკაციური აქტის ცნებას. ნებისმიერი კომუნიკაციური აქტის უმნიშვნელოვანესი პარამეტრებია ადრესანტი (მეტყველი სუბიექტი) და ადრესატი (მსმენელი სუბიექტი). მაგრამ ამ ორ კომუნიკანტთან ერთად, აუცილებელია განისაზღვროს, თუ სად, როდის, როგორ ხდება კომუნიკაცია. ამრიგად, კომუნიკაციას საფუძვლად ედება სიტუაციის ცნება. რ. ბოგრანდი

და ვ. დრესლერი ამგვარად განმარტავენ ამ ტერმინის შინაარსს : „ფაქტორები, რომლებიც ტექსტს აქცევენ რელევანტურად აქტუალური ან რეკონსტრუირებული კომუნიკაციური სიტუაციისათვის. მაგალითად, გამონათქვამი SLOW CHILDREN AT PLAY შესაძლოა სწორად იქნეს გაგებული მხოლოდ განსაზღვრულ სიტუაციურ პირობებში. ტექსტი ყოველთვის თავის თავში მოიცავს იმ სიტუაციის ანაბეჭდს, რომლის ფარგლებშიც ის იქმნება და შემდეგ აქტუალიზდება. სიტუაცია თავისთავად კარნახობს პარტნიორთა კომუნიკაციური ქმედების განსაზღვრულ ნორმებს. მეტყველმა სუბიექტმა ჯერ სწორად უნდა შეაფასოს ესა თუ ის სიტუაცია, რათა შემდეგ ადეკვატურად წარმოადგინოს იგი ტექსტში. ამ თვალსაზრისით, სიტუაციურობა გულისხმობს, რომ სტუდენტები, რომლებიც ენათმეცნიერების ლექციას ესწრებიან, არ მოელიან კვანტური მექანიკის შესახებ საუბარს. ამდენად, საკომუნიკაციო აქტისათვის მთავარია არა მხოლოდ ლინგვისტური სიტუაცია (ანუ გამონათქვამი ან ტექსტი უშუალო ენობრივი მოცემულობით – ტექსტის ექსპლიციტური შინაარსი უშუალოდ გამოხატული ენობრივ ნიშანთა ერთობლიობაში, რომელთაგანაც იგი შედგება), არამედ ის სინამდვილეც (ანუ ექსტრალინგვისტური სიტუაცია), რომელთანაც დაკავშირებულია ტექსტი.

მაშასადამე, თანამედროვე კომუნიკაციურ ლინგვისტიკას ენობრივი სტრუქტურები აინტერესებს, უპირველეს ყოვლისა, როგორც მეტყველი სუბიექტის კონკრეტული ინტენციების (განზრახვების) განხორციელების ინსტრუმენტი. ტექსტი მიჩნეულია როგორც „ვერბალური კომუნიკაციის კომპლექსური ერთეული" [ფილიპოვი, 2003 : 50].

ამგვარი თვალსაზრისით უკვე მნიშვნელობა არ ექნება, რა სტრუქტურული შემადგენლობისაა ესა თუ ის ენობრივი ერთეული. ტექსტის ფუნქციური გაგება, როგორც გ. ლებანიძე აღნიშნავს, უფრო სრულად ასახავს ტექსტის როგორც ლინგვისტური ცნების თეორიულ ასპეტს. „ფუნქციური

თვალსაზრისით არა აქვს მნიშვნელობა იმას, თუ რა სტრუქტურული შემადგენლობისაა ის ენობრივი წარმონაქმნი, რომელსაც ჩვენ ლინგვისტური გაგებით ტექსტს ვუწოდებთ. ეს წარმონაქმნი თავისი მოცულობით (სტრუქტურული შემადგენლობით) შეიძლება უდრიდეს ერთ სიტყვას, შეიძლება შედგებოდეს წინადადებათა მთელი თანმიმდევრობისაგან... თუ ენობრივი წარმონაქმნი ასრულებს კომუნიკაციის ფუნქციას და ასრულებს ისე, რომ პასუხობს კომუნიკაციის ცნების იმ შინაარსს, რომელიც საფუძვლად უდევს კომუნიკაციურ ლინგვისტიკას, მაშინ ეს ენობრივი წარმონაქმნი წარმოადგენს ტექსტს... მთავარია არა ენობრივი წარმონაქმნის მოცულობა წმინდა რაოდენობრივი თვალსაზრისით, არამედ მისი ფუნქციური გაგება“... [ლებანიძე, 1998 : 120-121]. მაშასადამე, ფუნქციური თვალსაზრისით, „ტექსტი უნდა გავიგოთ როგორც ისეთი ადამიანური ქმედების შედეგად წარმოშობილი ნიშნობრივი წარმონაქმნი, რომელსაც კომუნიკაციური დანიშნულება აქვს“... [იქვე : გვ. 136].

**ვიმსჯელოთ შემდეგ საკითხებზე:**

1. რას გულისხმობენ ლინგვისტები, როდესაც ამბობენ, რომ ტექსტის განსაზღვრისას არ შეიძლება დავეყრდნოთ მხოლოდ ტექსტის ლინგვისტურ განსაზღვრებს?
2. რას ეფუძნება ტექსტის ფუნქციური განსაზღვრა?

## §4. ტექსტის ცნება ენობრივი სისტემის დონეებრივ მოდელზე დაყრდნობით: ტექსტის სტრუქტურული განსაზღვრა

როგორც გვახსოვს, ტექსტი როგორც ლინგვისტური ცნება თავის გენეზისს არა მხოლოდ კომუნიკაციური თეორიიდან იღებს, არამედ სტრუქტურული ლინგვისტიკიდანაც, რომლის

ფარგლებშიც, ენის როგორც ნიშანთა სისტემის სისტემურ-სტრუქტურული შესწავლისას ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მომენტი იყო მისი დონეებრივი ორგანიზაცია. ენობრივ სისტემაში ენის ყოველი დონე წარმოდგენილია ძირითადი და არაძირითადი ერთეულით, რომლებიც ქმნიან ნიშანთა სტრატიფიკაციულ (დონეებრივ) სისტემას. ენობრივ ნიშანთა იერარქიული სტრუქტურა გულისხმობდა, რომ ყოველი დაბალი დონის ერთეული შედის მასზე მაღლა მდგომი ერთეულის ფარგლებში. ამგვარი დონეებრივი ორგანიზაციის მიხედვით, ტექსტი როგორც სრული ნიშანი შედგება მასზე დაბლა მდგომი ნიშნობრივი ერთეულების – წინადადებებისაგან. თუ ჩვენ ამოვალთ თავად სიტყვა „ტექსტი"-ს ეტიმოლოგიიდან, რომელიც ლათინური სიტყვაა და „ნაქსოვს" ნიშნავს, შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ სტრუქტურული თვალსაზრისით ტექსტი „იქსოვება" წინადადებებისაგან. ამდენად, ტექსტის როგორც ლინგვისტური ცნების ფუნქციურ თვალსაზრისს, რომელიც ეფუძნება თანამედროვე კომუნიკაციის თეორიას, უპირისპირდება ტექსტის როგორც ლინგვისტური ცნების გაგების სტრუქტურული თვალსაზრისი.

თანამედროვე ტექსტის ლინგვისტიკაში ტექსტი როგორც ენობრივი ცნება სტრუქტურულად ურთიერთდაკავშირებულ წინადადებათა ერთობლიობაა. განსაზღვრათა უმეტეს ნაწილში ტექსტად მიჩნეულია სამეტყველო წარმონაქმნი (ხშირ შემთხვევაში, როგორც წერილობითი, ასევე ზეპირი), რომელიც რაოდენობის მხრივ ნებისმიერი ფორმის შეიძლება იყოს (მაგრამ, განსაზღვრათა უმეტესობის მიხედვით, არანაკლებ ორი წინადადებისგან უნდა შედგებოდეს). ამგვარი გაგება, როგორც აღვნიშნეთ, ეწინააღმდეგება ტექსტის ფუნქციურ გაგებას, რომლის მიხედვით, ყოველი ნიშნობრივი წარმონაქმნი – თუ იგი ასრულებს კომუნიკაციის ფუნქციას – შეიძლება მიჩნეულ იქნეს ტექსტად. ტექსტის სტრუქტურული გაგების მიხედვით, ტექსტი წინადადებათა ჯაჭვია, რომლებიც ერთმანეთთან სპეციალური საშუალებებითაა

დაკავშირებული. სწორედ ამგვარი რაოდენობრივი პარამეტრი უდევს საფუძვლად ტექსტის სტრუქტურულ გაგებას.

„ტექსტად ლინგვისტური თვალსაზრისით უნდა ჩაითვალოს თემატურად ურთიერთდაკავშირებულ წინადადებათა თანამიმდევრობა" [გ. ლებანიძე, 1998 : 122];

„ტექსტი წარმოადგენს წინადადებათა სიმრავლეს, რომლებიც ერთმანეთს უკავშირდებიან აზრობრივად (თემატურად) და ლექსიკურ-გრამატიკული კავშირებით" [ლოსევა, 1967 : 4];

„ტექსტი არის ისეთ წინადადებათა სიმრავლე, რომლებიც ერთმანეთს უკავშირდებიან სხვადასხვა სახის ლექსიკური, ლოგიკური და გრამატიკული კავშირებით" [ტურაევა, 1986:.4].

თუ ზემოთ მოყვანილ ამ დეფინიციებს პარადიგმულ სტატუსს მივანიჭებთ, მაშინ ტექსტის სტრუქტურული განსაზღვრისას აუცილებლად გამოიკვეთება ორი ძირითადი კრიტერიუმი – თემატურობა და კოჰეზიურობა.

ნებისმიერ წინადადებათა ჯგუფი ერთიანდება განსაზღვრული თემის გარშემო. ერთი თემატური ბირთვის გარშემო წინადადებათა გაერთიანება არის ტექსტის აზრობრივი მთლიანობის გამოვლენა.

რამდენადაც ტექსტის სინტაქსურ თეორიებში გამოიყოფოდა მიკროტექსტი (ანუ ზეფრაზული ერთიანობა) და მასზე მაღლა იერარქიულად მდგომი ერთეული – მაკროტექსტი, რომელიც მოიცავს ზეფრაზულ ერთიანობათა ერთობლიობას, შესაბამისად, თავად თემაც იყოფა მაკროთემად, ანუ ძირითად თემად და მიკროთემად. ნებისმიერი ტექსტის მაკროთემა აუცილებლად მოიცავს მიკროთემებს. უმცირესი მიკროთემაა ზეფრაზულ ერთიანობაში გამოყოფილი თემა (წინადადებას მხოლოდ მაშინ ექნება თემა, თუ იგი არ შედის ზეფრაზული ერთიანობის შემადგენლობაში). აქედან გამომდინარე, ერთი თემიდან მეორეზე გადასვლა არის სიგნალი ერთი ზეფრაზული ერთიანობის დამთავრებისა და მეორის დაწყებისა.

მაკროტექსტის ფარგლებში მიკროტექსტთა (ზეფრაზულ ერთიანობათა) გამოყოფაც უშუალოდ ეფუძნება თემატურობის პრინციპს. მთლიანი ტექსტის (ანუ მაკროტექსტის) თემის უმცირესი მიკროთემა შეიძლება გამოიყოს სწორედ ზეფრაზულ ერთიანობაში. ზეფრაზულ ერთიანობაში, ანუ მიკროტექსტში შემავალი წინადადებები ერთიანდებიან ერთი თემის ირგვლივ. ამ თვალსაზრისით, მიჩნეულია, რომ ზეფრაზული ერთიანობა მონოთემატურია.

როგორც ვნახეთ, წმინდა ლინგვისტური თვალსაზრისით, რომელიც ეფუძნება მხოლოდ ტექსტის სტრუქტურულ გაგებას, ტექსტი არის ნიშნობრივ ერთეულთა თანმიმდევრობა, რომლის ძირითადი ნიშან-თვისება მთლიანობა (თემის ერთიანობა) და კოჰეზიურობაა.

**ვიმსჯელოთ შემდეგ საკითხებზე:**

1. აუცილებელია თუ არა ტექსტის სტრუქტურული განსაზღვრა რაოდენობის პარამეტრის მიხედვით?
2. რა არსებითი განსხვავებაა ტექსტის ფუნქციურ და სტრუქტურულ გაგებას შორის?

## §5. ტექსტი როგორც ენისა და მეტყველების ერთეული ტექსტი და დისკურსი

ტექსტის ნიშნობრიობასთან დაკავშირებით, კიდევ ერთი მეტად საგულისხმო საკითხი დადგა დღის წესრიგში: თუკი ტექსტი ნიშანია, მაშინ რომელ ენობრივ რეალობას უნდა მივაკუთვნოთ იგი – ენას თუ მეტყველებას?

ტექსტის როგორც უმნიშვნელოვანესი ლინგვისტური კატეგორიის შესახებ საკითხის ამგვარად დაყენება – ეკუთვნის იგი მეტყველებას თუ ენას – სათავეს ფ.დე სოსიურის

მიერ ენის (langage) ენად (langue) და მეტყველებად (parole) დაყოფის ფაქტიდან იღებს. სოსიურისეული მოძღვრების თანახმად, langue (ენა) – არის ნიშანთა სისტემა, parole (მეტყველება) – საკომუნიკაციო პროცესი, რომელიც ხორციელდება ენის როგორც ნიშანთა სისტემის გამოყენების შედეგად, ხოლო langage – ენობრივი სინამდვილე, რომელიც მოიცავს langue და parole-ს.

ტექსტის არაერთი დეფინიცია, რომელიც არსებობს თანამედროვე ლინგვისტიკაში, როგორც ითქვა, ეფუძნება სწორედ მისი კომუნიკაციური ბუნების წინა პლანზე წამოწევას. ტექსტი კომუნიკაციის ძირითადი ერთეულია, ამდენად, არაერთი ლინგვისტის თვალსაზრისით, ტექსტის მიმართება საკომუნიკაციო აქტთან, მისი სამეტყველო ხასიათი და ტექსტობრივი ქმედების ფუნქციური მიმართულება იმაზე მეტყველებენ, რომ ტექსტი, უპირველეს ყოვლისა, სწორედ სამეტყველო მოვლენა არის. მეტყველება მოცემულ შემთხვევაში უნდა გავიგოთ როგორც parole, როგორც ეს ესმოდა ფერდინანდ დე სოსიურს, ანუ უფრო ფართო გაგებით, - ნებისმიერი გამონათქვამი, რამდენადაც მეტყველება შედგება გამონათქვამებისაგან („გამონათქვამი" ფართოდ გამოყენებული ტერმინია, რომელიც ხშირად წინადადების და თვით „ტექსტის" სინონიმური მნიშვნელობითაც კი იხმარება).

არსებობს მოსაზრებაც, რომლის მიხედვითაც ტექსტი არის ენის მოდელირებადი ერთეული, მიკროსისტემა, რომელიც ფუნქციონირებს საზოგადოებაში ენის ძირითადი ერთეულის სახით, და რომელსაც ახასიათებს კომუნიკაციის დროს აზრობრივი კომუნიკაციური დასრულებულობა.

გავიხსენოთ, რომ ენა როგორც სტრუქტურა ნიშანთა სისტემაა. ყოველ ნიშანს გააჩნია ორი მხარე (ასპექტი) – ფორმა (აღმნიშვნელი) და შინაარსი (აღსანიშნი). ურთიერთობა ფორმასა და შინაარსს შორის არის არბიტრალური (პირობითი) ხასიათის. ის მნიშვნელობა, რომელსაც ჩვენ ვანიჭებთ სიტყვას, საზოგადოებრივი შეთანხმების რეზულტატია, რისი საშუა-

ლებითაც ერთმანეთს შევუსაბამებთ განსაზღვრულ მნიშვნელობას განსაზღვრულ ბგერებს. ავიღოთ ნებისმიერი სიტყვა, მაგალითად, „ცხენი" – ამ სიტყვის ბგერით კომპლექსს არაფერი აქვს საერთო იმ რეალურ ხატთან, რომელიც ჩვენს აზროვნებაშია, როდესაც გვესმის ეს სიტყვა. სამაგიეროდ, მშვენივრად გვესმის, რას ნიშნავს სიტყვა „ცხენი". ეს კი განპირობებულია საზოგადოებრივი შეთანხმების საშუალებით, რომლის თანახმადაც თითოეულმა ჩვენგანმა იცის, რომ ცხენი არის ცხოველი, რომელიც შეიძლება გავაჭენოთ, რომელიც ჭიხვინებს, რომელსაც ვაჩერებთ თავლაში და ა.შ. სოსიურის თეორიის მიხედვით ნიშანთა მნიშვნელობა განისაზღვრება მათ სხვა ნიშნებთან მიმართებაში. ნიშანი იმ შემთხვევაში იძენს განსაზღვრულ მნიშვნელობას, როდესაც იგი განსხვავდება სხვა ნიშნებისაგან. მაგალითად, სიტყვა „ცხენი" განსხვავდება სხვა სიტყვებისაგან („ქალი", „მამაკაცი" ან „ვირი") იმით, რა მნიშვნელობაც არის მასში ჩადებული და არა სხვა სიტყვებში.

მაშასადამე, ენა (langue) არის ნიშანთა სისტემა, რომლის სტრუქტურაში ნიშანთა მნიშვნელობა (რომელიც არის ფიქსირებული და უცვალებელი) განისაზღვრება მათ სხვა ნიშნებთან მიმართებაში. მეტყველება (parole) არის ენის (ენობრივ ნიშანთა) სიტუაციური გამოყენება, რომელთაც ადამიანები იყენებენ განსაზღვრულ ვითარებაში.

თუკი ტექსტს გავიგებთ როგორც მეტყველების ერთეულს როგორც ზეპირს, ასევე წერილობითს, ასეთ შემთხვევაში, აუცილებელი გახდება მისი ისეთ ფენომენთან შეპირისპირება, როგორიცაა დისკურსი. არაერთი ლინგვისტის აზრით, დისკურსი სინონიმურია ისეთი ცნებებისა, როგორიცაა მეტყველება, მეტყველების ტიპი, ტექსტი ან ტექსტის ტიპი. ასეთ შემთხვევაში ან უნდა „შევეგუოთ" იმ „გაუგებრობას", რაც ამ ორი ტერმინის გარშემო არსებობს სამეცნიერო პრაქტიკაში და ვთქვათ, რომ დისკურსი და ტექსტი, ფაქტობრივად, სინონიმური მნიშვნელობის ტერმინებია, ან უნდა გავმიჯნოთ ეს

ცნებები ერთმანეთისაგან. გამოსავალი, ერთი მხრივ, პირდაპირი და მარტივი შესაძლოა იყოს: რა თქმა უნდა, „დისკურსი" და „ტექსტი" არ არის ერთი და იგივე ცნება.

ჩვენ მიერ უკვე ციტირებული ავტორი ტოინ ვან დეიკი საკმაოდ დამაჯერებლად გამიჯნავს მათ ერთმანეთისაგან. იგი ამბობს, რომ დისკურსი არის აქტუალურად წარმოთქმული ტექსტი, ხოლო ტექსტი – აბსტრაქტული გრამატიკული სტრუქტურა. დისკურსი ეს არის ცნება, რომელიც ეხება მეტყველებას, აქტუალურ სამეტყველო ქმედებას, მაშინ როდესაც ტექსტი არის ცნება, რომელიც ეხება ენის სისტემას. ამგვარი გაგებით, დისკურსი არის უკვე არა უშუალოდ მეტყველება, არამედ მეტყველების აბსტრაქტული გაგება [დეიკი, 1998].

როგორც წესი, დისკურსად მოიაზრება წერილობითი და ზეპირი ტექსტების ერთობლიობა, რომელთაც ადამიანები იყენებენ ყოველდღიურ პრაქტიკაში – იქნება ეს სარეკლამო განცხადებები, ეკონომიკის სფერო, სოციალური სფერო და ა.შ. მაგრამ, არაიშვიათად, სხვადასხვა კონტექსტში, მისი შინაარსი სრულიად განსხვავებულია და რთულდება იმის გაგება, თუ უშუალოდ რას წარმოადგენს ამ ტერმინით ნაგულისხმევი შინაარსი. ერთი სიტყვით, სამეცნიერო ტექსტებში „დისკურსი", ხშირ შემთხვევაში, მეტად „თავისუფლად" ხმარებული ტერმინია, ყოველგვარი დაზუსტების გარეშე. იმ მნიშვნელობებიდან, რომლებითაც გამოიყენება ტერმინი „დისკურსი", ჩვენ მივმართავთ მხოლოდ რამდენიმე მათგანს:

1. დისკურსის ერთ-ერთი გაგება გულისხმობს გარკვეულ სისტემათა შემოსაზღვრას, რომლის ფარგლებში დაგროვილია გამონათქვამთა რაოდენობა სოციალური ან იდეოლოგიური პოზიციებიდან გამომდინარე. ამდენად, შეიძლება ვისაუბროთ „ყოველდღიურ დისკურსზე", „ფემინისტურ დისკურსზე", „რელიგიურ დისკურსზე", „მეცნიერულ დისკურსზე" „ლიტერატურულ დისკურსზე" და ა.შ.

2. მეორე გაგების მიხედვით, დისკურსი ნიშნავს მეტყველებას – იმავე parole-ს, ანუ, უფრო ფართო გაგებით, – ნებისმიერ გამონათქვამს[3], რამდენადაც მეტყველება შედგება გამონათქვამებისაგან. დისკურსის ამგვარი გაგება დაკავშირებულია სწორედ **მეტყველების სიტუაციურ გამოყენებასთან**[4] სინამდვილის სხვადასხვა სფეროში [იორგენსენი, 2002 : 27].

3. მესამე მნიშვნელობა, რომლითაც ტერმინი „დისკურსი" გვხვდება სამეცნიერო პრაქტიკაში და რომელიც უშუალოდ გამომდინარეობს დისკურსის იმგვარი გაგებისაგან, რომ იგი არის გამონათქვამთა კომპლექსი, პროცესი და რეზულტატი კომუნიკაციური აქტისა, გულისხმობს დისკურსის თეორიის პრაგმატიკულ-კომუნიკაციურ ჭრილში განხილვას.

მაშასადამე, ტექსტი მართალია არ არის დისკურსი, მაგრამ დისკურსი არ არსებობს ტექსტის გარეშე და იგი არის ტექსტის იმგვარი განზომილება, რომელიც შედგება გამონათქვამთა ჯაჭვის\კომპლექსისაგან, ანუ როგორც პროცესი და რეზულტატი სამეტყველო (კომუნიკაციური) აქტისა – „ტექსტი აღებული ხდომილებრივ ასპექტში... ექსტრალინგვისტურ, სოციოკულტურულ, ფსიქოლოგიურ და სხვა ფაქტორთა ერთობლიობასთან ერთად" [არუთინოვა, 1990: 136]. ხოლო თავად ტექსტი არის დისკურსის პროდუქტი.

ტექსტისა და დისკურსის შეპირისპირების პრობლემა გულისხმობს თავად ტექსტის იმგვარ გაგებას, რომელიც დაიწყო 1970-იანი წლებიდან, როდესაც წინა პლანზე გადმოდის ტექსტის როგორც კომუნიკაციური ერთეულის განსაზღვრის პრობლემა. ერთ-ერთი ყველაზე არსებითი მხარე, რაც დამახასიათებელია თანამედროვე კომუნიკაციურად ორიენტირებულ ტექსტის ლინგვისტიკისათვის, არის ის ფაქტი,

3. თუ ტექსტის სტრუქტურის მაკონსტიტუირებელი ელემენტები ენის მაქსიმალური ერთეულებია (წინადადებები), მეტყველების დონეზე ისინი მეტყველების მინიმალურ ერთეულებად იქცევიან. სწორედ მეტყველების ამ მინიმალურ ერთეულს ეწოდება გამონათქვამი. მაშასადამე, გამონათქვამი მეტყველების ერთეულია, რომელიც აზრობრივად კონკრეტდება ტექსტში.

4. ხაზგასმა ჩვენია

რომ მის ფარგლებში ტექსტი მოიაზრება როგორც უმაღლესი რანგის დინამიკური კომუნიკაციური ერთეული.

თანამედროვე კომუნიკაციურად ორიენტირებულ ტექსტის ლინგვისტიკაში, როგორც მეტყველების, ასევე ენის ძირითად ერთეულად მიჩნეულია ტექსტი. ის ენობრივი ნიშნები, რომლებიც ემსახურებიან ენის რომელიმე დონეს, კომუნიკაციის პროცესში მონაწილეობენ ტექსტის აგებაში. ისინი ახალ თვისებებსა და ფუნქციებს იძენენ და ტექსტის ელემენტებს წარმოადგენენ. ამდენად, როგორც მ. ბუხბინდერი მიიჩნევს, ტექსტი ენისა და მეტყველების ყველა დონის ვარიანტების სინთეზირებას ახდენს. იგი ერთდროულად ენის ერთეულიცაა და მეტყველების ერთეულიც. შესაბამისად, ტექსტი შეიძლება მივაკუთვნოთ როგორც მეტყველებას, ასევე ენას.

**ვიმსჯელოთ შემდეგ საკითხებზე:**

1. განსაზღვრეთ დისკურსის როგორც ლინგვისტური კონცეპტის არსი.
2. რა განსხვავებაა ისეთ კონცეპტებს შორის, როგორებიცაა ტექსტი და დისკურსი?
3. რომელ ენობრივ რეალიას ეკუთვნის ტექსტი – ენას თუ მეტყველებას? საიდან იღებს სათავეს ამგვარი დიქოტომიზაცია?

# თავი 2.
# ტექსტი როგორც ენობრივი ნიშანი: ტექსტის ლინგვოსემიოტიკა

## §1. ნიშნის თანამედროვე (სამგანზომილებიანი) თეორია და ტექსტის როგორც ენობრივი ნიშნის განზომილებრივი სტრუქტურა

როგორც ითქვა, სისტემურ-სემიოტიკური ენათმეცნიერების მიხედვით, რომლის ფუძემდებელი ფ. დე. სოსიურია, ენა არის უნივერსალური ნიშნობრივი სისტემა. სემიოტიკური მიდგომის საფუძველზე შესაძლებელი გახდა ენის სემიოტიკური შესწავლის სამი ძირითადი განზომილების გამოყოფა, რომელიც ჩ. მორისის კონცეფციაში ამგვარად გამოიყურება:

სინტაქტიკა, რომელიც შეისწავლის ნიშნის მიმართებას სხვა ნიშნებთან;

სემანტიკა – ნიშნის მიმართება აღსანიშთან;

პრაგმატიკა – ნიშნის მიმართება სუბიექტთან.

ეს სამი განზომილება რიგრიგობით იკავებდა წამყვან სტატუსს ლინგვისტური აზროვნების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე.

ნიშნის თითოეული მოდელი განსაზღვრავდა ლინგვის-

ტური კვლევის ეტაპებსა და მიმართულებას. სტრუქტურალიზმის პერიოდში ძირითადი აქცენტი გადატანილი იყო სინტაქტიკის შესწავლაზე. შემდგომში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა სემანტიკის შესწავლას. ამ პერიოდს წარმოადგენს სტრუქტურული ლინგვისტიკიდან ფუნქციურ ლინგვისტიკაზე გადასვლა ენათმეცნიერებაში. ამ დროს განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა სემანტიკის სფეროს შესწავლას, ყველაზე დიდი აქცენტი გადატანილი იყო მნიშვნელობათა სფეროზე. შემდგომ ეტაპზე – კომუნიკაციური ლინგვისტიკის განვითარების ეტაპზე – წინა პლანზე გადმოდის პრაგმატიკის სფეროს შესწავლა. როგორც ვხედავთ, ამ სამი განზომილების კვლევის ისტორია ეს არის მოძრაობა სინტაქტიკიდან პრაგმატიკამდე.

ტექსტის ლინგვისტიკაში კარგა ხანია დაისვა კითხვა იმის თაობაზე, რამდენად არის შესაძლებელი, ტექსტი ვიკვლიოთ ამ სამი განზომილების – სინტაქტიკა, სემანტიკა, პრაგმატიკა – მიხედვით.

რადგანაც ნებისმიერი ნიშნობრივად აღქმული ენობრივი ერთეული განიხილება სამი განზომილების მიხედვით, მათ შორის ენის უმაღლესი ერთეულის – ტექსტის – კვლევა თანამედროვე ლინგვისტიკაში შესაძლებელია ნიშნის სინტაქტიკურ, სემანტიკურ, პრაგმატიკულ განზომილებებზე დაყრდნობით.

დღეს ყველა ენათმეცნიერი ერთხმად აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ სემანტიკის, სინტაქტიკის და პრაგმატიკის ურთიერთკავშირი განპირობებულია ენობრივი მოვლენების კომუნიკაციური ხასიათით, რაც, თავის მხრივ, განსაზღვრავს ენობრივი ფაქტების კვლევის აუცილებლობას ამ სამი განზომილების მიხედვით.

დღეისათვის, ნიშნის სამგანზომილებიან მოდელში ძირითადი აქცენტი გადატანილია სწორედ ნიშნის პრაგმატიკულ განზომილებაზე: თანამედროვე კომუნიკაციურ ლინგვისტიკაში პირველ პლანზეა პრაგმატიკული კვლევა და იგულისხ-

მება, რომ, საბოლოო ანგარიშში, პრაგმატიკა განსაზღვრავს ნიშნის სინტაქტიკურ და სემანტიკურ განზომილებებს.

**ვიმსჯელოთ შემდეგ საკითხებზე:**

1. განსაზღვრეთ ნიშნის სამგანზომილებიანი მოდელის სტრუქტურა.
2. რა ეტაპების გავლით მიმდინარეობდა ლინგვისტური კვლევის მიმართულება ნიშნის თეორიაზე დაყრდნობით?

## §2. კომუნიკაციური ლინგვისტიკა და ტექსტის პრაგმატიკის დომინანტური სტატუსი ტექსტის ლინგვისტიკაში

წინა პარაგრაფში ვისაუბრეთ იმის შესახებ, რომ სამი ნიშნობრივი განზომილება – სინტაქტიკა, სემანტიკა და პრაგმატიკა – რიგრიგობით იკავებდა წამყვან სტატუსს ლინგვისტური აზროვნების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე.

აღინიშნა, რომ ამ სამი განზომილების კვლევის ისტორია არის მოძრაობა სინტაქტიკიდან პრაგმატიკამდე. იმის შესახებაც გვქონდა საუბარი, რომ ენის სისტემურ-სტრუქტურული შესწავლისას განმსაზღვრელი იყო ენობრივი ერთეულების იერარქიული წყობა, რაც იმას გულისხმობდა, რომ დაბალი იერარქიული ერთეულები შეადგენდნენ უფრო მაღალი იერარქიული დონის ერთეულებს და, დონეებრივი თვალსაზრისით, ენის ყველაზე მაღალ და დამოუკიდებელ ერთეულად ჩაითვალა ტექსტი, ვინაიდან ყველაზე სრულად სწორედ მას შეუძლია შეასრულოს კომუნიკაციის ფუნქცია.

მაშასადამე, ნიშნის განზომილებათა მოძრაობის „გვირგვინი" პრაგმატიკაა. ხოლო სტრატიფიკაციულ მოდელში სრული ნიშნის სტატუსს „ისაკუთრებს" ტექსტი.

გ .ლებანიძე აღნიშნავს, რომ XX საუკუნის ლინგვისტი-

კის დინამიკის საფუძველი ენის სემიოტიკური გაგება, ნიშნის ცნება და მოდელია. ეს დინამიკა ორი მიმართულებით იშლებოდა : „ერთი მხრივ, ეს იყო მოძრაობა სინტაქტიკიდან პრაგმატიკისაკენ, ხოლო მეორე მხრივ – ნიშნის არასრული ტიპიდან ისეთი სრული ტიპისაკენ, როგორიცაა ... ტექსტი. ამ ორი მიმართულების გადაკვეთის წერტილში შეიქმნა და ვითარდება ის, რასაც „კომუნიკაციური ლინგვისტიკა ვუწოდეთ" [ლებანიძე, 1998 : 9].

სწორედ „ამ გადაკვეთის წერტილში", ანუ ლინგვისტური აზროვნების განვითარების ამ ეტაპზე მოხდა ერთი პარადიგმიდან მეორეზე გადასვლა. ამ პროცესმა გამოკვეთა ერთგვარი საპირისპირო ტენდენცია სისტემურ-სტრუქტურული მიდგომისადმი, რაც გამოიხატა სტრუქტურული და ფუნქციური ლინგვისტიკიდან ანთროპოლოგიურ კომუნიკაციურ ლინგვისტიკაზე გადასვლით. ენის როგორც ნიშანთა სისტემიდან აქცენტის გადატანა ენის „მოქმედებაზე" ნიშნავდა, ერთი მხრივ, წინა პარადიგმიდან, ანუ სისტემურ-სტრუქტურული ენათმეცნიერების ფარგლებში განზომილებათა „მოძრაობით" მიღებულ შედეგს – პრაგმატიკის ფაქტობრივი „მოქმედების გამოვლენას" ენობრივ სისტემაში, ხოლო, მეორე მხრივ, ტექსტის ისეთ გლობალურ ხედვას და მისთვის იმგვარი ფუნდამენტური როლის მინიჭებას, რომ, როგორც მ. ჰალიდეი აღნიშნავდა: „ტექსტი – ეს არის ენა მოქმედებაში".

მაშასადამე, როგორც ვნახეთ, კომუნიკაციური ლინგვისტიკა მოიცავს ორ ფუნდამენტურ ცნებას :

1. კომუნიკაციურ აქტს (რომელსაც ეყრდნობა როგორც თანამედროვე პრაგმატიკა, ისე თანამედროვე კომუნიკაციის მოდელი);

2. ტექსტს, რომელიც არის როგორც ნიშნობრივად აღქმული ერთეული (შეგვიძლია ვილაპარაკოთ ტექსტის სინტაქტიკაზე, ტექსტის სემანტიკაზე, ტექსტის პრაგმატიკაზე), ენობრივი იერარქიის სრული, კომპლექსური ნიშანი და ასევე თავად „ენა მოქმედებაში".

თუ ჩვენ გავითვალისწინებთ, ერთი მხრივ, ტერმინ „კომუნიკაციის" ტრადიციულ, ხოლო მეორე მხრივ, მის განახლებულ შინაარსს, რომელიც უშუალოდ ეფუძნება კომუნიკაციური აქტის ცნებას, მაშინ თავად ტექსტიც მიჩნეულ უნდა იქნეს „კომუნიკაციურ ვერბალურ აქტად" [პაპინა, 2002].

თანამედროვე ტექსტის თეორია ამ თვალსაზრისით შეიძლება პრაგმატიკის რეალიზაციად ჩაითვალოს.

ასეთ შემთხვევაში დგება საკითხი კომუნიკაციური ლინგვისტიკისა და ტექსტის ლინგვისტიკის საზღვრების ურთიერთგადაკვეთისა. თანამედროვე ტექსტის ლინგვისტიკა დამოუკიდებელი დისციპლინაა, რომელსაც თავის მიზნები და ამოცანები გააჩნია. მაგრამ, ამასთანავე, ჯერ კიდევ შესავალში აღვნიშნეთ, რომ ტექსტის კომუნიკაციურ-პრაგმატიკული მიდგომის განხილვის შემთხვევაში, სრულიად მკაფიოდ იკვეთება ტექსტის პრაგმატიკის დომინანტური როლი. ამ თვალსაზრისით, როგორც გ. ლებანიძე აღნიშნავს : „ურთიერთმიმართება კომუნიკაციურ ლინგვისტიკასა და პრაგმატიკას შორის იგივეა, როგორც საერთოდ მიმართება ბირთვსა და მთლიანობას შორის, რომლის ბირთვსაც ის წარმოადგენს. რა თქმა უნდა, კომუნიკაციური ლინგვისტიკა არ უდრის პრაგმატიკას, მაგრამ ამავე დროს იგი შინაგანად განპირობებულია და კონსტიტუირებულია პრაგმატიკის მიერ... პრაგმატიკის ამგვარი ბირთვული სტატუსის უშუალო გამოვლინებას და მის დადასტურებას წარმოადგენს ტექსტის ლინგვისტიკა" [გ.ლებანიძე, 1998 : 114].

პრაგმატიკის როლის ამგვარი სახით წინ წამოწევა განპირობებულია იმ ფუნდამენტური ძვრებით, რომელთაც ადგილი ჰქონდა ლინგვისტიკაში. როგორც გვახსოვს, მეცნიერები სტრუქტურული და ფუნქციური ლინგვისტიკიდან ანთროპოლოგიურ კომუნიკაციურ ლინგვისტიკაზე გადასვლას უმნიშვნელოვანეს მეთოდოლოგიურ ძვრად მიიჩნევენ.

ერთ-ერთი ფუნდამენტური ცვლილება, რაც გამოიხატა ახალი პარადიგმის გამოჩენით, უპირველეს ყოვლისა, შეეხო

ადამიანის ფაქტორის წინა პლანზე წამოწევას ენობრივ კომუნიკაციაში. „ახლა ენა განიხილება მისი ცხოვრებაში ჩართულობის, სინამდვილის აღწერის თვალსაზრისით. სულ უფრო და უფრო მყარდება აზრი იმის თაობაზე, რომ ენის ბუნების გაგება შეიძლება მხოლოდ ადამიანიდან და მთლიანად მისი სამყაროდან გამომდინარე... ეს ყოველივე მოწმობს უმნიშვნელოვანეს მეთოდოლოგიურ ძვრას, რომელიც აღინიშნება თანამედროვე ლინგვისტიკაში" [რუზინი, 1993 : 48].

თავად ანთროპოცენტრიზმის ცნება ნიშნავს ადამიანის ფაქტორის ყურადღების ცენტრში მოქცევას. ლინგვისტური ანთროპოცენტრიზმის ყურადღების ცენტრში მოქცეულია ენობრივად დანახული ადამიანი, ენობრივი პიროვნების ცნება. ამდენად, მიუხედავად ადამიანის როლის განუსაზღვრელი მნიშვნელოვნებისა, რომლითაც ხასიათდება თანამედროვე კომუნიკაციური ლინგვისტიკა, არ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ანთროპოცენტრიზმი მთლიანად ავსებს კომუნიკაციური ლინგვისტიკის არსს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, თავად ტერმინი „კომუნიკაციური ლინგვისტიკა" გვეუბნება, რომ მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტი თვით კომუნიკაციის ცნებაა. კომუნიკაციის განახლებული ცნება იმას გულისხმობს, რომ „ადამიანი (სუბიექტი, პიროვნება) უნდა დავინახოთ როგორც კომუნიკაციური აქტის მონაწილე – მთავარი კი თვით კომუნიკაციის ცნებაა, მისი განახლებული გაგება... კომუნიკაციურ ლინგვისტიკაში მთავარი და განმსაზღვრელია თვით კომუნიკაციის ცნება და თუ კომუნიკაციური ლინგვისტიკის ფარგლებში, ფოკუსში ენობრივი პიროვნება ექცევა, ეს ხდება იმიტომ, რომ ამას მოითხოვს თვით კომუნიკაციის ცნების, მისი შინაარსის, მისი სტატუსის სრულიად ახალი გაგება და გააზრება",– აღნიშნავს გ. ლებანიძე [გ.ლებანიძე, 1998 : 47].

ჩვენ უკვე დავსვით კითხვა იმის თაობაზე, თუ რას უნდა ნიშნავდეს კომუნიკაციის ცნების შეცვლა კომუნიკაციური ლინგვისტიკის ფარგლებში, მაშინ როცა შეგვიძლია ვთქვათ,

რომ კომუნიკაციური ფუნქცია მუდამ არსებობდა ენათმეცნიერებაში და მუდამ განისაზღვრებოდა როგორც ენის ძირითადი ფუნქცია. თანამედროვე კომუნიკაციური ლინგვისტიკისათვის უკვე მთავარი ხდება არა მხოლოდ ინდივიდის ენობრივი კომპეტენციის აქტუალიზაცია, არა მხოლოდ „შეტყობინების", „კავშირის დამყარების" ფუნქცია, როგორც კომუნიკაციის ცნების ტრადიციული გაგება, არამედ თავად განახლებული კომუნიკაციური აქტის ცნება. კომუნიკაციური აქტის ცნება კი ეფუძნება ორი ენობრივი სუბიექტის – ადრესანტისა და ადრესატის ურთიერთმიმართებას კომუნიკაციის პროცესში. „კომუნიკაციური ლინგვისტიკის უმთავრეს თეორიულ წინამძღვარს წარმოადგენს კომუნიკაციის როგორც აქტის, როგორც პროცესის ისეთი გაგება, როდესაც ეს აქტი (პროცესი) განისაზღვრება ადამიანისათვის როგორც სუბიექტისათვის დამახასიათებელ უფრო ფართო, შეიძლება ითქვას – ყოვლისმომცველ ქმედებათა ნაირსახეობა ან კომპონენტი... ავლენს რა აქტივობას სამყაროს მიმართ, ადამიანი შედის სხვა ადამიანებთან ურთიერთობაში და პირუკუ. ერთი მხრივ, სწორედ კომუნიკაციის პროცესი წარმოადგენს ამ ქმედება-ურთიერთობის ერთ-ერთ სახეობას – ამიტომ ის, რაც დამახასიათებელია ქმედება-ურთიერთობის ერთიანი აქტისათვის (მისი შინაარსი, მისი სტრუქტურა, მისი როგორც პროცესის ფაზები), დამახასიათებელია, აგრეთვე, კომუნიკაციური აქტისათვის. ხოლო, მეორე მხრივ, კომუნიკაციის აქტი არასოდეს არ არის ჭეშმარიტად და ბოლომდე ავტონომიური აქტი, იგი მუდამ არის უფრო ტევადი, უფრო მეტის მომცველი ადამიანური ქმედების კომპონენტი. ამდენად, თავის შინაარსეულ სტრუქტურას იგი იღებს „გარედან" – თუ შეიძლება ასე ითქვას – უფრო ფართო ადამიანური კონტექსტიდან" [ლებანიძე, 1998 : 51]. სწორედ აქედან გამომდინარე, ავტორი დასძენს, რომ კომუნიკაციური აქტის (პროცესის) ასეთი გაგება რადიკალურად განსხვავდება კომუნიკაციის იმ გაგებისაგან, რომელიც კომუნიკაციურ ლინგვისტიკამდე არსებობდა და

მიიჩნევს, რომ საქმე გვაქვს **ახალ პარადიგმასთან**, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ <u>კომუნიკაციური პარადიგმა</u>.

კომუნიკაციური პარადიგმა გულისხმობს, რომ ყოველი ენობრივი ერთეული, უპირველეს ყოვლისა, უნდა ვიკვლიოთ როგორც კომუნიკაციური ერთეული. „დღევანდელი ლინგვისტური კვლევა გულისხმობს გავიგოთ ყოველი ენობრივი ერთეული როგორც პირველ რიგში კომუნიკაციური ერთეული, ხოლო ყველა დანარჩენი მისი ასპექტი გავიგოთ როგორც დაქვემდებარებული კომუნიკაციური ასპექტის მიმართ" [იქვე, გვ. 51]. ავტორი ამასთანავე მიიჩნევს, რომ თუ ჩვენ მოცემულ სიტუაციას განვსაზღვრავთ ნიშნის ცნებაზე დაყრდნობით, მაშინ ნიშნის სამი ასპექტიდან (სინტაქსური, სემანტიკური, პრაგმატიკული) განმსაზღვრელი ხდება პრაგმატიკული. თუმცა, კომუნიკაციის ამგვარი გაგება იმდენად გარდაქმნის თვით პრაგმატიკის ცნებას, რომ არასაკმარისს ხდის მას და, ამდენად, უმჯობესია ვილაპარაკოთ კომუნიკაციურ- პრაგმატიკულ მიდგომაზე [იქვე. გვ. 52]. როგორც ჯერ კიდევ შესავალში აღვნიშნეთ, კომუნიკაციურ-პრაგმატიკულ მიდგომაზე ყურადღებას ამახვილებს არაერთი ლინგვისტი.

რას ნიშნავს კომუნიკაციურ-პრაგმატიკული მიდგომა? თავად ტერმინი „პრაგმატიკა", სათავეს სემიოტიკიდან იღებს და ენობრივი ნიშნის სამგანზომილებიანი მოდელის მიხედვით, გაგებული იყო როგორც სუბიექტის მიმართება ნიშანთან. კომუნიკაციური ლინგვისტიკის განვითარების პირველ ეტაპზე, სამეტყველო აქტის სუბიექტურობა, რაც პრაგმატიკის შესწავლის ობიექტია, გულისხმობდა მხოლოდ მეტყველ სუბიექტს. ამ პერიოდში საერთოდ არ იდგა „დღის წესრიგში" ადრესატის როლის შესწავლა კომუნიკაციის პროცესში. თანამედროვე კომუნიკაციურ ლინგვისტიკაში კი პრაგმატიკის განზომილება მეტად მრავლისმომცველი ხდება, იგი დაკავშირებულია მეტყველ და მსმენელ სუბიექტთან, ანუ ადრესანტთან და ადრესატთან (მათ შორის, მსმენელ სუბიექტს, ანუ ადრესატს არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება კომუნი-

კაციური აქტის პროცესში), მათ ურთიერთმიმართებასთან კომუნიკაციის პროცესში. თუკი ჩ. მორისის ნიშნობრივ განზომილებებში პრაგმატიკა გულისხმობდა ნიშნის მიმართებას სუბიქტთან, დღეს უკვე იკვეთება მიმართება ორ სუბიექტს შორის – ადრესანტსა და ადრესატს შორის, რასაც ეწოდება ინტერსუბიექტურობა.

მაშასადამე, თანამედროვე პრაგმატიკა ეყრდნობა როგორც ნიშნის თეორიას (იგი თავად ერთ-ერთ სემიოტიკურ განზომილებას წარმოადგენს), ასევე კომუნიკაციის განახლებულ გაგებას, რომელიც კომუნიკაციური აქტის მოდელს ეფუძნება. სწორედ ამდენად გვეძლევა შესაძლებლობა ვილაპარაკოთ კომუნიკაციურ-პრაგმატიკულ მიდგომაზე. სწორედ ამიტომ სამი ენობრივი განზომილებიდან განმსაზღვრელი ხდება პრაგმატიკული.

**ვიმსჯელოთ შემდეგ საკითხებზე:**

1. რა თვალსაზრისით ენიჭება პრაგმატიკას დომინანტური როლი თანამედროვე კომუნიკაციურ ლინგვისტიკაში ?

2. რა ურთიერთმიმართებაში არიან ტექსტის ლინგვისტიკა და კომუნიკაციური ლინგვისტიკა ?

3. რას ნიშნავს „კომუნიკაციური პარადიგმა" ?

4. რატომ საუბრობენ ლინგვისტები კომუნიკაციურ-პრაგმატიკულ მიდგომაზე ?

5. განსაზღვრეთ ინტერსუბიექტურობის არსი.

## §3. ტექსტის პრაგმატიკა

როდესაც ტექსტს განვიხილავთ ნიშნის თეორიაზე დაყრდნობით, ცხადია, აუცილებელი ხდება გავითვალისწინოთ სამი ნიშნობრივი განზომილების კვლევის თანამიმდევრობა.

ტექსტის როგორც ენობრივი ნიშნის განხილვის დაწყება სინტაქტიკიდან, ცხადია, გამართლებული იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ მივყვებოდით განზომილებათა კვლევის ისტორიულად წარმოჩენილ თანამიმდევრობას. მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, დღეისათვის ნიშნის სამგანზომილებიან მოდელში ძირითადი აქცენტი გადატანილია სწორედ ნიშნის პრაგმატიკულ განზომილებაზე. ამდენად, ჩვენც თავდაპირველად სწორედ ამ ნიშნობრივი განზომილების ფარგლებში განვიხილავთ ტექსტს როგორც უმაღლეს ენობრივ ნიშანს.

ტექსტის სტრუქტურა მოიცავს როგორც ზედაპირულ სტრუქტურას, ასევე სიღრმისეულ, აზრობრივ სტრუქტურას. ზედაპირულ სტრუქტურად, როგორც წესი, მოიაზრება ტექსტის სინტაქტიკა – ნიშნებს შორის მიმართებები (გრამატიკული მიმართებები), მათი ერთმანეთთან დაკავშირება. სიღრმისეული სტრუქტურა ეფუძნება ენობრივ ერთეულთა სემანტიკას, რომელიც აწესრიგებს ნიშნების მიმართებას ობიექტური სინამდვილისადმი, მათ მნიშვნელობას, შინააარსსა და აზრს. ზედაპირული და სიღრმისეული სტრუქტურები ერთმანეთთან დაკავშირებული არიან პრაგმატიკით და, როგორც აღვნიშნეთ, სწორედ იგი განსაზღვრავს ტექსტის სინტაქტიკასა და სემანტიკას.

ნებისმიერ ტექსტს აქვს გამოხატვისა და შინაარსის პლანი. შინაარსის პლანის განსაზღვრა გულისხმობს სემანტიკური განზომილების ასპექტებს. ტექსტის სინტაქტიკა შეესაბამება გამოხატვის პლანს, რომლის შინაარსობრივი საფუძველი შესაძლებელია გამოვავლინოთ მხოლოდ სემანტიკურ და პრაგმატიკულ განზომილებათა განსაზღვრის შედეგად.

როგორც მიჩნეულია, პრაგმატიკის განზომილება მრავლისმომცველია და იგი არ შეიძლება შემოისაზღვროს „გარკვეული კონტურებით", არამედ მოიცავს საკითხთა კომპლექსს, რომელიც დაკავშირებულია მეტყველ და მსმენელ სუბიექტთან, ანუ ადრესანტთან და ადრესატთან, მათ ურთიერთმიმართებასთან კომუნიკაციის პროცესში.

ამდენად, პრაგმატიკული განზომილების რომელი ასპექტიც არ უნდა მოექცეს ყურადღების ცენტრში, რადგან მისთვის ფუძემდებელია თავად საკომუნიკაციო აქტი, ნებისმიერ შემთხვევაში, განმსაზღვრელი იქნება თვით **კომუნიკაციური** ასპექტი.

უკვე ვისაუბრეთ იმის შესახებ, ტერმინის „კომუნიკაცია" ახლებური გააზრება გულისხმობს კომუნიკაციური აქტის ცნებას. „შეტყობინების", „დაკავშირების" ფუნქცია მეტყველების პროცესში გათვლილია იმაზე, რომ სამეტყველო აქტში მონაწილეობს არა ერთი სუბიექტი, არა ერთი აქტიური საწყისი, არამედ ორი კომუნიკანტი, ორი სუბიექტი. ერთი მათგანი ახორციელებს კომუნიკაციურ ჩანაფიქრს, იგი „გასცემს" ინფორმაციას". მეორე სუბიექტი კი „იღებს" ინფორმაციას და ახდენს მის „გაშიფვრას". მეტყველი პირი (ადრესანტი, პროდუცენტი) სამეტყველო აქტის პროცესში მიჰყვება განსაზღვრულ მიზანს, რასაც ეწოდება მისი ინტენცია. თანამედროვე ლინგვისტურ თეორიაში, სამეტყველო აქტში ინტენციის ფორმირება დაკავშირებულია ილოკუციის ცნებასთან. ამდენად, საკომუნიკაციო აქტი აუცილებლად გულისხმობს კომუნიკაციურ ინტენციას, ანუ ილოკუციას (ჯ. ოსტინი, ჯ. სერლი). ადრესანტის ინტენცია ინფორმაციის მიწოდებაა ადრესატისათვის. ამდენად, სამეტყველო აქტების უმეტესობა ინფორმაციულ ტიპს მიეკუთვნება. თუმცა, სამეტყველო აქტი ასევე შეიძლება იყოს არაინფორმაციული ტიპის, მაგალითად, მისალმება, ბოდიში, კომპლიმენტი და ა.შ.

მსმენელ სუბიექტზე (ადრესატზე, მკითხველზე, რეციპიენტზე) არის დამოკიდებული ადრესანტისაგან გამოგზა-

ვნილი ინფორმაციის „მიღება", სწორედ მან უნდა მოახდინოს ლექსიკურ-სემანტიკური, გრამატიკული, პრაგმატიკული, სიტუაციური და ა.შ. სისტემის ინტერპრეტაცია, რომელსაც ადრესანტი იყენებს თავისი აზრების, თავისი ინტენციის გადმოსაცემად. მაშასადამე, ადრესატს უხდება ამგვარი გზის გავლა: გამოხატვის საშუალებებიდან – აზრის გაგებამდე.

ვინაიდან თანამედროვე ტექსტის ლინგვისტიკა მეტად იფართოებს თავის მოქმედების არეალს და ტექსტს განიხილავს როგორც უპირველესად მეტყველების პროდუქტს, მისთვის წინა პლანზე გადმოდის ტექსტის კომუნიკაციური ფუნქციების მახასიათებლების კვლევა. ამდენად, თანამედროვე ტექსტის ლინგვისტიკის თეორიებში უკვე მიმდინარეობს ტექსტის პრაგმატიკული განზომილების ანალიზი სამეტყველო თეორიის გათვალისწინების ფონზე. საკომუნიკაციო აქტის პროცესში მეტყველი პირის (ადრესანტის) და ინფორმაციის „მიმღების" (ადრესატის) მეტყველებას გააჩნია სხვადასხვა კომუნიკაციური ფუნქციები, რომლებიც სხვადასხვა ავტორებთან სხვადასხვა სახითაა წარმოდგენილი. ტექსტის როგორც საკომუნიკაციო აქტის ფარგლებში კ. ბიულერი გამოყოფს ენობრივი ნიშნების სუბიქტთან მიმართების შემდეგ ფუნქციებს :

1. **რეპრეზენტაციულს** (საგნების, მოვლენების, საქმის ვითარების წარმოდგენის ფუნქცია) ;

2. **ექსპრესიულს** (შინაგანი მდგომარეობის, ემოციების გამოხატვის ფუნქცია) ;

3. **აპელაციურს** (ამ ფუნქციის საშუალებით ადრესანტი მიმართავს ადრესატს და ცდილობს მისგან გარკვეული რეაქციების „გამოწვევას").

ავტორის აზრით, წამყვანი ფუნქცია ამ სამიდან რეპრეზენტაციულ ფუნქციას ენიჭება. კ. ბიულერის ამ მოდელმა განვითარება პოვა არაერთი ლინგვისტის ნაშრომში [ბიულერი, 1993].

ტექსტის ფუნქციების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კლა-

სიფიკაცია ჯ. სერლის ილოკუციური კლასებია. ჩვენ აღვნიშნეთ, რომ სამეტყველო აქტში ინტენციის ფორმირება დაკავშირებულია ილოკუციის ცნებასთან. ილოკუციური კლასიდან ჯ. სერლი გამოყოფს :

1. **რეპრეზენტატივებს,** რომელთა ფუნქციებია რაიმე ფაქტის (ჭეშმარიტის ან არაჭეშმარიტის, სწორის თუ არასწორის), საქმის ვითარების (ფაქტის კონსტატაცია, აღწერა, შეტყობინება, დადასტურება, დიაგნოზი) რეპრეზენტაცია;

2. **დირექტივებს** – სამეტყველო აქტები, რომლებიც რეციპიენტს მოქმედებისკენ იწვევს (ბრძანება, თხოვნა, განკარგულება, რჩევა, მითითება და ა.შ.) ;

3. **კომისივებს** – სამეტყველო აქტი, რომელშიც მეტყველი პირი წინასწარ საზღვრავს მომავალში როგორ იმოქმედოს და დაიცვას ქცევის განსაზღვრული წესები (საგარანტიო წერილი, შეთანხმება, კონტრაქტი, ფიცი და ა.შ.);

4. **ექსპრესივებს,** რომლებიც გადმოგვცემენ მეტყველი პირის ფსიქიკურ დამოკიდებულებას საგნებისა და სიტუაციების მიმართ (მადლიერება, მობოდიშება, მისამძიმრება).

5. **დეკლარატივებს** – სამეტყველო აქტები, სტატუსის ან მდგომარეობის გამოცხადება (მაგ., „ცოლ-ქმრად გაცხადებთ", ან „დაინიშნოს ... თანამდებობაზე").

მიჩნეულია, რომ ჯ. სერლის ილოკუციური კლასები ძალიან ახლოს დგანან ჩვენ მიერ ზემოთ აღნიშნულ კ. ბიულერის მოდელთან : რეპრეზენტატივი = წარმოდგენის ფუნქცია, ექსპრესივი = გამოხატვის ფუნქცია, დირექტივები = აპელაციური ფუნქცია [სერლი, 1986].

ჯ. სერლის კლასიფიკაციას ეყრდნობა კ. ბრინკერი და გამოყოფს ტექსტის ძირითად ფუნქციებს :

1)**ინფორმაციული** – ადრესანტი ინფორმაციის სახით აწვდის ადრესატს რაღაც ახალს. ინფორმაციის ფუნქციის ძირითადი აზრი, კ. ბრინკერის მიხედვით, გადმოიცემა ფორმულით: „მე (ინფორმაციის გამცემი, ადრესანტი) შენ (ინფორმაციის მიმღებს, ადრესატს გაწვდი ინფორმაციას საქ-

მის ვითარების შესახებ (ტექსტის შინაარსს)". ინფორმაციის ჭეშმარიტება გადაიცემა მოდალური ზმნების, მოდალური სიტყვების ან სხვა ენობრივი საშუალებების დახმარებით. ინფორმაციული ფუნქცია ყველაზე ნათლად იკვეთება გაზეთებში, რადიოსა და ტელევიზიის ახალ ამბებში ; სხვადასხვა ტიპის აღწერებში, სამედიცინო დასკვნებში და ა.შ.

2) **აპელაციური** – ადრესანტი ცდილობს ადრესატზე ზემოქმედებას, რათა მას გარკვეული დამოკიდებულება გამოუმუშავდეს საგნების თუ მოვლენების მიმართ (ზემოქმედება მის აზრებზე) და/ან განახორციელოს გარკვეული ქმედება (ზემოქმედება მის ქმედებაზე). აპელაციური ფუნქციის ძირითადი შინაარსი ამგვარი ფორმულის სახეს იღებს : „მე (ადრესანტი) მოგიწოდებ შენ (ადრესატს) ამ პოზიციის დაკავებას, ამგვარი თვალსაზრისის მიღებას". აპელაციური ფუნქცია დამახასიათებელია სარეკლამო ტექსტებისათვის, პოლიტიკური კომენტარებისათვის, ინსტრუქციებისათვის, რეცეპტებისათვის და ა.შ.

3) **მოვალეობის აღება** – ადრესანტი ადრესატს ამცნობს, რომ მზად არის შეასრულოს განსაზღვრული ქმედება. ამ ფუნქციას ასრულებენ პერფორმატიული ზმნები, როგორიცა „დაპირება" „დაფიცება", „გარანტიის მიცემა" და ა.შ. ამ ფუნქციის ძირითადი შინაარსი გადმოიცემა ფორმულით : „მე (ადრესანტი) საკუთარ თავზე ვიღებ პასუხისმგებლობას შენ წინაშე (ადრესატთან მიმართებაში) შევასრულო". მოცემული ფუნქცია დამახასიათებელია შეთანხმებებისათვის, საგარანტიო წერილებისათვის, ფიცის დადებისათვის და ა.შ.

4) **კონტაქტური** – ამ ფუნციის მიხედვით, ადრესატისათვის ცხადი ხდება, რომ საქმე ეხება პირად ურთიერთობებს (განსაკუთრებით პირადი კონტაქტების დამყარებას). ადამიანური კონტაქტის ფუნქციას გადმოსცემენ შემდეგი პერფორმატიული ზმნები : მადლობა, ბოდიში, მილოცვა, წუხილი. კონტაქტური ფუნქცია თავის გამოხატვას პოვებს მისალოც ბარათებში, სამძიმრისას და ა.შ.

5) **<u>დეკლარაციული</u>** – ადრესანტი ადრესატს ამცნობს, რომ მოცემული ტექსტი ქმნის ახალ რეალობას. მაგ., „მე ჩემს მემკვიდრედ ვაღიარებ ჩემს ძმას". დეკლარაციული ფუნქცია დამახასიათებელია ანდერძებისათვის, უფლებამოსილების გადაცემისათვის, მასვე მიეკუთვნება სტუდენტის ჩათვლის წიგნაკი და ა.შ.

გარდა ზემოთ აღნიშნული ფუნქციებისა, სხვადასხვა ავტორებთან სახელდება საკომუნიკაციო აქტში ადრესანტის კიდევ სხვა კომუნიკაციური ფუნქციები, როგორიცაა, მაგალითად, პოეტური და ესთეტური ფუნქციები.

ზოგადად ადრესანტის კომუნიკაციური ფუნქციების სახეები თანამედროვე პრაგმატიკულ თეორიებში ამგვარად გამოიყურება:

1. **შეტყობინების** ფუნქცია (სუბიექტების, ხდომილებების, პროცესების, ფაქტების შესახებ). ამ ფუნქციას ასევე ეწოდება ნომინაციური, დენოტაციური ან რეფერენტული.

2. **შემეცნებითი** ფუნქცია, რომელიც განსაზღვრული ცოდნის, ცხოვრებისეული გამოცდილების და ა.შ. გადაცემის ფუნქციას ასრულებს. მას ასევე ეწოდება კოგნიტური, გნოსეოლოგიური ფუნქცია.

3. **აპელაციური** ფუნქცია გულისხმობს ადრესატზე ზემოქმედებას, მისთვის, გარკვეული თვალსაზრისით, ადრესანტის ხედვის „თავს მოხვევას". მოცემული ფუნქციის საშუალებით ადრესანტი ცდილობს ადრესატის დარწმუნებას, მის „დაყოლიებას" კონკრეტული იდეების, კონცეფციების შესახებ, აწვდის მოვლენების განვითარების ლოგიკას, იძლევა ეთიკურ ან ზნეობრივ შეფასებებს.

4. **ექსპრესიული** ფუნქციის საშუალებით შესაძლებელი ხდება მეტყველი პირის ფსიქიკური მდგომარეობის გადაცემა გამომხატველობითი ფორმით, მისი სუბიექტური დამოკიდებულების გამოხატვა ნათქვამის მიმართ. ექსპრესიული ფუნქცია შეიძლება გამოიხატოს ყველა დონის – ლექსიკურ-სემანტიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური – საშუალებებით.

5. **ემოციური** ფუნქცია ემსახურება მეტყველი პირის სხვადასხვა გრძნობების გადმოცემას.

დღეისათვის ტექსტის პრაგამატიკულ-კომუნიკაციური ფუნციების აღწერა სულ უფრო ხშირად ხდება სამეტყველო აქტის თეორიებზე დაყრდნობით.

**ვიმსჯელოთ შემდეგ საკითხებზე:**

1. განსაზღვრეთ კომუნიკაციური აქტის სტრუქტურა.
2. ახსენით, რა კავშირი აქვს სამეტყველო აქტის თეორიას თანამედროვე ტექსტის პრაგმატიკასთან.
3. დაასახელეთ ადრესანტის კომუნიკაციური ფუნქციები იმ თეორიების მიხედვით, რომლებიც შემუშავებული აქვს თანამედროვე სამეტყველო აქტების თეორიას.

## §4. ტექსტის სინტაქტიკა

როგორც გვახსოვს, სინტაქტიკა შეისწავლიდა ნიშნის მიმართებას სხვა ნიშნებთან. ამდენად, ტექსტის სინტაქტიკის შესწავლის ობიექტი ტექსტს შიგნით არსებული ტექსტობრივი სეგმენტების ურთიერთმიმართების კანონზომიერებები უნდა იყოს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, **ტექსტის სინტაქტიკა** უშუალოდ ფიქსირებული სინტაქტიკური ფუნქციის მატარებელი სეგმენტებით ვლინდება და სწორედ მის მიერ დადგენილი კანონზომიერებები განსაზღვრავენ, რა მიმართებებია მათ შორის.

უპირველეს ყოვლისა, ჩვენ წინაშე ისმის კითხვა: გულისხმობს თუ არა ამ ურთიერთმიმართებათა კვლევა სინტაქტიკურ დონეზე იმ ცნებით აპარატსა და დადგენილ კანონზომიერებებზე დაყრდნობას, რასაც შეისწავლის სინტაქსი?

პასუხი შეიძლება ძალიან მარტივი იყოს: რა თქმა უნდა, ტექსტის სინტაქტიკის კვლევა უნდა გულისხმობდეს მისი

სინტაქსის კვლევასაც. განსხვავება მხოლოდ შემდეგში მდგომარეობს: სინტაქტიკა „წინ უსწრებს" სინტაქსს წმინდა მეთოდოლოგიურ-ევრისტიკული გაგებით – წმინდა თეორიული თვალსაზრისით. ტექსტის სინტაქტიკა არ არის დაკავშირებული სინტაქსის უკვე შემუშავებულ ცნებით აპარატთან და დადგენილ კანონზომიერებებთან.

ტექსტის თანამედროვე სინტაქტიკა შეიძლება განისაზღვროს როგორც მაკროსინტაქსი, რომელიც გაიმიჯნება ტრადიციული სინტაქსისაგან (ანუ წინადადების სინტაქსისაგან) იმდენად, რამდენადაც ამ უკანასკნელში წინადადება განიხილებოდა ავტონომიურად, ე.ი. არა როგორც ტექსტის კომპონენტი.

ჯერ კიდევ შესავალში აღვნიშნეთ, რომ თავად ტექსტის ლინგვისტიკის წარმოშობა განაპირობა სტრუქტურული ლინგვისტიკიდან ფუნქციურ ლინგვისტიკაზე გადასვლამ, რაც იმას ნიშნავდა, რომ ენობრივ მოვლენათა ახსნა უკვე საჭიროებდა წინადადების საზღვრებს გაცდენას. ისეთი ენობრივი მოვლენების ახსნა, როგორიცაა, მაგალითად, ნაცვალსახელისა და არტიკლის გამოყენება, სიტყვათა თანამიმდევრობა, ზმნის ფორმების შერჩევაც კი, უკვე შეუძლებელი იყო მხოლოდ წინადადების დონეზე და აუცილებელი ხდებოდა მათი კვლევა უფრო „მსხვილი" ერთეულის ფარგლებში. ტექსტის როგორც სინტაქსური ერთეულის შესწავლა დაიწყო ფუნქციური სინტაქსის ფარგლებში. ტექსტის შესწავლაში ფუძემდებლური როლი სწორედ ფუნქციურ სინტაქსს მიუძღვის. „სინტაქსური ერთეულებისადმი ფუნქციურმა მიდგომამ შესაძლებელი გახდა წინადადება-გამონათქვამის საზღვრების გადალახვა და სხვა წინადადება-გამონათქვამთა შორის მისი ადგილის განსაზღვრა, მათ შორის როგორც კონტაქტური, ასევე დისტანტური კავშირების დადგენა. ეს კი პირდაპირი გამოსავალია წინადადება-გამონათქვამთა გაერთიანების, ანუ ტექსტის კომპონენტებისა თუ ფრაგმენტების შესწავლის საქმეში" [ვალგინა, 2003 :26]. ამ თვალსაზრისით, საჭირო

გახდა წინადადებიდან როგორც ფორმალური ენობრივი ერთეულიდან გამონათქვამის როგორც ფუნქციურ ერთეულზე გადასვლა. რას გულისხმობს გამონათქვამის ცნება და რითი განსხვავდება ტრადიციული წინადადების ცნებისაგან, რომელსაც ტრადიციულად შეისწავლიდა სინტაქსი? რატომ ვაცხადებთ, რომ, კომუნიკაციურ-პრაგმატიკული მიდგომის საფუძველზე, ტექსტი შედგება გამონათქვამებისაგან და არა წინადადებებისაგან?

„გამონათქვამი" მეტად ხშირად გამოყენებული ტერმინია, რომელიც ხშირად წინადადების და თვით „ტექსტის" სინონიმური მნიშვნელობითაც კი იხმარება. პირველ რიგში, აუცილებელია გავერკვეთ ტერმინის შინაარსში. ტექსტის ლინგვისტიკაში გამონათქვამი შეისწავლება მისი სტრუქტურის, სემანტიკის, მოცულობის და მისი ფუნქციონირების (პრაგმატიკული) თვალსაზრისით. იმ ძირითადი სტრუქტურულ-სემანტიკური სქემის მიღმა, რომელიც აერთიანებს წინადადებასა და გამონათქვამს, ყურადღება გამახვილდა გამონათქვამის მოდალურ-კომუნიკაციურ ასპექტზე, რომელიც მას განსხვავებულს ხდის წინადადებისაგან. გამონათქვამი შეიძლება იწოდებოდეს ტექსტადაც როგორც მისი უშუალო შემადგენელი ნაწილი, თუმცა ეს საკითხიც დავის საგნად არის ქცეული. ამ ტერმინთა სინონიმურ მნიშვნელობაზე ლაპარაკი შესაძლებელია მხოლოდ გამონათქვამის მოცულობის თვალსაზრისით. მოცულობის მიხედვით, „გამონათქვამი შეიძლება უდრიდეს როგორც ერთ სიტყვას, ასევე მთელი რომანის ტექსტს" [პაპინა, 2002 : 14].

გამონათქვამი როგორც სტრუქტურულ-სემანტიკური ერთეული კონცეპტუალურად აერთიანებს სხვადასხვა დონეებს: ლექსიკურს, გრამატიკულს, ლოგიკურ-სემანტიკურს, კომუნიკაციურს და შეესაბამება კონკრეტულ სიტუაციებს, ადრესანტის და ადრესატის ფონურ ცოდნას და პრესუპოზიციას.

როდესაც ტექსტის სტრუქტურულ განსაზღვრაზე ვსაუბრობდით, ვნახეთ, რომ ტექსტის სტრუქტურის მაკონსტი-

ტუირებელ ელემენტებს წარმოადგენენ ენის მაქსიმალური ერთეულები (წინადადებები). მაგრამ მეტყველების დონეზე, ისინი მეტყველების მინიმალურ ერთეულებად იქცევიან. სწორედ მეტყველების ამ მინიმალურ ერთეულს ეწოდება გამონათქვამი. მაშასადამე, ტექსტში ჩვენ საქმე გვაქვს არა წინადადებებთან, არამედ გამონათქვამებთან, ანუ არა ენის ერთეულებთან, არამედ მეტყველების ერთეულებთან, რომლებიც აზრობრივად კონკრეტდებიან ტექსტში. გარკვეული თვალსაზრისით, გამონათქვამი რეალიზებული წინადადებაა. მას მეტყველებაში კონკრეტული მიზანმიმართულება გააჩნია. ნებისმიერი გამონათქვამი ესაა წინადადება, მაგრამ ნებისმიერი წინადადება არ არის გამონათქვამი. ნ. ვალგინა აღნიშნავს, რომ შეიძლება ისეთ შემთხვევასთანაც გვქონდეს საქმე, როდესაც წინადადება შეიცავს რამდენიმე გამონათქვამ-შეტყობინებას. მაგალითად, თუ ჩვენ ავიღებთ ამგვარ წინადადებას – „სტუდენტები გაემგზავრნენ ექსკურსიაზე" – იგი შეიცავს შემდეგ გამონათქვამებს, რომლებსაც გვაჩვენებს კონტექსტი:

**სტუდენტები** გაემგზავრნენ ექსკურსიაზე (და არა სხვები)

სტუდენტები გაემგზავრნენ **ექსკურსიაზე** (და არა ტყეში)

გამონათქვამი შეიძლება იყოს **ერთობიექტიანი** და **რამდენიმე- ობიექტიანი**. ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენი ხდომილება აისახება მის შინაარსში. მაგალითად, მატარებელი მიდის (შეტყობინება მატარებლის მოძრაობის შესახებ) და მატარებელი დიდი სიჩქარით მიდის (შეტყობინება მატარებლის მოძრაობაზე და მისი მოძრაობის სიჩქარეზე). გამონათქვამის კომპონენტებს შეადგენენ თემა და რემა (თემა – ძველი ინფორმაცია; რემა – ახალი ინფორმაცია).

წინადადება-გამონათქვამები, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებული არიან აზრობრივი და სტრუქტურული (ფრაზათაშორისი) კავშირებით, ერთიანდებიან ტექსტის ერთეულებად – ზეფრაზულ ერთიანობებად, ტექსტის კომპონენტებად და ფრაგმენტებად, და ბოლოს მთლიან ტექსტად.

ამგვარად, გაჩნდა <u>რთული სინტაქსური მთლიანის</u> ცნება, რომელსაც ასევე <u>ზეფრაზული ერთიანობის</u> სახელით იცნობენ ლინგვისტურ ლიტერატურაში. მაშასადამე, იქმნება შემდეგი ტიპოლოგია: წინადადება – გამონათქვამი – ზეფრაზული ერთიანობა (ორი ან მეტი წინადადების თანმიმდევრობა, რომლებიც ერთმანეთთან თემატურად არიან დაკავშირებული) – ტექსტი.

ზეფრაზული ერთიანობის გამოყოფის კრიტერიუმები არაერთგვაროვანია. იგი შეიძლება ამგვარი კომპლექსის სახით გამოიყურებოდეს: აზრობრივი, ლოგიკური, სინტაქსური, რითმურ-მელოდიური და ა.შ. მაგრამ ასევე მიჩნეულია, რომ ერთაზროვანი შესაბამისობა ზეფრაზული ერთიანობის საზღვრების გამოყოფის თაობაზე ზემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებს შორის არ არსებობს. ძირითად პრინციპად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მიჩნეულია ერთი მიკროთემის გამოყოფა, ზეფრაზულ ერთიანობაში შემავალი წინადადებების საერთო აზრობრივი და კომუნიკაციური მთლიანობა. მთლიანი ტექსტის (ანუ მაკროტექსტის) თემის უმცირესი მიკროთემა შეიძლება გამოიყოს სწორედ ზეფრაზულ ერთიანობაში.

არაიშვიათად ლინგვისტებს შორის მიმდინარეობს მსჯელობა ზეფრაზული ერთიანობისა და აბზაცის საზღვრების გამიჯნვის შესახებ. მრავალი ავტორის აზრით, ამ ორ ტერმინს ერთმანეთთან მხოლოდ ის საერთო თვისება აერთიანებთ, რომ ორივე ტექსტის ფარგლებში ფუნქციონერებენ და ორივე საკუთარ ასპექტში ახდენს ტექსტის დანაწევრებას. აბზაცსა და ზეფრაზულ ერთიანობას შორის განსხვავებაზე მსჯელობისას გ. ლებანიძე გამოყოფს სამ ძირითად მიმართებას:

„1) აბზაცი შეიძლება დაემთხვეს მოცულობით ზეფრაზულ ერთიანობას;

2) აბზაცი შეიძლება შეიცავდეს ორ ან მეტ ზეფრაზულ ერთიანობას;

3) ზეფრაზული ერთიანობა შეიძლება შედგებოდეს ორი ან

მეტი აბზაცისაგან. ეს შესაძლებელია განსაკუთრებით დრამატულ ტექსტში – დიალოგურ ტექსტში, სადაც რეპლიკები განსხვავებული აბზაცით არის მოცემული". ამასთან ერთად იგი აცხადებს, რომ „აბზაცი ზეფრაზული ერთიანობისაგან განსხვავებით, ტექსტის წმინდა კომპოზიციური ერთეულია – მისთვის ფუძემდებელია კომპოზიციური და არა თემატური პრინციპი [გ. ლებანიძე, 1998, გვ. 124 - 125].

უკვე ვისაუბრეთ იმის შესახებ, რომ თანამედროვე ტექსტის სინტაქტიკაში, რომელიც თავის მხრივ აუცილებლად გულისხმობს ტექსტის სინტაქსის ცნებას, შესაძლებელია ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს ტექსტის ორი ძირითადი სახეობა: მაკროტექსტი, ანუ ზეფრაზულ ერთიანობაზე აღმატებული, მისი შემცველი ტექსტობრივი წარმონაქმნი და მიკროტექსტი, ანუ ზეფრაზული ერთიანობა, რომელიც ტექსტისათვის ძირითადი ერთეულის („უჯრედის") როლს ასრულებს;

მიუხედავად ტექსტის სახეობების ამგვარი იერარქიული დაყოფისა და მათი ტერმინოლოგიური გაფორმებისა, ტექსტის ლინგვისტიკაში დღესაც საკმაოდ რთულ პრობლემადაა მიჩნეული ტექსტის საზღვრებისა და მოცულობის დადგენა. არაიშვიათად, ერთი და იმავე ტერმინით – „ტექსტი" აღინიშნება:

1) მთლიანი სამეტყველო წარმონაქმნი, ანუ ტექსტი ამ სიტყვის ფართო გაგებით, ან მაკროტექსტი;

2) ზეფრაზული ერთიანობა (რთული სინტაქსური მთლიანი) ან მიკროტექსტი.

გარკვეული თვალსაზრისით, მიჩნეულია, რომ შესაძლებელია მოხდეს ზეფრაზული ერთიანობისა (მიკროტექსტისა) და მთლიანი სამეტყველო წარმონაქმნის (მაკროტექსტის) საზღვრების დამთხვევა.

თუმცა, არაერთი ლინგვისტის თვალსაზრისით, ეს ორი ფენომენი პრინციპულად განსხვავებული ერთეულებია იმდენად, რომ ზეფრაზული ერთიანობა წმინდა სინტაქსური ცნებაა, იგი სინტაქსის ერთეულია, მაკროტექსტი კი, ანუ

ტექსტი ფართო გაგებით, სინტაქსურ ცნებასთან ერთად, სოციალურ-სამეტყველო ერთეულია. ტექსტის ლინგვისტიკის ფარგლებში ზეფრაზული ერთიანობა გვევლინება უშუალოდ ტექსტის გრამატიკის შესწავლის ობიექტად.

ტექსტის სინტაქტიკის შესწავლის სფეროში უნდა შედიოდეს როგორც იმ ზეფრაზულ ერთიანობათა შორის მიმართებები, რომლებიც წარმოადგენენ მაკროტექსტის კომპონენტებს, ასევე მიმართებები მიკროტექსტთა (ზეფრაზულ ერთიანობათა) „შიგნით", ანუ მიმართებები იმ ენობრივ ნიშნებს შორის, რომლებიც მათ კომპონენტებს წარმოადგენენ.

რადგანაც ტექსტის სინტაქტიკა გულისხმობს მის შიგნით არსებული სეგმენტების მიმართებებს, ცხადია, აუცილებლად დგება საკითხი თავად ამ სეგმენტების გამოყოფისა. როგორც აღვნიშნეთ, ტექსტის სინტაქტიკა ტრადიციული წინადადების სინტაქსისაგან იმით განსხვავდება, რომ მასში წინადადება არ განიხილება ავტონომიურად. ტექსტის სინტაქტიკას აინტერესებს ტექსტის შემადგენელი კომპონენტების კვლევა და მიმართებები ტექსტის ფარგლებში.

ზეფრაზულ ერთიანობათა შიგნით წინადადებები ერთიანდებიან არა მხოლოდ ერთი თემის ირგვლივ, არამედ სხვადასხვა სტრუქტურული „სიგნალებით". წინადადებებს შორის სტრუქტურული სიგნალების როლს ასრულებენ ნაცვალსახელები, არტიკლები, დროები და ა.შ. ზეფრაზული ერთიანობის სტრუქტურული მთლიანობის უზრუნველსაყოფ საშუალებათაგან შეიძლება გამოიყოს: ძირითადი სიტყვების რეკურენტულობა (ანუ გამეორება); გრამატიკული საშუალებები, როგორიცაა დროისა და ადგილის ზმნიზედები, მიზნის, მიზეზის, დროის, შედეგის და ა.შ. გარემოებები; კავშირები; ჩვენებითი, პირის ნაცვალსახელები, რომლებიც განსაკუთრებული ტექსტოლოგიური ფუნქციის როლში გამოდიან.

მაშასადამე, სინტაქტიკური განზომილების დონეზე საქმე გვაქვს ტექსტის ფორმასთან – მის ფორმალურ სტრუქტურასთან, თუ ცნობილი გერმანელი ტექსტის ლინგვისტი-

კის სპეციალისტების რ. ბოგრანდისა და ვ. დრესლერის ტერმინოლოგიას დავესესხებით, „ტექსტის ზედაპირულ სტრუქტურასთან". ტექსტის ზედაპირული სტრუქტურის შესწავლა ნიშნავს იმის გარკვევას, თუ რა საშუალებებით უკავშირდებიან ერთმანეთს ტექსტის კომპონენტები. ვ. დრესლერისა და რ. ბოგრანდის აზრით, ტექსტის ზედაპირული სტრუქტურის კომპონენტები ერთმანეთს უკავშირდებიან გრამატიკული ფორმებისა და გრამატიკული ურთიერთობების საშუალებებით. მაგრამ მარტივი გრამატიკული დამოკიდებულებების მიღმა იმალება რთული რეფერენციალური ურთიერთობები, ანუ ენობრივი გამოხატულების შესაბამისობა სინამდვილის ობიექტებისადმი, რაც უკვე სემანტიკისა და პრაგმატიკის სფეროში გადაინაცვლებს.

**ვიმსჯელოთ შემდეგ საკითხებზე:**

1. განმარტეთ, რით განსხვავდება ტექსტის სინტაქტიკა ტრადიციული სინტაქსისაგან.
2. განსაზღვრეთ ზეფრაზული ერთიანობის ცნება. რით განსხვავდება იგი აბზაცისაგან?
3. განსაზღვრეთ მიკროტექსტისა და მაკროტექსტის ცნებები. რას ნიშნავს ტექსტი „ვიწრო" და „ფართო" მნიშვნელობით?
4. განსაზღვრეთ, რას ნიშნავს ტერმინი „გამონათქვამი" და რით განსხვავდება იგი წინადადებისაგან.

## §.5. ტექსტის სემანტიკა (ტექსტის სემანტიკური სივრცე)

როგორც აღვნიშნეთ, ტექსტი, რომელიც წარმოადგენს რთულ სტრუქტურას, უპირველეს ყოვლისა, ფორმისა და შინაარსის თვალსაზრისით იპყრობს მკვლევართა ყურადღებას.

ტექსტის შესწავლა მუდამ ისახავდა მიზნად ფორმისა და შინაგანი (კომუნიკაციური) ურთიერთმიმართებების კანონზომიერებების გამოვლენას, რაც საფუძვლად უდევს ტექსტის გარეგან თუ შინაგან კონსტრუირებას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თანამედროვე ტექსტის ლინგვისტიკის ერთ-ერთი ამოცანაა ტექსტის ფარგლებში გამოხატვისა და შინაარსის პლანებს შორის ურთიერთმიმართებების განსაზღვრა. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ტექსტის სტრუქტურა მოიცავს როგორც ზედაპირულ სტრუქტურას, რომელიც შეესაბამება გამოხატვის პლანს – ტექსტის სინტაქტიკას (ნიშნებს შორის მიმართებები – გრამატიკული მიმართებები, მათი ერთმანეთთან დაკავშირება), ასევე სიღრმისეულ, აზრობრივ სტრუქტურას, რომელიც შეესაბამება ტექსტის სემანტიკას. სწორედ სიღრმისეული, აზრობრივი სტრუქტურა აწესრიგებს ნიშნების მიმართებას ობიექტური სინამდვილისადმი, მათ მნიშვნელობას, შინაარსსა და აზრს. ზედაპირული და სიღრმისეული სტრუქტურები ერთმანეთთან დაკავშირებული არიან პრაგმატიკით. ამდენად, ტექსტს გააჩნია ურთიერთდაკავშირებული ორი მხარე – ფორმა და შინაარსი, და ამასთანავე, განსაზღვრული ფუნქციები. სწორედ ამიტომ, ვ. ჰაინემანი აუცილებლად მიიჩნევდა სამი ძირითადი მიდგომის გამოყოფას ტექსტის ანალიზის დროს: წმინდა სინტაქტიკური (ტექსტის ფორმა), სემანტიკური (ტექსტის შინაარსი), კომუნიკაციურ-პრაგმატიკული (ტექსტის ფუნქციები). ტექსტის ფორმისა და შინაარსის ურთიერთმიმართება სწორედ პრაგმატიკის განმსაზღვრელი როლით წარიმართება.

როდესაც გვსურს ტექსტის შინაარსის, მისი სემანტიკის კვლევა, მეტად მნიშვნელოვანი მომენტია ენათმეცნიერებაში კარგად ცნობილი ცნებების – „მნიშვნელობის", „შინაარსისა" და „აზრის" ურთიერთმიმართების პრობლემის განსაზღვრა. განსხვავება ‚აზრსა" და „მნიშვნელობას" შორის XX საუკუნის 30-იან წლებში ჯერ კიდევ ლ. ვიგოტსკის მიერ არის მოცე-

მული: „თუ სიტყვის „მნიშვნელობა" კავშირისა და შესაბამისობის სისტემის ობიექტურ გამოხატულებას წარმოადგენს, „აზრი" – კონკრეტულ მომენტსა და სიტუაციაში მნიშვნელობაში სუბიექტური ასპექტის შეტანას ნიშნავს" [ვიგოტსკი, 1934].

„აზრი", „მნიშვნელობა" და „შინაარსი" ენაში გამოხატულებას პოულობს სიტყვებში, წინადადებებში, გამონათქვამებში და, ცხადია, ტექსტშიც. ტექსტის სემანტიკის კვლევისათვის განმსაზღვრელია „ტექსტის შინაარსის" პლანისა და „ტექსტის აზრის" ცნებების ურთიერთმიმართების კვლევა.

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრინციპი, რომელიც საფუძვლად უდევს ტექსტის ლინგვისტიკის ფარგლებში შემუშავებული ფუნქციური გრამატიკის მოდელს, არის სემანტიკის სტრატიფიკაცია – მნიშვნელობისა და აზრის, ანუ ზედაპირული და სიღრმისეული სემანტიკის გამიჯნვა და შესაბამისობა. რა წარმოადგენს ტექსტის შინაარსის პლანს?

ტექსტის შინაარსის პლანი – ეს არის სემანტიკური მთლიანი, რომლის ელემენტები ენობრივი (ლექსიკური და გრამატიკული) მნიშვნელობების სამეტყველო რეალიზაციაა, რაც გამოხატულია კონკრეტული ენობრივი საშუალებებით. ტექსტი, რომელიც შეიძლება განხილულ იქნეს მისი ენობრივი შინაარსისა და ენობრივი გამოხატვის თვალსაზრისით, ბილატერული (ორმხრივ) სტრუქტურაა. სამეტყველო აზრი (გამონათქვამის აზრი და მთლიანი ტექსის აზრი), განიხილება როგორც ის ინფორმაცია, რომელსაც გადასცემს მეტყველი პირი (ადრესანტი) და მას იღებს მსმენელი პირი ან მკითხველი (ადრესატი) შინაარსის ენობრივი საშუალებებით გამოხატვის საფუძველზე, კონტექსტისა და სამეტყველო სიტუაციის ურთიერთქმედებით.

ტექსტში ენობრივი ერთეულების მნიშვნელობით ოპერირების გზით, ავტორს შესაძლებლობა ექმნება მისთვის საჭირო აზრების კონსტრუირებისა. მაგრამ მხოლოდ მნიშვნელობათა ოპერირება საკმარისი არ არის იმისათვის, რომ

მოხდეს აზრის კონსტრუირება. როგორც ქვემოთ ვნახავთ, გამონათქვამის (ტექსტის) მნიშვნელობა ან მისი ექსპლიციტური შინაარსი ყოველთვის არ შეესაბამება იმ აზრს, რომელსაც გვაძლევს ტექსტი. ერთი მხრივ, ტექსტის შინაარსი არ უდრის მასში შემავალი აზრების ჯამს, ხოლო მეორე მხრივ, აზრი არ მომდინარეობს უშუალოდ ექსპლიციტური შინაარსისაგან.

მნიშვნელობა, ან გამონათქვამის (ტექსტის) ექსპლიციტური შინაარსი, არის ისეთი შინაარსი, რომელიც უშუალოდ გამოიხატება ენობრივი ნიშნების ერთიანობით, რომელთაგანაც შედგება ეს გამონათქვამი. ამგვარ მნიშვნელობას, ანუ გამონათქვამის (ტექსტის) ექსპლიციტურ შინაარსს, შეიძლება ეწოდოს ე.წ. „ღია ტექსტი”. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ასეთ შემთხვევაში საქმე გვაქვს გამონათქვამთან უშუალო ენობრივი მოცემულობით. ამგვარი გამონათქვამი ობიექტურია – მისი შინაარსი მეტ-ნაკლებად ერთნაირად იქნება აღქმული. მაგრამ ინფორმაცია, რომელსაც გამონათქვამი შეიცავს, არ ამოიწურება მხოლოდ მნიშვნელობით. ინფორმაციის იმ ნაწილს, რომელიც არ არის გამოხატული ენობრივ ნიშნებში პირდაპირი მოცემულობით, ეწოდება **იმპლიციტური** შინაარსი, ანუ **ქვეტექსტი.** ქვეტექსტს ორი მნიშვნელოვანი მახასიათებელი აქვს: მან შეიძლება „შეავსოს” მნიშვნელობა, მას რაღაც დამატებითი შესძინოს, და შეიძლება საერთოდ შეცვალოს, ან სულაც მისი საპირისპირო მნიშვნელობა გვაჩვენოს. კ. დოლინინი აღნიშნავს, რომ ნებისმიერი მეტყველება მუდამ ნიშნავს უფრო მეტს, რასაც იგი გვეუბნება. ის ინფორმაცია, რაც ადრესატს მიეწოდება არ ამოიწურება მხოლოდ ენობრივ ერთეულთა მნიშვნელობათა ერთობლიობით, რომელიც გამონათქვამში გვხვდება. მას ამგვარი მაგალითი მოჰყავს:

A. – წავიდეთ კვირას ქალაქგარეთ?

B. – არა, აკუმულატორი დამიჯდა.

ავტორი აღნიშნავს, რომ წმინდა ინტუიციას, ცხოვრებისეულ გამოცდილებას და საღ აზრს თუ დავეყრდნობით, მო-

ცემულ რეპლიკათა გაცვლისას აღმოვაჩენთ, რომ:

–– B-ს აქვს მანქანა.

–– B-ს მიაჩნია, რომ გულისხმობდა ქალაქგარეთ მანქანით წასვლას.

––A და B-ს გამგზავრება ქალაქგარეთ ჩვეულებრივი მოვლენაა. –– A-სა და B-ს ურთიერთობა იმგვარია, რომ A-ს შეუძლია შესთავაზოს B-ს ერთად გამგზავრება.

თუ ვივარაუდებთ, რომ A და B ცოლ-ქმარი არიან, რომელთაც ურთიერთობაში გარკვეული პრობლემები ჰქონდათ, მაშინ ამგვარ შეთავაზებას, შერიგების ფარული მოტივი გააჩნია. პასუხად A იღებს უარს, თუმცა არა საბოლოოს, ვინაიდან მიზეზად აკუმულატორის გაუმართაობა სახელდება. ჩვენ მიერ ციტირებული ავტორი მიიჩნევს, რომ ყველაზე მთავარი შეტყობინება ენობრივად პირდაპირ არ არის გამოხატული, „გაფორმებული", მაგრამ გარკვეული თვალსაზრისით გამომდინარეობს ნათქვამიდან [დოლინინი, 1985 : 5].

როგორც ვხედავთ, ხშირად შეიძლება ისეთ შემთხვევასთან გვქონდეს საქმე, როდესაც გამონათქვამის ჭეშმარიტი **<u>აზრი</u>** არა მხოლოდ სრულად ემთხვეოდეს გამონათქვამის ენობრივ მნიშვნელობას, ანუ ექსპლიციტურ შინაარსს, არამედ შესაძლოა, ეწინააღმდეგებოდეს. მაგალითად, როდესაც ცუდი ხასიათის ადამიანზე ვიტყვით: „რა მშვენიერი ხასიათი აქვს!"

რა შეიძლება იყოს ქალაქგარეთ გამგზავრების შესახებ ჩვენ მიერ ციტირებული მაგალითის აზრი (აქტუალური აზრი)? ცხადია, ის, რომ A-ს სურს B-სთან შერიგება. მოცემულ შემთხვევაში აქტუალური აზრი ემთხვევა ქვეტექსტს.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, აზრი (აქტუალური აზრი) უცილობლად არის დამოკიდებული **<u>ექსტრალინგვისტურ სიტუაციაზე</u>**. ჩვენ უკვე ვისაუბრეთ იმის შესახებ, რომ სიტუაცია შეიძლება იყოს როგორც ლინგვისტური – უშუალო ენობრივი მოცემულობით, ასევე ექსტრალინგვისტური. ერთმა და იმავე ენობრივმა ნიშნებმა შესაძლოა

სრულიად სხვადასხვა რამ გვამცნოს განსხვავებულ სიტუაციაში. ამდენად, ნებისმიერი გამონათქვამი შედის განსაზღვრულ ექსტრალიგვისტურ სიტუაციაში. ხოლო აზრი (აქტუალური აზრი), აქედან გამომდინარე, საერთოდ არ არსებობს სიტუაციის გარეშე. სწორედ ამას გულისხმობდა ლ.ს. ვიგოტსკი, როდესაც აღნიშნავდა: „აზრი – კონკრეტულ მომენტსა და სიტუაციაში მნიშვნელობაში სუბიექტური ასპექტის შეტანას ნიშნავს". მაშასადამე, აზრი მუდამ სიტუაციურია და სუბიექტური.

ტექსტის რეფერენტული სივრცის შესწავლა, რაც, ცხადია, უშუალოდ სემანტიკის კვლევის სფეროა, წინა პლანზე წამოსწევს ტექსტის შინაარსის სეგმენტაციის პრობლემას. სხვადასხვა ტექსტობრივი ფრაგმენტები შეესაბამებიან გარკვეულ სიტუაციებს (რეფერენტულ სიტუაციებს), რომლებიც ტექსტში არიან წარმოდგენილი. ისინი სხვადასხვა ლინგვისტთა თეორიებში სხვადასხვაგვარად კვალიფიცირდებიან: როგორც დენოტატი, როგორც ნომინაცია, როგორც აზრი. ტექსტის სემანტიკური კომპონენტების აღნიშნვის ამგვარი ტერმინოლოგიური მრავალფეროვნება ცხადყოფს, რომ თანამედროვე ტექსტის ლინგვისტიკაში იკვეთება მცდელობა იმ ერთეულთა გამოყოფისა, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი იქნება ტექსტის სემანტიკის კვლევა და ანალიზი. სამწუხაროდ, მიუხედავად სერიოზული მცდელობებისა, ამგვარ ერთეულთა სისტემა ჯერჯერობით შემუშავებული არ არის. მაგრამ, ამასთანავე ცხადი ხდება, რომ ისეთი კომპლექსური ნიშნის სემანტიკის კვლევისას, როგორიც არის ტექსტი, ტერმინი „ტექსტის სემანტიკა" არასაკმარისი ხდება.

როგორც გვახსოვს, სიტყვის სემანტიკა ასახავს სინამდვილის ერთ რომელიმე ცალკეულ ნაწილს, წინადადება-გამონათქვამის სემანტიკა სიტუაციის (ან სიტუაციათა) შინაარსს, ხოლო ტექსტის სემანტიკა ასახავს არა ერთ ან რამდენიმე სიტუაციას, არამედ მთლიან რეფერენტულ სივრცეს. შესაბამისად, ჩნდება ტერმინი – „ტექსტის სემანტიკური სივრცე".

თანამედროვე ტექსტის თეორიებში ადგილი აქვს ტექსტის სემანტიკური სივრცის დაყოფას ვირტუალურ და აქტუალურ სემანტიკურ სივრცეებად. ვირტუალურ სივრცეს განეკუთვნება თავად ვერბალური ტექსტი, რომელიც შეიცავს ავტორის (ადრესანტის) ინტენციით შერჩეულ ენობრივ ნიშნებს, ხოლო აქტუალურ სივრცეს – მკითხველის, მსმენელის, რეციპიენტის (ადრესატის) მიერ ტექსტის შინაარსობრივი სტრუქტურიდან აზრის გამოტანა.

ამგვარმა დაყოფამ ა.ი. ნოვიკოვს შესაძლებლობა მისცა, უკვე ახლებური პოზიციიდან დაბრუნებოდა ტექსტის სემანტიკური სივრცის დაყოფის ორ უკვე კარგად ცნობილ საშუალებას – შინაარსსა და აზრს. მასთან შინაარსი გაგებულია როგორც „მენტალური წარმონაქმნი, რომელიც სინამდვილის იმ ფრაგმენტის მოდელირებას ახდენს, რომელზეც ლაპარაკია ტექსტში" [ბაბენკო, 2004 : 37]. იგი დენოტაციურ (რეფერენტულ) სტრუქტურებს ეფუძნება, რომლებიც სამყაროში „ობიექტურ მოვლენათა ვითარებას ასახავენ" [იქვე]. ხოლო აზრი გაგებულია როგორც წარმოდგენა, აზრი ამ სინამდვილის შესახებ, ანუ ინტერპრეტაცია იმისა, რასაც ტექსტი გვამცნობს და იგი ინტუიციურ ცოდნას ემყარება.

აქედან გამომდინარე, ვირტუალური სივრცე – ტექსტის შინაარსის, ანუ მისი დენოტაციურ-რეფერენტული სტრუქტურის შესწავლის სფეროს განეკუთვნება, ხოლო მკითხველის მიერ ტექსტის ინტერპრეტაცია მისი აღქმის პროცესში – „აზრის გახსნა" – ტექსტის სემანტიკის კონცეპტუალური და ემოციური სივრცის შესწავლას [იქვე : 54]. ტექსტის სემანტიკური სივრციდან გამოიყოფა შემდეგი უმნიშვნელოვანესი სფეროები, რომლებიც სპეციალურ განხილვასა და ლინგვისტურ ანალიზს საჭიროებენ : ტექსტის <u>კონცეპტუალური</u>, <u>დენოტაციური</u> და <u>ემოციური</u> სივრცეები.

როგორც ცნობილია, უკანასკნელი წლების განმავლობაში, თანამედროვე ანთროპოლოგიური და კოგნიტური ლინგვისტიკის გავლენით საგრძნობლად შეიცვალა, საკმაოდ

რთული და საინტერესო სახე მიიღო ტექსტის სემანტიკური ორგანიზაციის კვლევამ. სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა დაეთმო ტექსტის კონცეპტუალური აზრის კვლევას. კონცეპტუალური აზრი (მთლიანი ტექსტის აზრი) განიხილება როგორც ის ინფორმაცია, რომელიც გადაიცემა მეტყველი პირის (ადრესანტის) მიერ და მისი მიღება ხდება მსმენელი პირის ან მკითხველის (ადრესატის) მიერ შინაარსის ენობრივი საშუალებებით გამოხატვის საფუძველზე, კონტექსტისა და სამეტყველო სიტუაციის ურთიერთქმედებით. სემანტიკის ამ სფეროს შესწავლაში თავის დროზე უდიდესი წვლილი მიუძღვოდა ი. გალპერინის მონოგრაფიას, რომელშიაც იგი გამოყოფს ტექსტის ინფორმაციის შემდეგ ძირითად სახეებს [გალპერინი, 1981 : 28]:

**შინაარსობრივ-ფაქტობრივი** ინფორმაცია – იგი გვამცნობს ფაქტების, მოვლენების, პროცესების შესახებ, რომელთაც ადგილი ჰქონდათ და აქვთ. ამგვარი ტიპის ინფორმაცია გამოხატულებას პოვებს თემატურ ჯგუფებში, რომელთათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამეტყველო საგანთა ნომინაცია, მას ე.წ. ნომინაციური, ანუ ტოპიკალური ჯაჭვი ეწოდება. ძირითადი ნომინაციური ჯაჭვი გადის მთლიან ტექსტზე და მთლიანი ტექსტის თემას წარმოადგენს. მისი საშუალებით შესაძლებელი ხდება ძირითადი ინფორმაციის (თემატური ჯაჭვის) მეორეხარისხოვანისაგან გარჩევა. შინაასობრივ-ფაქტობრივი ინფორმაცია ექსპლიციტურია თავისი არსით, იგი ვერბალურად არის გამოხატული და ნებისმიერი სახის ტექსტში შეიძლება შეგვხვდეს (სამეცნიერო, პუბლიცისტურ, მხატვრულ და ა.შ).

**შინაარსობრივ-კონცეპტუალური ინფორმაცია**, რომელიც მკითხველს ამცნობს ავტორის ინდივიდუალურ ხედვას ამა თუ იმ მოვლენის შესახებ, მათ მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს. შინაარსობრივ-კონცეპტუალური ინფორმაციის გახსნაში დიდ როლს ასრულებს შინაარსობრივ-ფაქტობრივი ინფორმაცია. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ შემთხვევაში

მკითხველისათვის მიუწვდომელია კონცეპტუალური ინფორმაცია და იგი უნდა „დასჯერდეს" მხოლოდ ფაქტობრივ ინფორმაციას. ეს ის შემთხვევაა, როდესაც მკითხველს არ შეუძლია ენობრივი მასალის ინვენტარის გამოყენება, ან მისი თეზაურუსი (ფონური ცოდნა) ამის საშუალებას არ იძლევა. ი. გალპერინის მიხედვით, კონცეპტუალური ინფორმაცია უშუალოდ ეფუძნება ამა თუ იმ ტექსტის\ მხატვრული ნაწარმოების ძირითად კონცეპტს (კონცეპტებს).

**შინაარსობრივ-ქვეტექსტური ინფორმაცია**, რომელიც არ არის გამოხატული სიტყვიერად, უშუალო ენობრივი მოცემულობით, არამედ ნაგულისხმევია. იგი „დაფარული" ინფორმაციაა. ქვეტექსტურ ინფორმაციას მიეკუთვნება: პრესუპოზიცია, სიმბოლო, იმპლიკაცია.

პრესუპოზიცია (ლათ. prae – წინ, supositio – ვარაუდი, პრეზუმპცია) ნიშნავს წინადადების (გამონათქვამის) ისეთ კომპონენტებს, რომელთაც ადრესანტი (ტექსტის გამგზავნი) თვლის ჭეშმარიტად და ადრესატისათვის უკვე ცნობილად. შინაარსობრივი თვალსაზრისით ეს არის ნაწილი გამონათქვამისა, რომელსაც ახასიათებს სიცხადე და ბანალური ჭეშმარიტება. მაგ., თუ ვიტყვით, „იგი პირდაპირ საკურთხევლისაკენ გაეშურა და კანკელის ხატს ეამბორა", თავიდანვე ცხადია, რომ ლაპარაკია ეკლესიაზე. ამგვარ შემთხვევაში, „ქორწინების პირველი წელი მარიამისთვის რთული აღმოჩნდა", თავიდანვე ცხადია, რომ მარიამი დაქორწინებულია. მაშასადამე, პრესუპოზიცია არის ის პირობა, რომლის საშუალებითაც მიიღწევა წინადადების აზრის ადეკვატური გაგება [შევჩენკო, 2003 : 28].

პრესუპოზიციის განსაკუთრებულობა ისაა, რომ იგი უარყოფას არ ექვემდებარება [ლუკინი, 1999 : 34]. მაგალითად, თუ ვიტყვით, რომ „ქორწინების პირველი წელი მარიამისათვის რთული არ ყოფილა", სულაც არ ნიშნავს, რომ მარიამი დაქორწინებული არ არის. მთავარია, გამონათქვამის აზრის აღმნიშვნელი კომპონენტი ჭეშმარიტი იყოს,

რათა გამონათქვამი არ ალიქმებოდეს სემანტიკურად ანომალურად ან მოცემულ კონტექსტში არაადეკვატურად. მაგ., „ფილიპმა იცის, რომ ნიუ-იორკი ამერიკის შეერთებული შტატების დედაქალაქია", „ანომალურად მიიჩნევა, რადგან პრესუპოზიციის სახით მის აზრი წარმოადგენს მცდარ ვარაუდს" [შევჩენკო, 2003 : 28].

სიმბოლო (ბერძ. symbolon – ნიშანი, მანიშნებელი) ჩვენს ცნობიერებაში რჩება როგორც ნიშნის ნიშანი.

ლიტერატურათმცოდნეობითი განსაზღვრების მიხედვით, ყოველი ხატი, გარკვეული თვალსაზრისით, არის სიმბოლო. განსხვავება მათ შორის ისაა, რომ თუ ხატის კატეგორია გულისხმობს საკუთარ თავთან საგნობრივ გაიგივებას, სიმბოლოს კატეგორია იმავე არსის სხვა მხარეზე აკეთებს აქცენტს – „ხატის საკუთარი საზღვრებიდან გამოსვლაზე, ხატთან ინტიმურად შერწყმულ აზრზე". საგნობრივი ხატი და აზრობრივი სიღრმე, ს. ავერინცევის თანახმად, სიმბოლოს სტრუქტურის ორი პოლუსია, რომლებიც ერთმანეთის გარეშე ვერ მოიაზრება (რადგანაც აზრი ხატის გარეშე კარგავს თავის არსს, ხოლო ხატი აზრის გარეშე ნაწილებად დაიშლება). მაშასადამე, მისი აზრით, მხატვრული სიმბოლო არის ხატი საკუთარი ნიშნობრიობის ასპექტში აღებული. სიმბოლოდ ქცეული ხატი ხდება „გამჭვირვალე", საიდანაც აზრი „გამოსცემს ნათელს" და რომელიც გვეძლევა როგორც აზრობრივი სიღრმე [ავერინცევი, 1971 : 826].

**იმპლიკაცია** (ლათ. implico – ვაკავშირებ) ისეთი შეტყობინებაა, რომელიც ადრესატის მიერ აღიქმება ტექსტის შინაარსიდან ან მისი კომპონენტებიდან. პრესუპოზიციისაგან განსხვავებით, იმპლიკაცია იკარგება უარყოფისას. ხშირ შემთხვევაში იმპლიკაციასა და ქვეტექსტს ერთმანეთთან აიგივებენ, თუმცა მათი შინაარსი ერთმანეთს არ უდრის. ი. გალპერინი მიიჩნევს, რომ ეს ორი ცნება მეტად ახლოს დგანან ერთმანეთთან, მაგრამ იდენტური არ არიან. ქვეტე-

ქსტი „გაუგებარი, „წაშლილი", ძნელსაცნაური შესაბამისობაა აზრსა და გამონათქვამის შინაარსს შორის". იმპლიკაცია შინაარსის გამოხატვის „დაფარვაა", „დადუმება", ე.წ. შინაგანი ქვეტექსტი. თავად ქვეტექსტი შეიძლება ეფუძნებოდეს იმპლიკაციას. იგი „თითქოსდა აზრის ვერბალური მანიფესტაციის პროექციას, ასოციაციური აზროვნების ფარულ მექანიზმს წარმოადგენს [შევჩენკო, 2003 : 30]. ი. გალპერინი ქვეტექსტის ორ სახეს გამოყოფს – სიტუაციურსა და ასოციაციურს. სიტუაციური ქვეტექსტი დაკავშირებულია ფაქტებთან, მოვლენებთან. იგი შეიძლება იყოს ისტორიული ან ლიტერატურული, რაც იმას ნიშნავს, რომ მკითხველს შეახსენოს ისტორიული ან ლიტერატურული ფაქტები და მოვლენები. სიტუაციური (ხანდახან მას ასოციაციურიც ეწოდება) ქვეტექსტის ერთ-ერთ საშუალებად გვევლინება **ალუზია**. ალუზია სტილისტური ფიგურაა, რომელიც არაპირდაპირ მიუთითებს ადამიანზე, ლიტერატურულ, ბიბლიურ და ა.შ. მოვლენებსა და ფაქტებზე, იგი არის მითითება ისტორიულ ტექსტზე.

ასოციაციური ქვეტექსტი არ არის დაკავშირებული ადრე აღწერილ ფაქტებთან, არამედ, ჩვენი ცნობიერებისათვის დამახასიათებელი თვისების წყალობით, შესაძლებელი ხდება გადმოცემული ვერბალურად დააკავშიროს პირად ან საზოგადოებრივ გამოცდილებას. ასოციაციური ქვეტექსტი დაკავშირებულია ჩვენს გრძნობებთან, ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან, მხედველობასთან, სმენადობასთან და ა.შ.

ნ. შევჩენკო აღნიშნავს, რომ ქვეტექსტი არის გარკვეული სახის დიალოგი შინაარსობრივ-ფაქტობრივი და შინაარსობრივ-კონცეპტუალური ინფორმაციის მხარეებს შორის. ქვეტექსტის ერთ-ერთი მახასიათებელია არაფორმირებულობა და განუსაზღვრელობა. კონცეპტუალური ინფორმაციისაგან განსხვავებით, რომელიც მხოლოდ მთლიანი ტექსტის ფარგლებში გვხვდება, ქვეტექსტი შეიძლება შეგვხვდეს კონკრეტულ წინადადებაში. ქვეტექსტის აღქმა მკითხველის

თეზაურუსზეა დამოკიდებული. რაც უფრო მდიდარია მისი თეზაურუსი, მით უფრო მეტად ანალიტიკურად უდგება მკითხველი ტექსტს [შევჩენკო, 2003 : 30].

მოცემულ ტიპოლოგიაზე დაყრდნობით, შესაძლებელი ხდება ტექსტის ინფორმაციის სახეების მკვეთრი გამიჯნვა ორი პარამეტრის მიხედვით – შინაარსის პლანი და გამოხატვის პლანი (გამოხატვის საშუალებები). შედეგად ინფორმაციის ტიპები მოცემულია ოპოზიციის სახით: 1) შინაარსობრივ-ფაქტობრივ და შინაარსობრივ-კონცეპტუალურ ინფორმაციას მიაკუთვნებენ შინაარსის პლანის პარამეტრს; 2) ექსპლიციტურ ან იმპლიციტურ, ანუ შინაარსობრივ-ქვეტექსტურ ინფორმაციას გამოხატვის პლანის პარამეტრს, ვინაიდან როგორც ფაქტობრივი, ასევე კონცეპტუალური ინფორმაცია შეიძლება გამოხატული იყოს როგორც ექსპლიციტურად, ასევე იმპლიციტურად.

**ვიმსჯელოთ შემდეგ საკითხებზე:**

1. განსაზღვრეთ, რას ნიშნავს „მნიშვნელობა", „შინაარსი" და „აზრი".

2. რა იგულისხმება შინაარსის პლანისა და გამოხატვის პლანის ურთიერთმიმართებაში ?

3. რა თვალსაზრისით ენიჭება უპირატესობა ტერმინს „ტექსტის სემანტიკური სივრცე" „ტექსტის სემანტიკასთან" მიმართებისას ?

4. რას ნიშნავს რეფერენტული სიტუაცია და რით განსხვავდება იგი რეფერენტული სივრცისაგან ?

5. რას ნიშნავს ვირტუალური და აქტუალური სემანტიკური სივრცის ცნებები ?

6. მოახდინეთ მხატვრული ტექსტის – "A Canary For One" სემანტიკური სივრცის ანალიზი ზემოთ წარმოდგენილ თეორიულ საფუძვლებზე დაყრდნობით.

**A CANARY FOR ONE**

By Ernest Hemingway

THE train passed very quickly a long, red stone house with a garden and four thick palm trees with tables under them in the shade. On the other side was the sea. Then there was a cutting through a red stone and clay, and the sea was only occasionally and far below against the rocks.

“I bought him in Palermo,” the American lady said. “We only had an hour ashore and it was Sunday morning. The man wanted to be paid in dollars and I gave him a dollar and a half. He really sings very beautifully.”

It was very hot in the train and it was very hot in the lit salon compartment. There was no breeze came through the open window. The American lady pulled the window-blind down and there was no more sea, even occasionally. On the other side there was glass, then the corridor, then an open window, and outside the window were dusty trees and an oiled road and flat fields of grapes, with grey-stone hills behind them.

There was smoke from many tall chimneys coming into Marseilles, and the train slowed down and followed one track through many others into the station. The train stayed twenty-five minutes in the station at Marseilles and the American lady bought a copy of the Daily Mail and a half-bottle of Evian water. She walked a little way along the station platform, but she stayed near the steps of the car because at Cannes, where it stopped for twelve minutes, the train had left with no signal of departure and she had only gotten on just in time. The American lady was a little deaf and she was afraid that perhaps signals of departure were given and that she did not hear them.

The train left the station in Marseilles and there was not only the switch-yards and the factory smoke but, looking back, the town of Marseilles and the harbor with stone hills behind it

and the last of the sun on the water. As it was getting dark the train passed a farmhouse burning in a field. Motor-cars were stopped along the road and bedding and things from inside the farmhouse were spread in the field. Many people were watching the house burn. After it was dark the train was in Avignon. People got on and off. At the news-stand Frenchmen, returning to Paris, bought that day's French papers. On the station platforms were Negro soldiers. They wore brown uniforms and were tall and their faces shone, close under the electric light. Their faces were very black and they were too tall to stare. The train left Avignon station with the Negroes standing there. A short white sergeant was with them.

Inside the lit salon compartment the porter had pulled down the three beds from inside the wall and prepared them for sleeping. In the night the American lady lay without sleeping because the train was a rapide and went very fast and she was afraid of the speed in the night. The American lady's bed was the one next to the window. The canary from Palermo, a cloth spread over his cage, was out of the draught in the corridor that went into the compartment washroom. There was a blue light outside the compartment, and all night the train went very fast and the American lady lay awake and waited for a wreck.

“If I had a pretty little wife I shouldn`t let her spend a year in New York while I stayed at Kobe,” said he.

At that moment I did not entirely dislike Mr Kelada. He reached out for his pocket book and carefully put in it the hundred-dollar note.

**Carcassonne**
**By William Faulkner**

And me on a buckskin pony with eyes like blue electricity and a mane like tangled fire, galloping up the hill and right off into the high heaven of the world.

His skeleton lay still. Perhaps it was thinking about this. Anyway, after a time it groaned. But it said nothing, which is certainly not like you he thought you are not like yourself, but I can’t say that a little quiet is not pleasant.

He lay beneath an unrolled strip of tarred roofing made of paper. All of him that is, save that part which suffered neither insects nor temperature and which galloped unflagging on the destinationless pony, up a piled silver hill of cumulae where no hoof echoed nor left print, toward the blue precipice never gained. This part was neither flesh nor unftesh and he tingled a

little pleasantly with its lackful contemplation as he lay beneath the tarred paper bedclothing.

So were the mechanics of sleeping, of denning up for the night, simplified. Each morning the entire bed rolled back into a spool and stood erect in the corner. It was like those glasses, reading glasses which old ladies used to wear, attached to a cord that rolls onto a spindle in a neat case of unmarked gold; a spindle, a case, attached to the deep bosom of the mother of sleep.

He lay still, savoring this. Beneath him Rincon.followed its fatal, secret, nightly pursuits, where upon the rich and inert darkness of the streets lighted windows and doors lay like oily strokes of broad and overladen brushes. From the docks a ship's siren un-sourced itself. For a moment it was sound, then it compassed silence, atmosphere, bringing upon the eardrums a vacuum in which nothing, not even silence, was. Then it ceased, ebbed; the silence breathed again with a clashing of palm fronds like sand hissing across a sheet of metal.

Still his skeleton lay motionless. Perhaps it was thinking about this, and he thought of his tarred paper bed as a pair of spectacles through which he nightly perused the fabric of dreams:

Across the twin transparencies of the spectacles the horse still gallops with its tangled welter of tossing flames. Forward and back against the taut roundness of its belly its legs swing, rhythmically reaching and overreaching, each spurning overreach punctuated by a flicking limberness of shod hooves. He can see the saddle-girth and the soles of the rider's feet in the stirrups. The girth cuts the horse in two just back of the withers, yet it still gallops with rhythmic and unflagging fury and without progression, and he thinks of that riderless Norman steed which galloped against the Saracen Emir, who, so keen of eye, so delicate and strong the wrist which swung the blade, severed

the galloping beast at a single blow, the several halves thundering on in the sacred dust where him of Bouillon and Tancred too clashed in sullen retreat; thundering on through the assembled foes of our meek Lord, wrapped still in the fury and the pride of the charge, not knowing that it was dead.

The ceiling of the garret slanted in a ruined pitch to the low eaves. It was dark, and body consciousness, assuming the office of vision, shaped in his mind's eye his motionless body grown phosphorescent with that steady decay which had set up within his body on the day of his birth, *the flesh is dead living on itself subsisting consuming itself thriftily in its own renewal will never die for I am the Resurrection and the Life* Of a man, the worm should be lusty, lean, haired-over. Of women, of delicate girls briefly like heard music in tune, it should be suavely shaped, falling feeding into prettinesses, feeding. *what though to Me but as a seething of new milk Who am the Resurrection and the Life.*

It was dark. The agony of wood was soothed by these latitudes; empty rooms did not creak and crack. Perhaps wood was like any other skeleton though, after a time, once reflexes of old compulsions had spent themselves. Bones might lie under seas, in the caverns of the sea, knocked together by the dying echoes of waves. Like bones of horses cursing the inferior riders who bestrode them, bragging to one another about what they would have done with a first-rate rider up. But somebody always crucified the first-rate riders. And then it's better to be bones knocking together to the spent motion of falling tides in the caverns and the grottoes of the sea.

*where him of Bouillon and Tancred too*

His skeleton groaned again. Across the twin transparencies of the glassy floor the horse still galloped, unflagging and without progress, its destination the barn where sleep was stabled. It was dark Luis, who ran the cantina downstairs, allowed him to

sleep in the garret. But the Standard Oil Company, who owned the garret and the roofing paper, owned the darkness too; it was Mrs Widdrington's, the Standard Oil Company's wife's, darkness he was using to sleep in. She'd make a poet of you too, if you did not work anywhere. She believed that, if a reason for breathing were not acceptable to her, it was no reason. With her, if you were white and did not work, you were either a tramp or a poet. Maybe you were. Women are so wise. They have learned how to live unconfused by reality, impervious to it. It was dark.

*and knock my bones together and together* It was dark, a darkness filled with a fairy pattering of small feet, stealthy and intent. Sometimes the cold patter of them on his face waked him in the night, arid at his movement they scurried invisibly like an abrupt disintegration of dead leaves in a mind, in whispering arpeggios of minute sound, leaving a thin but definite effluvium of furtiveness and voracity. At times, lying so while daylight slanted grayly along the ruined pitch of the eaves, he watched their shadowy flickings from obscurity to obscurity, shadowy and huge as cats, leaving along the stagnant silences those whispering gusts of fairy feet.

Mrs Widdrington owned the rats too. But wealthy people have to own so many things. Only she didn't expect the rats to pay for using her darkness and silence by writing poetry. Not that they could not have, and pretty fair verse probably. Something of the rat about Byron: allocutions of stealthful voracity: a fairy pattering of little feet behind a bloody arras where fell *where fell where I was King of Kings but the woman with the woman with the dog's eyes to knock my bones together and together*

"I would like to perform something," he said, shaping his lips soundlessly in the darkness, and the galloping horse filled his mind again with soundless thunder. He could see the saddle-girth and the soles of the rider's stirruped feet, and he thought of that Norman steed, bred of many fathers to bear iron mail in

the slow, damp, green valleys of England, maddened with heat and thirst and hopeless horizons filled with shimmering nothingness, thundering along in two halves and not knowing it, fused still in the rhythm of accrued momentum. Its head was mailed so that it could not see forward at all, and from the center of the plates, projected a — projected a —

"Chamfron," his skeleton said.

"Chamfron." He mused for a time, while the beast that did not know that it was dead thundered on as the ranks of the Lamb's foes opened in the sacred dust and let it through.

"Chamfron," he repeated. Living, as it did, a retired life, his skeleton could know next to nothing of the world. Yet it had an astonishing and exasperating way of supplying him with bits of trivial information that had temporarily escaped his mind. "All you know is what I tell you," he said.

"Not always," the skeleton said. "I know that the end of life is lying still. You haven't learned that yet. Or you haven't mentioned it to me, anyway."

"Oh, I've learned it," he said. "I've had it dinned into me enough. It isn't that. It's that I don't believe it's true."

The skeleton groaned.

"I don't believe it, I say," he repeated.

"All right, all right," the skeleton said testily. "I shan't dispute you. I never do. I only give you advice."

"Somebody has to, I guess," he agreed sourly. "At least, it looks like it." He lay still beneath the tarred paper, in a silence filled with fairy patterings. Again his body slanted and slanted downward through opaline corridors groined with ribs of dying sunlight upward dissolving dimly, and came to rest at last in the windless gardens of the sea. About him the awaying caverns and the grottoes, and his body lay on the rippled floor, tumbling peacefully to the wavering echoes of the tides.

I *want to perform something bold and tragical and austere*

he repeated, sharing the soundless words in the pattering silence *me on a buckskin pony with eyes like blue electricity and a mane like tangled fire, galloping up the hill and right off into the high heaven of the world*. Still galloping, the horse soars outward; still galloping it thunders up the long blue hill of heaven, its tossing mane in golden swirls like fire. Steed and rider thunder on, thunder punily diminishing: a dying star upon the immensity of darkness and of silence within which, steadfast, fading, deepbreasted and grave of flank, muses the dark and tragic figure of the Earth, his mother.

## §4. ტექსტის მთლიანობა და კოჰეზიურობა და მათი ურთიერთმიმართების პრობლემა

ტექსტის უნივერსალური კატეგორიების საფუძველი, როგორც ცნობილია, ტექსტის მთლიანობა (შინაარსის პლანი) და კოჰეზიურობაა (გამოხატვის პლანი). ტექსტის მთლიანობა, როგორც მიჩნეულია, ორიენტირებულია შინაარსის პლანზე. მაგრამ, როგორც ვ. ლუკინი აღნიშნავს, ტექსტის შინაარსი არ უტოლდება მხოლოდ აზრების ჯამს, რომლებისგანაც იგი იგება. „ჩვენ გვაქვს ა. პუშკინის მიერ დაწერილი ტექსტების დიდი რაოდენობა და ყველა მათგანი სიტყვებისაგან შედგება. ტექსტებზე ლექსიკოლოგიურმა და ლექსიკოგრაფიულმა მუშაობამ შესაძლებლობა მოგვცა შეგვედგინა „პუშკინის ენის ლექსიკონი. ტექსტებიდან შეიძლება მივიდეთ ლექსიკონამდე, მთლიანიდან – ნაწილებამდე. მაგრამ შეუძლებელია, როგორც არ უნდა გამოვიყენოთ პუშკინის ენის ლექსიკონი, მისი რომელიმე ტექსტის აღდგენა" [ლუკინი, 1999: 42]. ცხადია, ეს მეტად გამარტივებული მაგალითია, მაგრამ იგი ზუსტად პასუხობს ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვნ პრობლემას – ტექსტის მთლიანობისა და შეკავშირებულობის ურთიერთმიმართების მომენტს: თუკი კარგად გავიგებთ

ტექსტს, შეგვიძლია დავადგინოთ, ყოველ შემთხვევაში ზოგადად მაინც, იმ ერთეულთა რაობა, რომლებისგანაც იგება იგი და როგორ არიან ისინი ერთმანეთთან დაკავშირებულნი; მაგრამ თუნდაც ძალიან კარგად ვიცოდეთ, რას წარმოადგენენ ერთეულები, რომლებისგანაც იგება ტექსტი, და როგორია მათ შორის კავშირები, ვერ შევძლებთ ტექსტი გავიგოთ როგორც მთლიანი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თანაბარ პირობებში მთლიანიდან შეგვიძლია მივიდეთ კოჰეზიურობასთან (შეკავშირებულობასთან), მაგრამ კოჰეზიურობიდან (შეკავშირებულობიდან) მთლიანამდე მისვლა შეუძლებელია [იქვე]. ცხადია, ჩვენ მიერ ციტირებული მოსაზრების ავტორი სულაც არ გულისხმობს, რომ აზრი არ ჰქონდეს, ვთქვათ, სხვადასხვა შეკავშირების ტიპების დადგენას, სინტაქსური კავშირების, გრამატიკული ფორმების, სიტყვების და ა.შ. ანალიზს. მსგავს შემთხვევებში ადგილი ექნება მოცემულ ტექსტში ენობრივი ერთეულების ლექსიკური და გრამატიკული სემანტიკის, მათ შორის კავშირის კვლევას. ამგვარი ტიპის ანალიზი მხოლოდ ტექსტის გარკვეული ნაწილების შესახებ შეგვიქმნის წარმოდგენას. თავად ვ. ლუკინი იშველიებს ვ. ბელიანინის სიტყვებს, რომელიც ამბობს, რომ მხატვრულ ტექსტში ყოველი მომდევნო ხდომილება ნაკლებად არის დაკავშირებული წინასთან, ხოლო მეტად – ნაწარმოების მთლიან იდეასთან [ბელიანინი, 1988 : 46]. ტექსტის შინაარსზე მხოლოდ მაშინ შეიძლება მსჯელობა, როდესაც მასზე, როგორც მთლიანზე, შევძლებთ რაიმე ტიპის ჰიპოთეზის გამოტანას. ტექსტის შეკავშირებულობა მხოლოდ ამის შემდეგ წარმოგვიდგება ახალი სახით: გახდება გასაგები, თუ რატომ იყო სწორად ასე აგებული, თუ რა შინაარსს ემსახურება ფორმა, რომელიც სწორედ ამგვარ მონახაზს იღებს.

თუ შევეცდებით გრაფიკულად გამოვხატოთ ტექსტის შეკავშირებულობა და ტექსტის მთლიანობა, მაშინ მთლიანობა – სქემის ვერტიკალურ, ხოლო შეკავშირებულობა ტექსტის ჰორიზონტალურ ადგილს დაიკავებს. მთლიანობა გარეგანად

მატერიალიზდება შეკავშირებულობაში, ეს უკანასკნელი კი შინაგანად განპირობებულია მთლიანობით და, თავის მხრივ, განაპირობებს მას. მაშასადამე, ვ. ა. ლუკინის აზრით, ტექსტის მთლიანობის კატეგორია შეკავშირებულობის კატეგორიის შესაბამისობასთან ერთად უნდა იქნეს განხილული [ლუკინი, 1999 : 4]. ა. ნოვიკოვი მიიჩნევს, რომ „მთლიანობა ეს არის მახასიათებელი შინაგანად შეკავშირებული ტექსტის აღქმის რეზულტატისა, ხოლო თავად შეკავშირება – საშუალება, რომელიც შესაძლებელს ხდის მოცემული მახასიათებლის მიღებას [ნოვიკოვი, 1983 : 27]. სწორედ ამ ორი ფუნდამენტური კატეგორიის ირგვლივ ხდება დანარჩენი კატეგორიების ფორმირება და სწორედ მათთან შესაბამისობაში. ი. გალპერინი ასევე მიიჩნევდა, რომ კოჰეზიისა და მთლიანობის კატეგორიები ურთიერთგანმაპირობებელი კატეგორიებია, მაგრამ ისინი განსხვავდებიან მათი ფორმისა და გამოხატვის საშუალებებით. კოჰეზია, მისი აზრით, წარმოადგენს ტექსტის ცალკეულ მონაკვეთებს შორის გრამატიკული, სემანტიკური, ლექსიკური შეკავშირების ფორმებს, რომლებიც განსაზღვრავენ ტექსტის კონტექსტურ-ვარიაციული დანაწევრების ერთი ტიპიდან მეორეზე გადასვლას. მთლიანობა კი ტექსტის ყველა მონაკვეთის, ყველა ნაწილის გაერთიანებას გულისხმობს მისი მთლიანობის მისაღწევად. „მთლიანობა შეიძლება განხორციელდეს კოჰეზიის საშუალებებით, მაგრამ შეიძლება აგებულ იქნეს ასოციაციების ან პრესუპოზიციების საშუალებით. კოჰეზია ლოგიკური პლანის კატეგორიაა, მთლიანობა კი – ფსიქოლოგიური [გალპერინი, 1981 : 125]. „თავისი ბუნებით ეს კატეგორია (ავტორი გულისხმობს მთლიანობის კატეგორიას) ფსიქოლინგვისტურ ხასიათს ატარებს და ეფუძნება ტექსტის აღქმის კანონებს, მკითხველის სწრაფვას ტექსტის დეკოდირების დროს გააერთიანოს ტექსტის ყველა კომპონენტი ერთ მთლიანად. ფსიქოლინგვისტიკა ტექსტის აღქმის ამგვარ პოსტულატს გვთავაზობს: ნებისმიერ ტექსტში, თუ იგი დასრულებული და თანამიმდევრუ-

ლია, გამოთქმულია ერთი ძირითადი აზრი, ერთი თეზისი. ყველაფერი დანარჩენი ამ აზრისაკენ არის მიმართული, მის გავრცობას, დამუშავებას, არგუმენტირებას ემსახურება [ჟინკინი, 1956 : 17].

ფსიქოლინგვისტთა გამოკვლევებმა აჩვენეს, რომ თავად ტექსტის აღქმა, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებულია მისი მთლიანობის გაცნობიერებასთან, რაც მჟღავნდება საკვანძო სიტყვების (მაკროკავშირის) და ტექსტის მთლიანი სქემის (მიკროკავშირის) აღქმაში. ტექსტის მთლიანობა განისაზღვრება მისი დენოტაციური სივრცით და მისი აღქმის კონკრეტული სიტუაციით: ვინ აღიქვამს ტექსტს? სად? როდის? რატომ? <... > თუ კოჰეზია რეალიზდება სინტაგმატურ ჭრილში, მთლიანობა შეგვიძლია წარმოვიდგინოთ როგორც პარადიგმატული პროცესი, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კოჰეზია ლინეარულია, მთლიანობა – ვერტიკალური [ბაბენკო, 2004 : 41].

**ვიმსჯელოთ შემდეგ საკითხებზე:**

1. რა ურთიერთმიმართებაა ტექსტის კოჰეზიურობასა და მთლიანობას შორის?
2. რა იგულისხმება სიტყვებით „კოჰეზია ლინეარულია, მთლიანობა კი – ვერტიკალური?

## §5. ტექსტის პრაგმატიკა და პრაგმატიკული კატეგორიები

უკვე ვისაუბრეთ იმის შესახებ, რომ პრაგმატიკული მიდგომის საფუძველზე ტექსტი განიხილება როგორც რთული სამეტყველო აქტი, რომელიც იქმნება გარკვეული მიზნებითა და განზრახვებით, და რომელშიც, ადრესატზე ზემოქმედების მიზნით, გამოიყენება ენობრივ საშუალებათა მთელი კომპლექსი. ტექსტის პრაგმატიკული თვალსაზრისით განხილვისას ამოსავალ წერტილად მიჩნეულია სამეტყველო აქტის თეორიის გათვალისწინება. ასევე არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ პრაგმატიკის განზომილება დაკავშირებულია მეტყველ და მსმენელ სუბიექტთან, ანუ ადრესანტთან და ადრესატთან, მათ ურთიერთმიმართებასთან კომუნიკაციის პროცესში.

აქედან გამომდინარე, პრაგმატიკული განზომილების რომელი ასპექტიც არ უნდა მოექცეს ყურადღების ცენტრში, ნებისმიერ შემთხვევაში, განმსაზღვრელი იქნება თვით **კომუნიკაციური** ასპექტი. აღვნიშნეთ ისიც, რომ „კომუნიკაცია", რომელიც მომდინარეობს ლათინური სიტყვისაგან და ნიშნავს „შეტყობინებას", „დაკავშირებას" მეტყველების პროცესში, გათვლილია იმაზე, რომ სამეტყველო აქტში მონაწილეობს არა ერთი სუბიექტი, არა ერთი აქტიური საწყისი, არამედ ორი კომუნიკანტი, ორი სუბიექტი. ერთი მათგანი განახორციელებს კომუნიკაციურ ჩანაფიქრს, იგი „გასცემს" ინფორმაციას", მეორე სუბიექტი კი „იღებს" ინფორმაციას და ახდენს მის „გაშიფვრას".

თუ გავითვალისწინებთ ტერმინ „კომუნიკაციის" განახლებულ შინაარსს, რომელიც უშუალოდ ეფუძნება კომუნიკაციური აქტის ცნებას, მაშინ თავად ტექსტიც მიჩნეულ უნდა იქნეს „კომუნიკაციურ ვერბალურ აქტად", რომელსაც გააჩნია გარეგანი (ფორმალური) და შინაგანი (სემანტიკური და პრაგმატიკული) სტრუქტურა. ჩვენ აღვნიშნეთ, რომ თუ

ტექსტს განვიხილავთ ფუნქციური თვალსაზრისით, რომლის მიხედვითაც ტექსტი წარმოადგენს არა თემატურად ურთიერთდაკავშირებულ წინადადებათა ერთობლიობას, არამედ თვით ერთი სიტყვაც შეიძლება ჩავთვალოთ ტექსტად, თუ იგი კომუნიკაციის ფუნქციას ასრულებს, ასეთ შემთხვევაში ტექსტის ცენტრალურ კატეგორიად გვევლინება თვით **კომუნიკაციის** ცნება.

კომუნიკაციის ცნების განახლებული შინაარსი კი, როგორც ითქვა, გულისხმობს კომუნიკაციური აქტის ცნებას. ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ნებისმიერი კომუნიკაციური აქტი უცილობლად გულისხმობს როგორც ადრესანტის, ასევე ადრესატის არსებობას. ასევე აღვნიშნეთ, რომ კომუნიკაციურ აქტში დომინირებს ადრესანტი, რამდენადაც სწორედ ის არის ნებისმიერი ტექსტის უშუალო „ავტორი". თანამედროვე პრაგმატიკა გამოყოფს მეტყველ სუბიექტთან – ადრესანტთან დაკავშირებულ შემდეგ კატეგორიებს:

**ლოკაცია** (იგი სამი ასპექტისაგან შედგება – პერსონალური, ლოკალური და ტემპორალური. მისი ფორმულაა: „მე, აქ, ახლა").

**მოდალობა** ლინგვისტურ ლიტერატურაში მოდალობის კატეგორია ორი სახით არის წარმოდგენილი – ობიექტურ და სუბიექტურ მოდალობად. ობიექტური მოდალობა გამონათქვამის სინამდვილისადმი მიმართებას გამოხატავს, სუბიექტური მოდალობა – მეტყველი სუბიექტის დამოკიდებულებას, მის შეფასებით და ამასთანავე, ემოციურ დამოკიდებულებას. მოდალობის როგორც ზოგადი კატეგორიის სტრუქტურაში სუბიექტურ-მოდალური მნიშვნელობის შესვლა მნიშვნელოვან ეტაპად იქცა წინადადების გრამატიკული ანალიზის ფარგლების ჩარჩოებიდან გამოსვლისა და წინადადების დონიდან გამონათქვამისა და ტექსტის დონეზე გადასვლისათვის. თუ გამონათქვამის დონეზე მოდალობა გამოხატულია გრამატიკული და ლექსიკური საშუალებებით, მოდალობა მხატვრული ტექსტის დონეზე გაცილებით უფრო მრავლისმომცველია

– იგი რეალიზდება პერსონაჟების მოქმედებაში, სენტენციებში, დასკვნებსა და მსჯელობებში და სხვა მრავალი საშუალებით. ბელიანინის აზრით, ტექსტობრივი მოდალობა მაშინ ვლინდება, როდესაც მკითხველს წარმოდგენა ექმნება განსაზღვრულ თემატურ ველზე, ანუ ეპითეტთა, მხატვრულ შედარებათა, აღწერის, პერსონაჟის არაპირდაპირი დახასიათების და ა.შ. ერთობლიობაზე, რომლებიც „მაგნიტურ ველს" წარმოქმნიან [ბელიანინი, 2000 : 59-61]. ამდენად, მხატვრული ტექსტის დონეზე შეგვიძლია მხოლოდ სუბიექტურ მოდალობაზე ვილაპარაკოთ, რამდენადაც ობიექტური მოდალობა მისთვის საერთოდ არ არის დამახასიათებელი.

**ემოციურობა.** იგი მჭიდროდაა დაკავშირებული სუბიექტური მოდალობის კატეგორიასთან. მხატვრული კომუნიკაციის შემთხვევაში საქმე გვავს ემოციურ ტონალობასთან. ემოციური ტონალობა, როგორც უნივერსალური კატეგორია, უცილობლად გულისხმობს ემოციურ აზრებს – როგორც ექსპლიციტურს, ასევე იმპლიციტურს. მხატვრული კომუნიკაციის შემთხვევაში, ლაპარაკობენ დიქტალურ და მოდალურ ემოციურ აზრებზე. ის გრძნობები, რომელთაც ავტორი პერსონაჟს მიაწერს, როგორც სინამდვილეში ობიექტურად არსებულს, დიქტალური ეწოდება, ხოლო გრძნობები, რომელთაც ავტორი გამოხატავს და მათ სუბიექტური შეფერილობა გააჩნიათ, მოდალური ეწოდებათ [ბაბენკო, 2004 : 122]. ემოციები შესაძლოა მრავალფეროვანი იყოს : სიმშვიდე, მოწყენილობა, სიყვარული, დანაშაულის შეგრძნება, სიბრალული, მღელვარება, განცდა, შიში, აღშფოთება, მარტოობის განცდა, ბრაზი, მონატრება, ეჭვები, განცვიფრება, მწუხარება, წინათგრძნობა და ა.შ. ამ ემოციათა რეპრეზენტაცია ხორციელდება სხვადასხვა ტიპის ემოციური ლექსიკის საშუალებით.

**შეფასების კატეგორია.** როგორც სახელწოდებიდან მოჩანს, შეფასების კატეგორია გულისხმობს იმას, რომ გამონათქვამის „ლექსიკური ელემენტები მუდამ შეიცავენ არა მარტო რეალობის უბრალო ნომინაციას, არამედ მის შეფასებასაც.

ხოლო ეს შეფასება, საბოლოო ანგარიშში, მუდამ გულისხმობს კარგისა და ცუდის ოპოზიციას" [ლებანიძე, 1998 : 96].

ადრესანტის მეტყველება აუცილებლად გულისხმობს იმასაც, რომ მსმენელმა სუბიექტმა, ანუ ადრესატმა იგი მიიღოს. როგორც აღვნიშნეთ, ნებისმიერი მეტყველება, ნებისმიერი ფორმით რეალიზებული, ყოველთვის ვინმესადმი არის მიმართული და ყოველთვის გულისხმობს ადრესატის არსებობას. ადრესანტი, უპირველეს ყოვლისა, დაინტერესებულია იმით, რომ ადრესატისათვის გასაგები გახდეს ის, რასაც იგი მას აწვდის ინფორმაციის სახით. აქედან გამომდინარე, გამონათქვამის (ტექსტის) შინაარსობრივი სტრუქტურა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ადრესატზე. როგორი შეიძლება იყოს გამონათქვამი (ტექსტი), რომ იგი ეფექტურად იქნეს აღქმული ადრესატის მიერ? ამ კითხვას მივყავართ პრაგმატულ კატეგორიათა იმ სისტემასთან, რომელიც ასახავს ადრესატს – მის პოზიციასა და გავლენას გამონათქვამზე. ადრესატთან დაკავშირებულ კატეგორიათა სისტემას წარმოადგენს: **ინფორმაციულობა, გამჭვირვალობა და ექსპრესიულობა.** თავად კომუნიკაციურობის პრინციპიდან გამომდინარე, ნებისმიერი გამონათქვამი (ტექსტი), რათა იგი გასაგები გახდეს ადრესატისათვის, აუცილებელია იყოს ინფორმაციული, გამჭვირვალე, ექსპრესიული. ამ კატეგორიათა არსებობა, როგორც აღნიშნავს გ.ლებანიძე, განპირობებულია თავად ადრესატით (იქვე, გვ. 107).

**ინფორმაციულობა** გულისხმობს იმას, რომ გამონათქვამი ადრესატისათვის უნდა შეიცავდეს ახალს და ეს ახალი უნდა ემყარებოდეს იმას, რაც ცნობილია. ინფორმაციულობის კატეგორიის შინაარსი, როგორც კომუნიკაციური ლინგვისტიკიდან არის ცნობილი, უშუალოდ დაკავშირებულია წინადადების აქტუალურ დანაწევრების ცნებასთან. ყოველი წინადადება, როგორც ვიცით, ხასიათდება ბინარული სტრუქტურით – სუბიექტითა და პრედიკატით. სუბიექტისა და პრედიკატის ცნებები თავის თავში გულისხმობენ ინფორმა-

ციულობას – გვაქვს „თემა" (რაღაც ცნობილია – ანუ სუბიექტი) და „რემა" (რაღაც ახალია – ანუ პრედიკატი). როგორც ცნობილია, ამგვარ დანაწევრებას წინადადების აქტუალური დანაწევრება ეწოდება. მაგრამ ის გარემოება, თუ სად და როგორ ხდება ესა თუ ის კომუნიკაციური აქტი, განაპირობებს ამა თუ იმ კონკრეტული წინადადების ინფორმაციული შინაარსის შეცვლას. მაშასადამე, წინადადების სინტაქსური სტრუქტურის პარალელურად, რასაც აქტუალური დანაწევრება ეფუძნება, აუცილებლად იგულისხმება კომუნიკაციური სტრუქტურაც. ასეთ ინფორმაციულ-კომუნიკაციურ სტრუქტურაში პრაგმატიკა ხედავს ადრესატის როლს, რამდენადაც რაღაც ითვლება ცნობილად (თემად) და ახლად (რემა) სწორედ ადრესატის თვალსაზრისით (იქვე, გვ. 105);

**გამჭვირვალობა** გულისხმობს იმას, რომ ნათქვამი გასაგები, გამჭვირვალე უნდა იყოს ადრესატისათვის. გამჭვირვალობის ანტონიმად გ. ლებანიძე **გაუმჭვირვალობას** ასახელებს, რასაც იგი არაკომუნიკალურობის ნიშნად მიიჩნევს. „გაუმჭვირვალობა მოდერნისტული დრამის, პოეზიის, პროზის, მთლიანად მოდერნისტული ესთეტიკური სფეროს (მაგალითად, აბსურდის თეატრი, ავანგარდისტული ფერწერა და ა.შ.) ერთ-ერთი ნიშანია" (იქვე, გვ. 107). იმისათვის, რომ ადრესანტისა და ადრესატის ურთიერთმიმართებისას იყოს გამჭვირვალობა – გამონათქვამი ადრესატისათვის იყოს გასაგები (გამჭვირვალე), შემდეგი ფაქტორები სახელდება:

1. გამონათქვამში ასახული რეფერენტული სიტუაცია ერთნაირი უნდა იყოს ორივე მონაწილისათვის;
2. კომუნიკაციის ორივე მონაწილისათვის იდენტური უნდა იყოს კომუნიკაციური სიტუაცია (ვინ, ვის, როდის, სად ეუბნება);
3. კომუნიკანტთა ფონური ცოდნა – მათი თეზაურუსები ერთმანეთს უნდა ემთხვეოდეს;

**ექსპრესიულობა** გულისხმობს ადრესანტის მიერ სუბიექტური დამოკიდებულების გამოხატვას, რომლის მიზანია

ადრესატზე ზემოქმედება. ექსპრესიულობა ტრადიციული სტილისტიკის ფარგლებში გულისხმობდა იმას, რომ ყოველი გამონათქვამი, გარდა დენოტაციისა, მუდამ შეიცავს კონოტაციას როგორც ენობრივი ნიშნის მიერ აღნიშნული რეალობისადმი სუბიექტის დამოკიდებულების გამოხატვას. ხოლო ექსპრესიულობის კატეგორიის პრაგმატიზაცია, „ნიშნავს აქცენტის გადატანას ადრესანტიდან ადრესატზე" [იქვე, გვ. 111 – 112].

**ვიმსჯელოთ შემდეგ საკითხებზე :**

1. დაასახელეთ მეტყველ სუბიექტთან – ადრესანტთან დაკავშირებულ კატეგორიათა სისტემა.
2. დაასახელეთ ადრესატთან დაკავშირებულ კატეგორიათა სისტემა.

## §6. ტექსტის სემანტიკა და სემანტიკურ კატეგორიათა გამოყოფის პერსპექტივები

ჩვენ უკვე ვისაუბრეთ იმის შესახებ, რომ ტექსტის ზედაპირული სტრუქტურის (რაც ეკუთვნის სინტაქტიკის სფეროს) მარტივი გრამატიკული დამოკიდებულებების მიღმა იმალება რთული რეფერენციალური ურთიერთობები, ანუ ენობრივი გამოხატულების შესაბამისობა სინამდვილის ობიექტებისადმი, რაც უკვე სემანტიკისა და პრაგმატიკის სფეროში გადაინაცვლებს. ასეთ შემთხვევაში, როგორც ცნობილი მეცნიერები რ. ბოგრანდი და ვ. დრესლერი აღნიშნავენ, უკვე ვლაპარაკობთ არა კოჰეზიურობაზე, არამედ კოჰერენტულობაზე.

ასევე აღვნიშნეთ, რომ ხშირად შეიძლება ისეთ შემთხვევასთან გვქონდეს საქმე, როდესაც გამონათქვამის ჭეშმარიტი **აზრი** არა მხოლოდ სრულად ემთხვეოდეს გამონათქვამის ენობრივ მნიშვნელობას, ანუ ექსპლიციტურ შინაარსს, არამედ შესაძლოა, ეწინააღმდეგებოდეს. ამდენად, სიღრმისეული სტრუქტურების შინაარსის განსაზღვრა, რაც უშუალოდ სემანტიკის სფეროს განეკუთვნება, მუდამ განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს ლინგვისტიკაში. უკვე აღვნიშნეთ, რომ ტექსტის ლინგვისტიკის ერთ-ერთი ამოცანა ტექსტის ფარგლებში გამოხატვისა (ზედაპირული სტრუქტურა, რომელიც შეესაბამება ტექსტის სინტაქტიკას – ნიშნებს შორის მიმართებები – გრამატიკული მიმართებები, მათი ერთმანეთთან დაკავშირება) და შინაარსის (სიღრმისეული, აზრობრივ სტრუქტურა) პლანებს შორის ურთიერთმიმართებების განსაზღვრაა.

ვისაუბრეთ იმის შესახებაც, რომ ცენტრალური კატეგორია, რომელიც არის ტექსტის მაკონსტიტუირებელი ნიშანი, რომელიც სხვადასხვა პარამეტრებში და სხვადასხვა დონეებზე ვლინდება, არის კოჰეზიურობა. კოჰეზიურობა (გამოხატვის პლანი) ტექსტის უნივერსალური კატეგორიების საფუძველია. ვიმსჯელეთ კოჰეზიურობის რეალიზაციის სა-

შუალებებზე და ვნახეთ, რომ ისინი სხვადასხვა სახისაა და, ამდენად, ერთნაირად არ უწყობენ ხელს მთლიანის შეკავშირებას – „კონკრეტული ტექსტები გამოირჩევიან შეკავშირებულობის განსხვავებული ინტენსივობითა და კავშირების განსხვავებული სტრუქტურით" [კოჟევნიკოვა, 1979 : 64]. თუმცა, ქვემოთ დავრწმუნდებით, რომ კოჰეზიურობის კრიტერიუმი, რომელსაც საფუძვლად უდევს გრამატიკული დამოკიდებულებები, ვერ „ეტევა" მხოლოდ სინტაქტიკის სფეროში და მისი მოქმედების არეალი მოიცავს ასევე საკმაოდ რთულ რეფერენციალურ მიმართებებს, რაც უკვე სემანტიკის შესწავლის სფეროში გადაინაცვლებს. როგორც ცნობილია, კოჰეზიური მიმართებების სტანდარტული მაგალითი ნაცვალსახელსა და მის ანტეცედენტს შორის მიმართებაა. მაგალითად, „დარეკა პოლმა. იგი ხვალ მოვა". ეს წინადადება კოჰეზიური ურთიერთობის ყველაზე მარტივი მაგალითია, რომელიც გამოხატულია პრონომინალიზაციით. მაგრამ ყოველთვის ამგვარ შემთხვევასთან არ გვაქვს ხოლმე საქმე. მაგალითად, „დარეკა პოლმა. იგი ამბობს, რომ იგი ხვალ მოვა", მოცემულ შემთხვევაში მეორე ნაცვალსახელი „იგი" შეიძლება მიემართდებოდეს როგორც პოლს, ასევე ტექსტში არსებულ ნებისმიერ სხვა ანტეცედენტს, ვთქვათ, ჯონს. ავიღოთ კიდევ ასეთი მაგალითი : „პოლმა დაწერა ახალი რომანი. ის ნამდვილად თავშესაქცევია". ნაცვალსახელი „ის" რომ რომანს მიემართება და არა პოლს, იქიდან ჩანს, რომ სემანტიკურად „თავშესაქცევი" შეიძლება სწორედ რომანს უთავსდებოდეს და არა ადამიანს. ვნახოთ შემდეგი მაგალითიც : „პოლი თავის ძაღლთან ერთად წავიდა ვეტერინართან. მან მას ნემსი გაუკეთა." ორივე ნაცვალსახელი „მან" და „მას" გარკვეულ ინტერპრეტაციას საჭიროებს. თუმცა ის ფონური ცოდნა (თეზაურუსი), რაც გაგვაჩნია სინამდვილისადმი, გვკარნახობს, რომ ნემსი ძაღლს ვეტერინარმა გაუკეთა. ამის დასკვნის საშუალებას შემდეგი მიზეზები გვაძლევს :

1. ნემსის გაკეთება მხოლოდ ადამიანს შეუძლია;

2. პატრონი ძაღლს ვეტერინართან არ წაიყვანდა, თუ თავად შეეძლო მისთვის ნემსის გაკეთება (სახლში გაუკეთებდა).

როგორც ვხედავთ, გრამატიკული დამოკიდებულებების მიღმა, რაც სინტაქტიკის სფეროს განეკუთვნება, „იშლება" უსასრულოდ რთული რეფერენციალური ურთიერთობები, რა უშუალოდ მოიცავს შინაარსის პლანს – ტექსტის სიღრმისეულ სტრუქტურას. ვ. ბოგრანდისა და რ. დრესლერის აზრით, ასეთ შემთხვევებში სუბსტიტუცია შინაარსობრივი ურთიერთობათა განსაკუთრებული სახე – კორეფერენციულ მიმართებაა, რაც უკვე სემანტიკის სფეროს განეკუთვნება.

კორეფერენცია ერთი და იმავე რეალობის სხვადასხვა საშუალებით აღნიშვნაა, ანუ ენობრივ გამოხატულბათა შესაბამისობა სინამდვილის ერთსა და იმავე ობიექტთან. როგორც ცნობილია, ტერმინი „რეფერენცია" უკვე თავისთავად მიგვითითებს იმ ფაქტზე, რომ იგი მიეკუთვენა სემანტიკას. როგორც გვახსოვს, რეფერენტი არის დენოტატი, რომელზეც მიუთითებს ენობრივი ნიშანი (გვახსოვს, რომ ენობრივი ნიშანი შეიძლება იყოს როგორც სიტყვა, ისე წინადადება, და ისეთი სრული ნიშანი, როგორიცაა ტექსტი). კორეფერენცია არის ერთი და იმავე რეფერენტის განსხვავებული ნიშნობრივი ერთეულებით აღნიშვნა.

**ვიმსჯელოთ შემდეგ საკითხებზე:**

1. გავიხსენოთ, რას ნიშნავს ტერმინები - „რეფერენტი" და „რეფერენცია"

2. რატომ შეიძლება დასახელდეს კორეფენცია სემანტიკურ კატეგორიად?

## §7. ტექსტის სინტაქტიკა და სინტაქტიკური კატეგორიები

უკვე აღვნიშნეთ, რომ ტექსტის სინტაქტიკის შესწავლის სფერო მოიცავს როგორც მაკროტექსტში შემავალ ზეფრაზულ ერთიანობათა შორის მიმართებებს, ასევე მიმართებებს მიკროტექსტთა (ზეფრაზულ ერთიანობათა) „შიგნით". აქედან გამომდინარე, მიკროტექსტთა (ზეფრაზულ ერთიანობათა) მიმართებას მაკროტექსტთან შესაძლოა პირობითად ვუწოდეთ **„გარე"**, ანუ **„ტრანსცენდენტული სინტაქტიკა"**, ხოლო მიკროტექსტებს (ზეფრაზულ ერთიანობათა) შიგნით მიმართებებს – **„შიდა"**, ანუ **„იმანენტური სინტაქტიკა"**. ორივე შემთხვევაში, სინტაქტიკური კატეგორიების გამოყოფა ნიშნავს იმის გარკვევას, თუ რა საშუალებებით უკავშირდებიან ერთმანეთს ტექსტის კომპონენტები. ვ. დრესლერისა და რ. ბოგრანდის აზრით, ტექსტის ზედაპირული სტრუქტურის კომპონენტები ერთმანეთს უკავშირდებიან გრამატიკული ფორმებისა და გრამატიკული ურთიერთობების საშუალებით. მათგან გამოვყოფთ იმ ძირითად კატეგორიებს, რომლებიც აწესრიგებენ ტექსტის „ზედაპირულ სტრუქტურას", თუმცა აქვე აღვნიშნავთ, გარკვეული თვალსაზრისით, რასაც ქვემოთ ვნახავთ, ეს პირობითი ხასიათის იქნება.

ამჯერად ჩვენი მიზანია იმ ძირითად სინტაქტიკურ კატეგორიათა გამოყოფა, რომლებიც უშუალოდ გამომდინარეობენ კოჰეზიურობის როგორც უნივერსალური კატეგორიიდან. ამგვარი კატეგორიებია რეკურენტულობა და ფორიკა (ანაფორული და კატაფორული ურთიერთმიმართებები).

<u>**რეკურენტულობა**</u> ელემენტთა განმეორებაა. მიჩნეულია, რომ ყველაზე ზოგად პლანში კოჰეზიურობა შეიძლება განისაზღვროს <u>**განმეორების**</u> საშუალებით. არ შეიძლება მოიძებნოს ტექსტი, რომელშიც განმეორება არ გვხვდებოდეს. ვ. ლუკინის აზრით, მიზეზი ტექსტში განმეორების მრავალგზისობისა არის ის ფაქტი, რომ ტექსტი შედგება ენობრი-

ვი ერთეულებისაგან. ფონემების, მორფემების, ლექსემების, წინადადებების სტრუქტურული ტიპების რაოდენობა ენაში შეზღუდულია, მაშინ როცა ტექსტების რაოდენობა თეორიულად უსასრულოა. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ენობრივი ერთეულების შეზღუდული ინვენტარის გამოყენებით, ენობრივი ერთეულები გარდუვალად მეორდებიან ტექსტებში. დეპეშის გაგზავნის დროს, დიდი ძალისხმევა არ სჭირდება იმის გარკვევას, თუ რისი შემოკლებაა საჭირო, რათა მიმღებმა (ადრესატმა) იგი ადეკვატურად აღიქვას. მაგრამ სრულიად განსხვავებულ სურათთან გვექნება საქმე, როდესაც, მაგალითად, საქმე მხატვრულ ტექსტთან გვაქვს. ამგვარ შემთხვევაში გამუდმებით ისმის კითხვა: უთვალავი განმეორებიდან, რომელიც ტექტში გვხვდება, რომელი უფრო მნიშვნელოვანია და როგორ არის იგი დაკავშირებული ტექსტში უკვე ნაცნობ ინფორმაციასთან.იგი შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა დონეებზე.

რეკურენტულობა განსაკუთრებით ხშირი მოვლენაა სპონტანურ მეტყველებაში.

There's <u>water</u> through many homes I would say almost all of them have <u>water</u> in them. It's just completely under <u>water</u>.

წერილობითი ტექსტის შემთხვევაში, იგი გარკვეულ საზღვრებში ექცევა. ამ კატეგორიის არასწორად გამოყენება განაპირობებს ინფორმაციულობის ხარისხის დაკლებას. მაგალითად, როგორც ბოგრანდი და დრესლერი აღნიშნავენ, John ran home and John ran home – ამგვარი გამონათქვამი სრულიად აზრს მოკლებულია და არავითარი რეზულტატი არა აქვს ერთი და იმავეს ორჯერ განმეორებას. თუმცა, რეკურენტულობა მეტად ეფექტური კატეგორიის როლს ასრულებს, როდესაც გვსურს თვალსაზრისის კიდევ ერთხელ დადასტურება [1], ან გაკვირვების გადმოცემა ისეთი რაღაცის უარყოფის ან ისეთ შემთხვევებში, როდესაც თვალსაზრისს რაიმე ეწინააღმდეგება, მაგალითად:

[1] Marlow: What, my good friend, if you gave us a glass of punch in the meantime?

Hardcastle: Punch, Sir!

Marlow: Yes, sir, punch! A glass of warm punch, after our journey, will be comfortable.

[2] “I think I told you that my name is Burnside.” “It might be Smith, sir, or Jones, or Robinson. “It is neither Smith, nor Jones, nor Robinson.”

პოეტურ ტექსტებში ტექსტის ზედაპირული ორგანიზაცია ხშირად მოტივირებულია მნიშვნელობისა და მთელი კომუნიკაციის ინტენციის შესაბამისობასთან.

[3] Break, break, break

On thy cold grey stones, O Sea! (Tennyson)

And miles to go before I sleep,

And miles to go before I sleep. (Frost)

ყველა ზემოთ აღნიშნულ მაგალითში ადგილი აქვს ერთი და იმავე რეფერენციის აღნიშვნას. მაგრამ შესაძლოა რეკურენტულ გამონათქვამს გააჩნდეს სხვა რეფერენცია[4]. მაგ.,

The bad news didn’t surprise Miss Ankrom, who is expecting a baby. She said she had been half expecting it.

მოცემულ შემთხვევაში, ლექსიკური რეკურენტულობა არ არის კორელატური კონცეპტუალური რეკურენციისა. სიტყვა” expect” აქ ორმაგი მნიშვნელობით იხმარება. ნაცვალსახელი it არ არის დეტერმინებული და შეიძლება ეხებოდეს როგორც ’news’ ასევე ‘baby’ -ის.

რეკურენტულობა შეიძლება იყოს სრულიც, როგორც ეს ზემოთ მოყვანილ მაგალითებში მოჩანს, და **ნაწილობრივიც**. ნაწილობრივი რეკურენტულობა გვაქვს ისეთ შემთხვევაში, როდესაც ერთი და იგივე ლექსემა სხვადასხვა მეტყველების ნაწილის სახით გადმოიცემა:

[1] ... to assume among the powers of the earth the separate and equal station ... the causes which impel them to the separation.

[2] <u>Governments</u> are instituted among Men, deriving their just powers from the consent of the <u>governed</u>.

[3] mankind are more disposed to <u>suffer</u>, while evils are <u>sufferable</u> ... Such has been the patient <u>sufferance</u> of these Colonies

[4] The famous sky<u>scraper</u> made of toasted <u>banana</u> peels . . . south of the

<u>banana</u>-<u>scraper</u> [ბოგრანდი, 1982].

რ.ბოგრანდი და ვ.დრესლერი კოჰეზიის ქვეკატეგორიებად ასახელებენ პარალელიზმს და პერიფრაზს.

ქვემოთ მოცემულ მაგალითში ერთმანეთის მსგავსი, თუმცა არა იდენტური ქმედებები, გადმოცემულია პარალელური წყობით, თითოეული წყობის წინ our ნაცვალსახელის განმეორებით.

He has plundered our seas, ravaged our coasts, burnt our towns.

ქვემოთ მოყვანილ მაგალითში, მეფის ქმედებები მიმღეობების მეშვეობით არის აღწერილი, რომელთაც წინ უძღვის წინდებული for.

For quartering large bodies of troops ... For protecting them ... For cutting off our trade ... For imposing taxes ... For depriving us ... For transporting us ... For abolishing the free System ... [1] ... to assume among the powers of the earth the <u>separate</u> and equal station ... the causes which impel them to the <u>separation</u>.

პერიფრაზი შინაარსის განმეორებაა, ოღონდ სხვა სიტყვებით, როგორც ეს ქვემოთ მოყვანილ მაგალითშია ილუსტრირებული:

I had never seen a <u>murderer</u> ... the decent symbol which indenifies the <u>taker of a life</u> [ბოგრანდი, დრესლერი, 1982].

როგორც ითქვა, ტექსტი თავისი ბუნებით ლინეარულია. ყოველი შემდგომის წინა წინადადება შეიცავს ისეთ ენობრივ საშუალებებს, რომლებიც გულისხმობენ მომდევნო წინა-

დადებას, ან მიუთითებენ მასზე. ამ სახის კავშირს ეწოდება ფორიკა [ლებანიძე, 1998 : 159].

**ანაფორა (ბერძ.** anapherein ნიშნავს „უკან გადატანას", „დაბრუნებას") არის ენობრივი ერთეულების გამოყენება, რომელთა ინტერპრეტირება შესაძლებელია მხოლოდ სხვა, როგორც წესი, ტექსტის წინა ფრაგმენტის მეშვეობით. ანაფორის ან ანაფორული მიმართებების ცნება ძირითადად ნაცვალსახელური რეპრეზენტაციით ხორციელდება. ანაფორული ფუნქციით გამოდიან მესამე პირის ნაცვალსახელები, ასევე ნაცვალსახელთა სხვა ტიპები.

**კატაფორა** ნიშნავს მიმართებას იმაზე, რაც შემდგომში იქნება წარმოდგენილი ტექსტში. მაგ., As he was unaccustomed to it, Jake found the pressure very hard to deal with. ნაცვალსახელი it გამოხატავს კატაფორულ მიმართებას, ვინაიდან იგი მიემართება არსებით სახელს pressure.

როგორც აღვნიშნეთ, კატაფორიკისა და ანაფორიკის ურთიერთმიმართებას ტექსტში ეწოდება ფორიკა. გ. ლებანიძე აღნიშნავს, რომ ფორიკა არის კოჰერენტულობის ზოგადი კატეგორიის რეალიზაცია სინტაქტიკურ პლანში. როგორც ტექსტის ყველა კატეგორია (როგორც კატეგორია საერთოდ), ფორიკაც საჭიროებს მისი რეალიზაციისათვის საშუალებათა მთელ სისტემას – ანაფორულ და კატაფორულ ტექსტობრივ საშუალებათა სისტემას, რაც იძლევა მრავალი ენობრივი ერთეულის ფუნქციური „ტექსტოლოგიზაციის" საშუალებას. იგი გამოყოფს იმ ერთეულებს, რომლებიც ფორიკის შექმნას ემსახურებიან ტექსტში: არტიკლის სისტემა, ნაცვლსახელთა სისტემა, დროისა და ადგილის ზმნიზედები. გარდა ამისა, ფორიკულ ფუნქციას ასრულებენ ისეთი ლექსიკური კლასები, როგორიცაა სინონიმები, ანტონიმები. კატაფორული და ანაფორული მიმართებები გამოიყენება როგორც განმეორების (რეკურენციის), ასევე კორეფერენციის შემთხვევაში.

**ვიმსჯელოთ შემდეგ საკითხებზე:**

1. დაასახელეთ კოჰეზიის ქვეკატეგორიები.

2.განმარტეთ რეკურენციის ცნება. დაასახელეთ რეკურენციის ტიპები.

3. განმარტეთ ფორიკის ცნება. დაასახელეთ ერთეულები, რომლებიც ფორიკის შექმნას ემსახურებიან ტექსტში.

# ლიტერატურა

1. ენუქიძე ლ. – ძირითადი სინტაქსური თეორიები თანამედროვე საზღვარგარეთულ ენათმეცნიერებაში, თბ., „მეცნიერება", 1987.
2. ლებანიძე გ. – ანთროპოცენტრიზმი და კომუნიკაციური ლინგვისტიკა, თბ., „ენა და კულტურა", 1998.
3. ლებანიძე გ. – ლექციები ენათმეცნიერების შესავალსა და ზოგად ენათმეცნიერებაში, თბ., „ენა და კულტურა", 1997.
4. სერგია ვ. – ტექსტის ლინგვისტიკა, თბ., „განათლება",1989.
5.Alison Lee, culture and Text: Discourse and Methodology in social research and Cultural studies, Allen & Unwin, 2000.
6.Baugrande R.A.; Dressler W. – An Introduction to Text linguistics, 1982.
7.Bakhtin M. – "The Problem of the Text in Linguistics, Philology, and the Human Sciences: An Experiment inPhilosophical Analysis", "From Notes Made in 1970.
8.Brinker K. Linguistische Textanalyse, Berlin, 1992.
9.Dijk Van T.A. Some aspects of Text Grammar, The Hague – Paris, 1972
10.Dijk Van, Discourse Studies and Education in:Applied Linguistics, 1981.
11.Halliday M.A.K. – Language structure and Language functions, New Horizons in Linguistics, Harmondsworth, 1970.
12.Hartmann, "The Text as a Linguistic Object", in W. D. Stempel (ed.), Contributions to the Linguistics of the Text (Munchen, 1981).
13. M.Jorgensen and L. Phillips, Discourse Analysis as Theory and Method, SAGE Publications, 2002.
14.Leech, G. –Principles of Pragmatics, London: Longman, 1983
15.Levinson St. – Pragmatics, New-York, 1983.
16.Morris, Charles W (1938/1970): *Foundations of the Theory of Signs*. Chicago: Chicago .
17.Morris C.W. –Writings on the general theory of signs, the Hague, 1971. , Charles W (1938/1970): *Foundations of the Theory of Signs*. Chicago: Chicago
18.Mowitt John. Text: The Geneology of an Antidisciplinary Object. Durham, N.C.: Duke University Press, 1992.
19.Petöfi J.S. Von der Satzgrammatik zur semiotischen Textologie: Einige methodologische Fragen der Textinterpretation, 1987.
20. Арутюнова Н.Д. *Дискурс* // Лингвистический энциклопедический словарь. М., 1990.
21. Л.Г. Бабенко, Ю.В.Казарин, Лингвистический анализ художественного текста. Теория и практика: Учебник; Практикум\ Л.Г. М., 2004.
22. Барт Р. – Лингвистика текста, Новое в зарубежной лингвистике, М., «Прогресс», VIII, 1978.
23. Барт Р. – Избранние работы: Семиотика, Поетика, «Прогресс», М., 1989.
24. Бахтин М.М. Проблема текста в лингвистике, филологии и других гуманитарных науках. Опыт философского анализа \\ Бахтин М.М, Литературно- критиче-

ские статьи \ Сост. С. Бочаров и В. Кожинов. М., 1986.
25. Бахтин М.М. Эстетика словесного творчества / Сост. С.Г.Бочаров; Текст подгот. Г.С.Бернштейн и Л.В.Дерюгина; Примеч. С.С.Аверинцева и С.Г.Бочарова. — Изд.2-е. - М.: Искусство, 1986. — С.297-325, 421-423 (прим.).
26. Белянин В.П. – системность лексики текста как отрожение системности картины мира автора\\ Рсихолингвистические исследования: (Звук, слово, текст). Калинин, 1987.
27. Белянин В.П. – Психолингвистические аспекты художественного текста, М., 1988.
28.Белянин В.П., основы психолингвистической диагностики: Модели мира в литературе, М., 2000.
29. Бенвенист Э. – Общая лингвистика, М., «Прогресс», 1974.
30. Бюлер К. – Теория языка. Репрезентативная функция языка, М.1993.
31. Гак В.Г. – Теоретическая грамматика французского языка, М., «Высшая школа», 1981.
32. Греймас А.Ж. Курте Ж. Семиотика. Объяснительный словарь теории языка // Семиотика. М., 1983, с. 481-550.
33. Валгина Н.С. – Теория Текста, М., 2003.
34. Ворожбитова А.А. – Теория текста, Антропоцентрические Направление, М., 2005.
35.Гак В.Г. – «Высказывание и ситуация» in: Проблемми структурной лингвистики, «Наука», 1973.
36. Гальперин И.Р. – Текст как обьект лингвистического исследования, М., «Наука», 1981.
37. Дейк ван С. – «Вопроси прагматики текста», Новое в зарубежной лингвистике, М., «Прогресс», VIII, 1978.
38. Дейк Т.А. ван – Язык. Познание. Коммуникация. М., 1989.
39. Дресслер В. - «Синтаксис текста», Новое в зарубежной лингвистике, М., «Прогресс», VIII, 1978.
40. Долинин К.А. – Интерпретация текста, М., «Просвещение», 1985.
41. Каменская О.Л. – Текст и коммуникация,. М., 1990.
42 .Ильин И.П. Словарь терминов французского структурализма // Структурализм: „за“ и „против“. М., 1975.
43. Кожевникова К. –Формирование содержания и синтаксис художественного текста, in: Синтаксис и стилистика, М., «Наука», 1976.
44. Кожевникова К. - «Об аспектах связности в тексте как целом» in: Синтаксис текста, М., «Наука», 1979.
45. Лингвистичесий Энциклопедический Словарь, М., 1990.
46. Литературный Энциклопедический Словарь, М., 1987.
47. Лосева Л.М. – Как строится текст, М., «Просвещение», 1967.
48. Лотман Ю.М. – Структура художественного текста, М., «Искусство», 1970.
49. Лотман Ю. М. – Текст в тексте (Труди по знаковым системам), Т.14, Тарту, 1981.

50. Лотмам Ю.М. – Внутри мыслящих миров: Человек. Текст. Семиосфера. История. - М., 1996.
51 .Лукин В.А. Художественныи текст – Основы лингвистическои теории и элементи анализа, 1999.
52. Москальская О.И. – Грамматика текста, М., «Высшая школа», 1981.
53. Москальчук Г.Г. – Структура текста как синергический процесс, М., 2003.
54. Николаева Т.М. – «Лингвистика текста – современное состояние и перспективы», Новое в зарубежной лингвистике, М., «Прогресс», VIII, 1978.
55. Новиков А.И. – Семантика текста и ее формализация, М. 1983.
56. Новиков А.И. – Художественный текст и его анализ. М.,1988.
57. Новиков А.И. – Семантическое пространство текста и способы его членения\\ Категоризация мира: пространство и время.М., 1997.
58. Новиков А.И. – Семантика текста и ее формализация, М. 1983.
59.Падучева Е.В. – «Структура абзаца», Труды по знаковым системам, вып. 2. Тарту, 1965.
60.Папина А.Ф. Текст: Его Единици И Глобальные Категории, М. 2002.
61. Руднев В.П. - Словарь культуры XX века, М., «Аграф», 1997.
62. Руднев В. Текст и реальность: Направление времени в культуре //Wiener slawistischer Almanach, 1986.
63.Руднев В. Морфология реальности // Митин журнал, 1994.
64. Рузин И.Г – Возможности и предели концептуального обьяснения языковых фактах\\ Вопросы языкознания. – 1996.- №5.- с.39-50.
65. Рузин И.Г – Философские аспекти лингвистического исследования// Сер.7. Философия. – М. 1993. – №3 с.48).
66. Серио П. *Как читают тексты во Франции* // Квадратура смысла. М., 1999.
67. Серл Дж. – Классификация иллокутивных актов\\ Новое в зарубежной лингвистике. Вып. : Теория речевых актов, М. 1986).
68. Степанов Ю.С. – Семиотика, М., «Наука», 1971.
69. Степанов Ю.С. – Основы общего языкознания, М., «Просвещение», 1975.
70. Тураева З.Я. – Лингвистика текста, М., «Просвешение», 1986..
71. Филиппов К.А.- Лингвистика текста С.-Петерпург, 2003.
72. Шевченко Н.В. - Основы Лингвистики Текста, М., 2003.